

ჯემალ ჯინჯისაძე

ქართული ენის ბრამატიკა

მორფოლოგია

(მოკლე კურსი)

ახალი ხედვა

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2022

UDK(უაპ)

წიგნში რეალიზებულია ცნობილი პედაგოგის, მათემატიკის მეთოდისტის, ენათმეცნიერის, პოეტის, ომის ვეტერანის, ღირსების ორდენის კავალერის – პროფესორ ჯემალ ჯინჯიხაძის სრულიად ახალი სისტემური მიდგომა თეორიული ენათმეცნიერების ძირითად ცნებათა იერარქიის მიმართ. ახლებურადაა გაშუქებული ეს ცნებები და ქართული ენის მორფოლოგიის მოკლე კურსი ჩამოყალიბებულია იმ ლოგიკური ხარვეზების გარეშე, რომლებიც ახლავს დღემდე გამოცემულ მორფოლოგიურ ნაშრომებს – მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებს.

შემოთავაზებული წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

©ჯემალ ჯინჯიხაძე, 2022

© jemal jinjixaZe, 2022

gamomcemloba `universali~, 2022

Tbilisi, 0186, a. politkovskaias #4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-341-5

შესავალი

ქართული ენის გრამატიკის ტრადიციულ კურსებში მრავალი შეუსაბამობა, უზუსტობა და შეცდომა გვხვდება. ამის შესახებ საკითხი დავსვით ჯერ კიდევ 1997 წელს (იხ. ჯემალ ჯინჯიხაძე. ფიქრები ენათმეცნიერებაზე. თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი“, 1997, 19 გვ.). ეს პრობლემა საბოლოოდ გადავჭერით 2016 წელს (იხ. ჯემალ ჯინჯიხაძე. თეორიული ენათმეცნიერების ლოგიკური პრობლემები. მეორე გამოცემა, შევსებული და შესწორებული. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2016, 116 გვ.).

აღვნიშნოთ ზოგიერთი მომენტი.

1. ძალზე ხშირია სასწავლო და მეცნიერულ ლიტერატურაში ტავტოლოგიები, მანკიერი წრეები. მაგალითად: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მეექვსე ტომის 1079-ე სვეტში ვკითხულობთ: „სიტყვა – ბგერათმეერთება, რომელსაც ლექსიკური (საგნობრივი) მნიშვნელობა აქვს“. მეოთხე ტომის 1525-ე სვეტში კი ლექსიკა განმარტებულია როგორც სიტყვების მარაგი. ე. ი. სიტყვის განსაზღვრაში გამოყენებულია ლექსიკის ცნება, ხოლო ლექსიკის განსაზღვრაში გამოიყენება სიტყვის ცნება. **სიტყვა** – ლექსიკის ძირითადი ერთეული, **ლექსიკა** – სიტყვების მარაგი.

2. ლიტერატურაში **სიტყვის** ცნების განსაზღვრა მრავალი გვაქვს, მაგრამ ტრადიციულად ერთი მათგანია ყველაზე უფრო გავრცელებული:

განსაზღვრა. ბგერას ან ბგერათა ჯგუფს, რომელსაც მნიშვნელობა გააჩნია, **სიტყვა** ეწოდება.

ამ განსაზღვრაზე დაიყვანება ყველა სხვა განსაზღვრა, რომელიც არსებობს. ისინი ერთმანეთის ტოლძალოვანია.

მაგრამ განსაზღვრა, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ, აბსურ-
დია, რადგანაც ბგერათა ჯგუფი არავითარი ნიშან-თვისე-
ბით არ ხასიათდება, იგი მხოლოდ უბრალოდ ჩამონათვალია
ბგერებისა და არ შეიძლება რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს.

სიტყვის არც ერთი არსებული განსაზღვრა არ ვარგა.

დასაწყისში იყო **სიტყვა** და **სიტყვა** იყო ღმერთთან, და
სიტყვა იყო ღმერთი (იოანეს სახარება 1:1-3). ოთარ ჭილაძეს
უთქვამს: ჯერ იყო **სიტყვა**, რადგან სიტყვა დედაა ღმერთის.

ღიახ, **სიტყვა** ღვთაებრივი და ჯადოსნური ცნებაა. მი-
სი მნიშვნელობა განუზომელი და დაუფასებელია ჩვენს მე-
ტყველებაში, აზროვნებაში, მეცნიერებაში, ლიტერატურაში
და ყველგან, სადაც ადამიანის გონება წვდება.

და ამ ფონზე ჩვენ გვინდა **ბგერათა ჯგუფის** ცნებიდან,
ფაქტობრივად – არარაობიდან, მივიღოთ **სიტყვის** ღვთაებ-
რივი ცნება. ეს – შეუძლებელია. ბგერათა ჯგუფი, როგორც
ვთქვით, ბგერათა ჩამონათვალია, მეტი არაფერი. ბგერათა
ჩამონათვალს არ შეიძლება რაიმე მნიშვნელობა გააჩნდეს.
მისგან სიტყვის ცნება ვერ მიიღება.

მორფოლოგიის ძირითად ცნებათა იერარქიაში **ბგერა-
თა ჯგუფის** ცნებასა და **სიტყვის** ცნებას შორის საფეხურები
გვაკლია.

იგივე ითქმის ცნებაზე **მარცვალი**. ტრადიციულად ამ
ცნების განსაზღვრა ორნაირი გვაქვს:

1. **მარცვალი** ეწოდება ბგერას ან ბგერათა ჯგუფს,
რომელიც ერთ ხმოვან ბგერას შეიცავს.
2. **მარცვალი** ეწოდება სიტყვის ნაწილს, რომელიც
ერთ ხმოვან ბგერას შეიცავს.

თუმცა, არც ერთი არ არის სწორი.

მაგალითად, **ბირკჯ** მარცვალია პირველი განსაზღვრით, მაგრამ მარცვალი არ არის მეორე განსაზღვრით, რადგანაც იგი არც ერთი ქართული სიტყვის ნაწილი არ არის. მაგრამ მთავარი ეს არაა. მთავარი ისაა, რომ ბგერათა ჯგუფი ბგერათა ჩამონათვალია და ამიტომ იგი არ შეიძლება მარცვალი იყოს. ე. ი. მარცვლის განსაზღვრა არა გვაქვს.

3. ენათმეცნიერულ ლიტერატურაში მრავალი ავტორი ერთ სიბრტყეში განიხილავს: *პოლისემიას, ომონიმიას, სინონიმიას, ანტონიმიას* და *ჰიპონიმიას*. მათი განხილვა ერთ სიბრტყეში, ერთ პლანში, ერთმანეთის გვერდით არ შეიძლება. ისინი არ ერთიანდებიან რომელიმე ერთ გვარში, ან ერთ სახეობაში.

4. ყურადღებას იპყრობს ქართული ენის ლექსიკის ის კლასიფიკაცია, რომელიც ტრადიციულად მიღებულია. ეს კლასიფიკაცია მეცნიერული არ არის. მდგომარეობა რომ გამოსწორდეს, მასში შესატანია არსებითი ცვლილებები.

5. რიცხვითი სახელები ისტორიულად იქმნებოდა რიცხვის ცნების განვითარების პროცესში, რიცხვის ცნების არსიდან გამომდინარე. ამასთან, **თვლა, რიცხვი, რიცხვითი სახელი და რიცხვის ცნება** შეადგენენ ერთ განუყოფელს, ერთმთლიანს. არც ერთი მათგანის არსებობის წარმოდგენა არ შეიძლება დანარჩენის გარეშე. ამიტომ, მეცნიერული კვლევის ამ სფეროში თანაბრად უნდა იყოს ჩართული მათემატიკის ისტორიკოსიცა და ენათმეცნიერიც. ორივეს კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, რომ ნებისმიერი რიცხვი ერთადერთია და მას თავისი საკუთარი სახელი ჰქვია.

ის, რაც სადღეისოდ რიცხვით სახელებზე გრამატიკაში ვიცით, სინამდვილეს სრულებით არ შეესაბამება.

6. არსებითი სახელის განსაზღვრაშიც შესატანია სათანადო კორექტივები.

7. განსაკუთრებით საყურადღებოა ზმნის ცნება. მრავალი კითხვა იბადება ზმნის რაობისა და მისი ადგილის შესახებ ქართული ენის ლექსიკის კლასიფიკაციაში.

ამასთან დაკავშირებით, დასაზუსტებელია პასუხი კითხვაზე: რა არის **მდგომარეობა**?

8. ხარვეზი სხვაც ბევრია.

* * *

გრამატიკა ძველი ბერძნული სიტყვაა (γραμματική < γράμμα „ასო“) და წარმოადგენს ენათმეცნიერების (ლინგვისტიკის) დარგს, რომელიც აღწერს ენაში მოქმედ მორფოლოგიურსა და სინტაქსურ სისტემებს; იგი სწავლობს ენის აგებულებას, ამ ენაში სწორი და გააზრებული სამეტყველო მონაკვეთების (სიტყვათა ფორმების, სინტაგმების, წინადადებების, ტექსტების) აგების კანონზომიერებებს. ამ კანონზომიერებებს გრამატიკა აყალიბებს ზოგადი გრამატიკული წესების სახით. ამასთან, გრამატიკა ენის სტრუქტურული ორგანიზაციის დონეა, ენის აგებულებასთან დაკავშირებული ენობრივი მოვლენების სისტემა.

გრამატიკა ორი ნაწილისაგან შედგება. ეს ნაწილებია **მორფოლოგია** (< ძვ. ბერძ. μορφή სახეობა, ფორმა + λόγος სიტყვა, მოძღვრება) და **სინტაქსი** (< ძვ. ბერძ. σύν-ταξις შედგენა, წყობა). **მორფოლოგია** შეისწავლის სიტყვის ფორმასა და სტრუქტურას, ხოლო **სინტაქსი** – სიტყვათა შეკავშირებასა და წინადადებათა ტიპებს.

მორფოლოგიის ძირითადი ცნებები

ნებისმიერი მეცნიერება მის ძირითად ცნებათა განხილვით იწყება. ეს ცნებები უნდა ექვემდებარებოდეს მკაცრ ლოგიკურ იერარქიას და თითოეულ მათგანს უნდა გააჩნდეს თავისი, სრულიად გარკვეული და არაორაზროვანი დეფინიცია (განსაზღვრა). ასეთ შემთხვევაში მეცნიერება იქნება ტურფად ნაგები.

მორფოლოგიის ძირითადი ცნებები შემდეგია: ბგერა, სამეტყველო ბგერა, ბგერათა ჯგუფი, ბგერათა დალაგებული ჯგუფი, ბგერათა კორტეჟი, ბგერათა უწყვეტი კორტეჟი, მარცვალი, სიტყვა, ლექსიკა, მეტყველების ნაწილები.

მორფოლოგია, როგორც მეცნიერება და სასწავლო საგანი, აგებულია ამ ცნებათა საფუძველზე. მათ შორის ფუნდამენტური ცნებაა **ბგერის** ზოგადი ცნება.

განვიხილოთ თითოეული ცნება ცალ-ცალკე.

ბგერა

ბგერის ზოგადი ცნება მივიღოთ ენათმეცნიერების საწყის ანუ პირველდაწყებით ცნებად, განსაზღვრის გარეშე. ასეთ შემთხვევაში მისი მხოლოდ აღწერა შეიძლება მაგალითების ჩვენებით, წარმოთქმით, მიბაძვით, დეკლამირებით.

გარესამყაროში ადამიანს უამრავი ბგერა ესმის. ბგერებისაგან შედგება ბელურების ჟღურტული, ბულბულის გალობა, შაშვის ჭახჭახი, ქათმის კრიახი, მამლის ყვილი, კატის კნავილი თუ კრუტუნი, ძაღლის ყეფა თუ წკმუტუნი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

ბგერების ამ უსასრულო სიმრავლიდან ადამიანს თავის მეტყველებაში სჭირდება ბგერის მხოლოდ ერთი სახეობა. ამიტომ ბგერის ზოგადი ცნების საფუძველზე შემოვიღოთ ახალი ცნება.

სამეტყველო ბგერა

განსაზღვრა. ბგერას, რომელიც გამოიყენება ადამიანთა მეტყველებაში, **სამეტყველო ბგერა** ეწოდება.

ადამიანს ძალზე მრავალი ბგერის წარმოთქმა შეუძლია. ამ ბგერათაგან ზოგიერთი შეიძლება სამეტყველო იყოს ერთ ენაში, მაგრამ არ იყოს მეორეში. ზოგიერთი შეიძლება არც ერთ ენაში არ იყოს სამეტყველო. ქართულ ბგერებს შორის ზოგიერთი სამეტყველო არ არის სხვა ენებისათვის და, პირუკუ, მაგალითად, ინგლისური, გერმანული, სპარსული და სხვა ენების ყველა სამეტყველო ბგერა სამეტყველო არ არის ქართულისათვის.

თანამედროვე ქართულ ენაში გვაქვს მხოლოდ 33 სამეტყველო ბგერა. ეს ბგერები ორ ჯგუფად იყოფა, ხმოვნებად და თანხმოვნებად.

ხმოვანი ეწოდება ისეთ ბგერას, რომელსაც თავის წარმოთქმაში საზღვარი არ გააჩნია, ხოლო **თანხმოვანი** ეწოდება ისეთ ბგერას, რომელსაც თავის წარმოთქმაში საზღვარი გააჩნია. მაგალითად, როცა წარმოვთქვამთ ბგერა **ა**-ს, შეგვიძლია ამ ბგერის წარმოთქმა გავაგრძელოთ რამდენ ხანსაც გვინდა და ბგერა არ შეიცვლება, მას თავის წარმოთქმაში საზღვარი არ გააჩნია. მაგრამ, თუ გვინდა წარმოვთქვათ ბგერა **ბ**, იგი წარმოითქმის უცებ და მისი გაგრძელება, თუკი იგი მოვინდომეთ, უკვე სხვა ბგერაა, კერძოდ, ისეთი ბგერა,

რომელიც ქართულში სულაც არაა სამეტყველო. სამეტყველოა იგი მეგრულში და აღინიშნება ასოთი გ. როგორც ვნახეთ, ზ ბგერას თავის წარმოთქმაში საზღვარი გააჩნია.

სწორედ ამიტომ ხმოვნებს შეგვიძლია ვუწოდოთ **ღია ბგერები**, ხოლო თანხმოვნებს – **დახურული ბგერები**.

შემდგომში, როცა ვახსენებთ **ბგერას**, ყოველთვის **სამეტყველო ბგერას** ვიგულისხმებთ.

ანბანი

ბგერის წერილობით ნიშანს **ასო** ეწოდება. ქართულ ენაში 33 ბგერის აღსანიშნავად, ანუ ჩასაწერად, 33 ასო გამოიყენება. ე. ი. ბგერა ჩაიწერება ასოს საშუალებით. ასოში ყოველთვის ბგერა იგულისხმება. ასო თავისთავად არაფერი არ არის, იგი მოგონილია მხოლოდ იმისათვის, რომ ბგერა ჩაიწეროს, იგი ბგერის გრაფიკულ სიმბოლოს წარმოადგენს. არაა სწორი, როცა ამბობენ, ბგერა წარმოითქმის და ასო იწერებაო. ბგერა წარმოითქმის და ბგერა იწერება, ოღონდ – ასოს საშუალებით. მუსიკა იწერება ნოტების საშუალებით. ნოტები, ტონების გარეშე, არაფერი არ არის! ასო და ნოტი გამოისახება, იხატება, ბგერები კი იწერება.

თანამედროვე ქართული ასოებია:

ა ბ გ დ ე ვ ზ თ ი კ ლ მ ნ ო პ რ ს ტ უ

ფ ქ ღ ყ შ ჩ ც ძ წ ჭ ხ ჯ ჰ.

ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ო, პ, რ, ს, ტ, უ,

ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჯ, ჰ.

განსაზღვრა. ქართულ დამწერლობაში გამოყენებულ ასოთა დალაგებულ ერთობლიობას, რომელიც ცალსახად

შეესაბამება ქართული ენის სამეტყველო ბგერათა სიმრავლეს, ქართული ანბანი ეწოდება.

როგორც ვთქვით, ანბანს ცალსახად შეესაბამება სამეტყველო ბგერათა სიმრავლე, რომელშიც მოცემულია ფონეტიკური მიმართებანი. მაგრამ ბგერათა კლასიფიკაცია ხდება ფონეტიკურ მიმართებათა საფუძველზე, ხოლო ასოთა კლასიფიკაცია – მათი მოხაზულობის მიხედვით. ამ ორ კლასიფიკაციას შორის საერთო არაფერი არ არის.

ქართული დამწერლობა უძველესია მსოფლიოში, იგი გამორჩეულია თავისი სილამაზითა და დანიშნულებით.

ქართულ ბგერათა შორის ხმოვანია ხუთი ბგერა:

ა, ე, ი, ო, უ.

დანარჩენი 28 ბგერა თანხმოვანია.

ბგერათა ჯგუფი

განსაზღვრა. ბგერათა ნებისმიერ ჩამონათვალს ბგერათა ჯგუფი ეწოდება.

ბგერათა ჯგუფების მაგალითებია:

1) ნ, გ, ი, კ; 2) ხ, ა, ნ; 3) ი, რ, ე, მ;

4) ტ, ა, ი, ჭ; 5) კ, ბ, რ, ჯ, ო, ს

და სხვა მისთანები.

ბგერათა ჯგუფის ჩაწერისას ბგერები აღინიშნება ასოებით და ერთმანეთისაგან გამოიყოფა მძიმეებით.

ბგერათა ჯგუფები შეიძლება შეიცავდეს ბგერათა ნებისმიერ რაოდენობას და არ ხასიათდება არავითარი ნიშანთვისებით, გარდა იმისა, რომ შედგება ბგერებისაგან. მათში ბგერები არ არის დალაგებული და არ შეიძლება ბგერების გამეორება. მაგალითად, ბგერათა ჯგუფები

გ, ი, კ, ლ, ნ და კ, ნ, ი, გ, ლ

ერთი და იგივეა, რადგანაც ერთნაირ ბგერებს შეიცავს. ხოლო კ, რ, ო, ს, ო, ნ ბგერათა ჯგუფს არ წარმოადგენს, რადგანაც მასში მეორდება ბგერა ო.

ადამიანს მეტყველებისას სჭირდება ბგერათა დალაგება. ამიტომ შემოვიღოთ ახალი ცნება.

ბგერათა დალაგებული ჯგუფი

განსაზღვრა. ბგერათა ჯგუფს, რომელშიც დაცულია ბგერათა რიგი, **ბგერათა დალაგებული ჯგუფი** ეწოდება.

ბგერათა დალაგებული ჯგუფის, ისევე, როგორც ბგერათა ჩვეულებრივი ჯგუფის, ჩაწერისას ბგერები აღინიშნება ასოებით და ერთმანეთისაგან გამოიყოფა მძიმეებით. მაგალითად, თუ ბგერათა ჯგუფები

კ, ე, ტ, უ, ჯ, ო და ჯ, ე, ტ, უ, კ, ო

ჩვეულებრივი ჯგუფებია, მაშინ ისინი ერთი და იგივეა, თუკი ეს ჯგუფები დალაგებულია, მაშინ ისინი ერთი და იგივე არ არის, სხვადასხვა ჯგუფებია.

ბგერათა დალაგებულ ჯგუფში, როგორც ბგერათა ჩვეულებრივ ჯგუფში, არ შეიძლება ბგერათა გამეორება. მაგრამ ადამიანს თავის მეტყველებაში უხდება ბგერათა გამეორება. ამიტომ შემოვიღოთ ახალი ცნება.

ბგერათა კორტიჟი

განსაზღვრა. ბგერათა დალაგებულ ჯგუფს, რომელშიც შეიძლება ბგერათა გამეორება, **ბგერათა კორტიჟი** ეწოდება.

ბგერათა კორტეჟის ჩაწერისას, როგორც ჩვეულებრივი და დალაგებული ჯგუფების შემთხვევაში, ბგერები აღინიშნება ასოებით და ერთმანეთისაგან გამოიყოფა მძიმეებით. ბგერათა კორტეჟების მაგალითებია:

- 1) ბ, ო, შ, მ, ო, ს, ა, ლ; 2) ს, ა, მ, შ, ო, ბ, ლ, ო;
3) ს, ი, ა, მ, ა, ყ, ე; 4) მ, ა, ი, ს, ა, ყ, ე;
5) თ, ი, ა, თ, ი, ა, ნ, ი; 6) თ, ა, რ, ა, ზ, ო

ბგერათა კორტეჟის წარმოთქმისას (წაკითხვისას) ბგერებს შორის კეთდება პაუზები, რადგანაც მათ შორის მძიმეებია დასმული. ადამიანის მეტყველება კი გაბმულია, უწყვეტი. ამიტომ შემოვიღოთ ახალი ცნება.

ბგერათა უწყვეტი კორტეჟი

განსაზღვრა. ბგერათა კორტეჟს, რომლის წარმოთქმისას უწყვეტია ბგერიდან ბგერაზე გადასვლა, **ბგერათა უწყვეტი კორტეჟი** ეწოდება.

ბგერათა უწყვეტი კორტეჟის ჩაწერისას მძიმეები არ გამოიყენება, ასოები ერთიმეორეს მიეწერება მიჯრით. მაგალითად:

ირემი, თუ, არა, სახლი, ვა, სკანდალი, კერტუჯი, ...

ბგერათა უწყვეტი კორტეჟის მაგალითებია მარცვლები, სიტყვები, სიტყვის ნაწილები (ფუმე, ძირი, ნებისმიერი სხვა მორფემა) და სხვ.

ამის შემდეგ შეგვიძლია შემოვიღოთ **მარცვლისა და სიტყვის ცნებები.**

მარცვალი

განსაზღვრა. ბგერათა უწყვეტ კორტეჟს, რომელიც შეიცავს ერთ ხმოვან ბგერას, **მარცვალი** ეწოდება.

მარცვალთა მაგალითებია: *სამკ, გლობ, თვით, რჭკავნ* და სხვ. მარცვალი შეიძლება იყოს სიტყვის ნაწილი, შეიძლება – არა. მაგალითად, ზემოთ მოყვანილი მარცვლებიდან პირველი სამი სიტყვების ნაწილებია, მაგრამ მეოთხე სიტყვის ნაწილი არ არის. არ არსებობს ისეთი ქართული სიტყვა, რომელიც თავის ნაწილად შეიცავდეს **რჭკავნ**-ს.

თუ მარცვალი ბოლოვდება ხმოვანი (ღია) ბგერით, მას **ღია მარცვალი** ეწოდება, თუკი ბოლოვდება თანხმოვანი (დახურული) ბგერით, მას ეწოდება **დახურული მარცვალი**.

სიტყვა

განსაზღვრა. ბგერათა უწყვეტ კორტეჟს, რომელსაც სემანტიკური მნიშვნელობა გააჩნია, **სიტყვა** ეწოდება.

უფრო ზუსტად:

სიტყვა ეწოდება ბგერათა ისეთ უწყვეტ კორტეჟს, რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა გააჩნია, ან დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელია და მნიშვნელობას წინადადებაში იძენს.

ეს ზოგადი განსაზღვრა იმლება ორ კონკრეტულ განსაზღვრად:

ა) *ბგერათა ისეთ უწყვეტ კორტეჟს, რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა გააჩნია, ძირითადი სიტყვა ეწოდება.*

მაგალითად, კორტეჟები: *სათუთი, ბილიკი, შარშან, სილამაზე, მღერის* – ქართული ენის ძირითადი სიტყვებია, კორტეჟი *რამაშკა* ძირითადი სიტყვაა რუსულ ენაში, *კინდერ* – გერმანულ ენაში, *ლუპუს* – ლათინურ ენაში, *სკარანტე* და *მორჯორიო*, – ალბათ, არც ერთში. ყოველ შემთხვევაში, ქართული ენისათვის ეს კორტეჟები სიტყვები არ არის, მაგრამ შესაძლოა, მსოფლიოს რომელიმე ენაში მათ მნიშვნელობა გააჩნდეთ და, ამდენად, ისინი ამ ენის სიტყვები იქნება.

ბ) *ბგერათა ისეთ უწყვეტ კორტეჟს, რომელიც დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელია და მნიშვნელობას წინადადებაში იძენს, დამხმარე სიტყვა ეწოდება.*

დამხმარე სიტყვებია ყველა კავშირი, ყველა შორისდებული, ხოლო თანდებულთა და ნაწილაკთაგან ისინი, რომლებიც წინადადებაში ცალკე იწერება და არ ერთვის სხვა სიტყვას.

მნიშვნელობის უქონელი ის კორტეჟი, რომელიც წინადადებაში ძირითად სიტყვას ერთვის და წინადადებაში მნიშვნელობას მისი წყალობით იძენს, ცალკე სიტყვა არ არის. იგი ერთ ძირითად სიტყვას სხვა ძირითად სიტყვად აქცევს. მაგალითად, ვთქვათ, მოცემულია სიტყვა *სახლი*. მას დამოუკიდებელი მნიშვნელობა გააჩნია და იგი ძირითადი სიტყვაა. თუ ამ სიტყვას დაერთვის კორტეჟი -*ში* (თანდებული), რომელიც დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელია, მაშინ მიიღება სიტყვა *სახლში*. იგი სხვა ძირითადი სიტყვაა და კორტეჟი *ში*-ს, ამ ძირითად სიტყვასთან ერთად, უკვე სრულიად გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება წინადადების გარეშეც, მაგრამ იგი სიტყვა არ არის, რადგანაც ცა-

ლკე არ იწერება. მაგალითად, წინადადებაში: „თამაზი სახლში მივიდა“ – სამი სიტყვაა. ამით ის გვინდა ვთქვათ, რომ, მაგალითად, *სახლი, სახლში, სახლთან*, ან, თუნდაც: *სახლმა, სახლად* და სხვ. ერთი სიტყვის სხვადასხვა ფორმა კი არ არის, არამედ ისინი სხვადასხვა სიტყვებია, სხვადასხვა კორტეჟები. წინადადებაში „კაცმა კაცი კაცად ცნო“ ოთხი სიტყვაა, ოთხი სხვადასხვა სიტყვა. მაგრამ პირობითად ასეთი თანდებულები და ნაწილაკები დამხმარე სიტყვათა კლასში შედის.

ძირითად სიტყვებს **სრულმნიშვნელობიან** სიტყვებს უწოდებენ, **დამხმარეს** კი – **არასრულმნიშვნელობიანს**.

თუ სიტყვა ბოლოვდება ხმოვანი (ღია) ბგერით, მას **ღია** სიტყვა ეწოდება, თუკი ბოლოვდება თანხმოვანი (დახურული) ბგერით, მას ეწოდება **დახურული** სიტყვა.

ყურადღებას იპყრობს სიტყვის დამარცვლის საკითხი.

მარცვლის ჩვენეული განსაზღვრის თანახმად, მაგალითად, სიტყვა **საღამო** ასე დაიმარცვლება: *სა-ღა-მო*, ან *საღ-ა-მო*, ან *სა-ღამ-ო*, ან კიდევ, *საღ-ამ-ო*. სიტყვა **გაგვწვრთნეს** ორმარცვლიანია და, ცხადია, რომ მრავალნაირად შეიძლება დაიმარცვლოს: *გა-გვწვრთნეს*, *გაგ-ვწვრთნეს*, *გაგვ-წვრთნეს*, *გაგვწ-ვრთნეს*, *გაგვწვ-რთნეს*, *გაგვწვრ-თნეს*, *გაგვწვრთ-ნეს*, *გაგვწვრთნ-ეს*.

თუ, წერის პროცესში, სიტყვა სტრიქონზე არ ეტევა და ნაწილი შემდეგ სტრიქონზე უნდა იქნას გადატანილი, მაშინ ნებისმიერი დამარცვლა არ ივარგებს. ამიტომ სიტყვის გადატანას თავისი წესები გააჩნია:

1. ერთმარცვლიანი სიტყვა არ გაიკვეთება (გაიყოფა), რაც უნდა დიდი იყოს იგი.

მაგალითად, „ცეცხლს“, „გვწვრთნის“ და სხვ. ერთმარცვლიანია, ამიტომ იგი ან წინა სტრიქონზე უნდა მოვათავსოთ, ან მთლიანად უნდა გადავიტანოთ მომდევნოზე.

2. თუ მარცვალი მართო ხმოვნისაგან შედგება, მისი წინა სტრიქონზე დატოვება ან შემდეგ სტრიქონზე გადატანა არ შეიძლება.

მაგალითად, სიტყვას „აუტანია“ სტრიქონიდან სტრიქონზე გადასატანად ვერ გავკვეთთ ასე: ა-უტანია, ვერც ასე: აუტანი-ა, არამედ იგი შეიძლება გაიკვეთოს მხოლოდ ასე: აუ-ტანია ან აუტა-ნია.

3. სიტყვა ყოველთვის შეგვიძლია გავკვეთოთ (გავყოთ) ხმოვნით გათავებულ მარცვალზე.

მაგალითად, სიტყვა „გაიხარა“ გადატანის მიზნით შეგვიძლია გავწყვიტოთ ყოველი ღია მარცვლის შემდეგ: გა-იხარა, გაი-ხარა, გაიხა-რა.

4. თუ სიტყვის შიგნით ერთად ორი ან მეტი თანხმოვანია, მაშინ პირველი მიეკუთვნება წინა მარცვალს, მეორე ან სხვები კი – შემდეგს.

მაგალითად: ცერ-ცვი, ყურ-ძნისა, ფურ-ცლოვანი.

5. არ არის სასურველი, გაითიშოს თანხმოვანთა ჯგუფები: ფხ, თხ, ცხ, ჩხ, ბღ, დღ, ძღ, ჯღ, ჰყ, ტყ, წყ, ჭყ, რომელთაც ჰარმონიულ ჯგუფებს ვუწოდებთ.

მაგალითად: ზა-ფხული (და არა ზაფ-ხული), სი-თხე (და არა სით-ხე) და ა. შ.

6. მიუღებელია, რომ გადატანის დროს ფუძისეული თანხმოვანი დავტოვოთ ზმნისწინთან (წაყ-ვანა კი არა: წაყვანა), ან გადავიტანოთ თანდებულთან ერთად (სახ-ლში კი არა: სახლ-ში).

ბეჭდვით გამოცემებში, ტექნიკური მიზეზების გამო, გადატანის წესების დაცვა სავალდებულო არ არის.

ბინარული მიმართებანი სიტყვათა შორის


(სინონიმები და ანტონიმები)

საკითხს მივუდგეთ არა ფორმალურად და ინტუიციით, არამედ სისტემურად. ამისათვის მოვიშველიოთ ეილერ-ვენის დიაგრამები: შეკრული მრუდით (ან წრით) გამოვსახოთ სიტყვის სემანტიკა და გამოვარკვიოთ, როგორი ურთიერთმდებარეობა შეიძლება ჰქონდეს ორ შეკრულ მრუდს (ან წრეს).

ცნობილია, რომ ორ წრეს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ოთხი ურთიერთმდებარეობა:

- ან ემთხვევიან ერთმანეთს,
- ან კვეთენ ერთმანეთს,
- ან ერთი წრე მოიცავს მეორეს,
- ან საერთო არაფერი არა აქვთ.

სხვა შემთხვევა არ არსებობს (იხ. ნახაზი).



პირველი სამი შემთხვევა სიტყვათა სემანტიკების თავსებადობას ნიშნავს, ანუ – შესაბამის სიტყვათა თავსებადობას. რაც შეეხება მეოთხე შემთხვევას, ეს სემანტიკების არათავსებადობაა, ანუ – შესაბამის სიტყვათა არათავსებადობა.

განვიხილოთ **თავსებადობის** შემთხვევები.

1. ორი სიტყვის სემანტიკები ემთხვევა ერთმანეთს. ეს არის აბსოლუტური სინონიმის შემთხვევა.

2. ორი სიტყვის სამანტიკები ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს. ეს არის ფარდობითი სინონიმის შემთხვევა.

3. ერთი სიტყვის სემანტიკა მოიცავს მეორე სიტყვის სემანტიკას. ეს არის ცალმხრივი სინონიმის შემთხვევა.

მაშასადამე, სინონიმები სამი სახისაა:

➤ **აბსოლუტური** სინონიმები (მაგალითად, *კომში* და *ბია*, *ფელამუში* და *თათარა*, ...),

➤ **ფარდობითი** ანუ რელატიური სინონიმები (მაგალითად, *ლამაზი* და *მშვენიერი*, *ხარბი* და *გაუმაძღარი*, ...),

➤ **ცალმხრივი** ანუ გვარობით-სახეობითი სინონიმები (მაგალითად, *ხილი* და *ვაშლი*, *კენკრა* და *ჟოლო*, ...). ცალმხრივ სინონიმებს **ჰიპონიმებს** უწოდებენ (კენკრა – **ჰიპერონიმი**, ჟოლო – **ჰიპონიმი**).

ფარდობითი სინონიმების მნიშვნელობები ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს. განვიხილოთ, მაგალითად, სიტყვები **აფრა** და **იალქანი**. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით **აფრა**-ს გააჩნია ოთხი მნიშვნელობა: 1) ხომალდის ანძაზე მიმაგრებული საგანგებო ტილო ხომალდის ასამოძრავებლად ქარის ძალის გამოყენებით, 2) ფიცრული სახლის კედელში ვერტიკალურად დაყენებული სქელი ფიცარი, ორივე მხრიდან გრძლად ამოღარული, 3) ქუდის ანაკეცი, 4) სამკუთხედი, რომელიც იქმნება გუმბათიან შენობაში სწორკუთხოვნად აყვანილი კედლებიდან წრიულ გუმბათზე გადასვლის ადგილას. **იალქან**-ს ორი მნიშვნელობა აქვს: 1) ხომალდის ანძაზე მიმაგრებული ტილო, რომელ-

საც საჭიროებისამებრ გაშლიან ხომალდის ასამოდრავებლად ქარის საშუალებით, 2) პატარძლის საქორწინო (ჯვრისწერის) გვირგვინი. ამ სიტყვების მნიშვნელობათა ნაწილობრივი დამთხვევა სრულიად აშკარაა.

გვარობით-სახეობითი (გვარსახეობითი) სინონიმები ცალმხრივი იმიტომ არის, რომ გვარობითი სემანტიკის მქონე სიტყვა შეიძლება სახეობითი სემანტიკის მქონე სიტყვის სინონიმად გამოვიყენოთ, მაგრამ პირუკუ – ეს შეუძლებელია. მაგალითად, ნაცვლად გამოთქმისა „ვარდს სჭირდება მოვლა“ გარკვეულ კონტექსტში შეიძლება ითქვას: „ყვავილს სჭირდება მოვლა“. ამ შემთხვევაში „ყვავილი“ და „ვარდი“ სინონიმებია. „ყვავილი“ გამოდის „ვარდის“ მნიშვნელობით, მაგრამ „ვარდის“ გამოყენება „ყვავილის“ მნიშვნელობით არ შეიძლება.

ჰიპონიმია ცალკე არ არსებობს, იგი სინონიმის მესამე კერძო შემთხვევას წარმოადგენს.

მაშასადამე, შევიძლია შემოვიღოთ შემდეგი განსაზღვრები:

განსაზღვრა 1. თავსებად სიტყვებს, რომელთა მნიშვნელობები ერთმანეთს ემთხვევა, **აბსოლუტური სინონიმები** ეწოდება.

განსაზღვრა 2. თავსებად სიტყვებს, რომელთა მნიშვნელობები ერთმანეთს ნაწილობრივ ემთხვევა, **ფარდობითი ანუ რელატიური სინონიმები** ეწოდება.

განსაზღვრა 3. თავსებად სიტყვებს, როცა ერთი სიტყვის მნიშვნელობა მოიცავს მეორის მნიშვნელობას, **ცალმხრივი სინონიმები** ანუ **ჰიპონიმები** ეწოდება.

განვიხილოთ **არათავსებადობის** შემთხვევები.

არათავსებადობის შემთხვევაში სიტყვების სემანტიკებს არაფერი საერთო არა აქვთ. მაგრამ ასეთ შემთხვევას ორი ქვეშემთხვევა გააჩნია:

ა) სიტყვების მნიშვნელობები ერთმანეთს არ კვეთენ და, ამასთან, ეს სიტყვები ერთმანეთის მოპირდაპირეც არ არის. მაგალითად, სიტყვები **გუთანი** და **მერხი** ერთმანეთის თავსებადი არ არის და არც ერთმანეთის მოპირდაპირეა. ასეთ სიტყვებს **თანადაქვემდებარებულ** სიტყვებს უწოდებენ. ისინი ერთნაირად, თანაბრად ექვემდებარებიან ენის ლექსიკას. უფრო კონკრეტულად – ეს ორი სიტყვა ერთნაირად ექვემდებარება, მაგალითად, სიტყვას **საგანი**, რადგანაც ეს უკანასკნელი ორივეს გვარს წარმოადგენს.


ბ) სიტყვების მნიშვნელობები ერთმანეთს არ კვეთენ და, ამასთან, ეს სიტყვები ერთმანეთის მოპირდაპირეა. მაგრამ ეს მოპირდაპირეობა ორგვარია:

➤ არაწინააღმდეგობრივი მოპირდაპირეობა (ერთი არ არის მეორის უარყოფა),

➤ წინააღმდეგობრივი მოპირდაპირეობა (ერთი წარმოადგენს მეორის უარყოფას).

სწორედ ეს მეორე შემთხვევა იძლევა **ანტონიმების** ორ სახეს.

ეილერ-ვენის დიაგრამებით არათავსებადობის სამივე შემთხვევა ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ:



ანტონიმების მაგალითებია: *დღე და ღამე, პატარა და დიდი, ნათელი და ბნელი, ძლიერი და სუსტი, სიცხე და სიცივე, წესიერი და არაწესიერი, სწორი და არასწორი, საიმედო და არასაიმედო* და სხვ.

ავიღოთ ანტონიმების წყვილი: **დღე და ღამე**. თუ განვიხილავთ სიტყვებს: *დილა, ალიონი, ცისკარი, განთიადი, აისი, დაისი, მწუხრი, საღამო* – ვნახავთ, რომ ეს ისეთი სიტყვებია, რომელთა მნიშვნელობები მოცემული ანტონიმების შუალედურია. მაგალითად, **განთიადი** არც დღეა და არც ღამე. იგი დღისა და ღამის შუალედურია. ასეა სხვებიც.

იგივე ითქმის, აგრეთვე, სხვა ანტონიმების შესახებაც: *პატარა და დიდი* (შუალედურია საშუალო), *ნათელი და ბნელი* (შუალედურია მრუმე, ბურუსიანი და სხვ.), *მეტი და ნაკლები* (შუალედურია ტოლი), *დადებითი რიცხვები და უარყოფითი რიცხვები* (შუალედურია ნული) და სხვ.

მაგრამ, თუ განვიხილავთ ანტონიმებს: **წესიერი და არაწესიერი**, აქ შუალედურს ვერ ვიპოვით, რადგანაც იგი არ არსებობს. ასეთია, აგრეთვე, ანტონიმები: *სწორი და არასწორი, ქუდიანი და უქულო* და სხვ.

მამასადამე, ანტონიმები ორი სახისაა:

➤ **აბსოლუტური** ანტონიმები (მაგალითად, *ღამაზი და უღამაზო, დიდი და არადიდი, საკმაო და არასაკმაო, ...*). მათ შუალედური სიტყვები არ გააჩნიათ;

➤ **ფარდობითი** ანუ რელატიური ანტონიმები (მაგალითად, *ღამაზი და უშნო, დიდი და პატარა, ვიწრო და განიერი, ...*). მათ შუალედური სიტყვები გააჩნიათ.

ასეთი ანტონიმები ქმნიან **კონტრადიქტორულ** და **კონტრარულ** ცნებებს. აბსოლუტური ანტონიმები ერთიმე-

რის უარყოფას წარმოადგენენ, ფარდობითები – არა, აბსოლუტურ ანტონიმებს ძირები ერთნაირი აქვთ, ფარდობით ანტონიმებს – არა.

მაშასადამე, შევიძლია შემოვიღოთ შემდეგი განსაზღვრები:

განსაზღვრა 1. არათავსებად სიტყვებს, რომელთა მნიშვნელობები ერთმანეთის საწინააღმდეგოა, **აბსოლუტური ანტონიმები** ეწოდება.

განსაზღვრა 2. არათავსებად სიტყვებს, რომელთა მნიშვნელობები ერთმანეთის მოპირდაპირეა, მაგრამ არასაწინააღმდეგო, **ფარდობითი ანუ რელატიური ანტონიმები** ეწოდება.

სიტყვის მნიშვნელობა

პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა. ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობით ვიხმაროთ. მაგალითად: **თვალი** – მხედველობის ორგანო, **თვალი** – ურმის ბორბალი, **თვალი** – ძვირფასი ქვა და სხვ. ეს სიტყვა შეიძლება გადატანითი მნიშვნელობითაც გამოვიყენოთ: „თვალში ეკლად ესობა“ და სხვ. სიტყვა გადატანითი მნიშვნელობითაა ნახმარი მხოლოდ მაშინ, როცა მას მიეწერება სხვა საგნის თვისება. სიტყვა გადატანითი მნიშვნელობით შეიძლება იხმაროს ერთმა ვიღაცამ, შემდეგ ეს მნიშვნელობა ენაში დამკვიდრდეს იმდენად, რომ იგი ძირითადი გახდეს ამ სიტყვისათვის. ეს მაშინ, როცა სიტყვა რაიმე საგნის სახელს წარმოადგენს. სახელს არქმევენ! სახელს იგონებენ კიდევ! ვიღაცამ ოდესღაც **თავი** უწოდა იმას, რაც ადამიანს მხრებზე ადგას, – მაგრამ შემდეგ ვიღაცამ **თავი** უწოდა

ხახვის ან ნივრის გამსხვილებულ ნაწილსაც, ვიღაცამ კიდევ **თავი** უწოდა რაიმე თხზულების დასრულებულ ნაწილსაც. შემდეგ ეს მნიშვნელობები ისე დამკვიდრდა ენაში, რომ ყველა შემთხვევაში სრულუფლებიანი გახდა. მაშ, რატომ უნდა ჩავთვალოთ პირველი **თავი** ძირითადად და დანარჩენი გადატანითად? ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ ხახვის გამსხვილებულ ნაწილს **თავი** უწოდეს ამ სიტყვის პირველი მნიშვნელობის ანალოგიით? არა! სიტყვის წარმოშობას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, თუ როგორია დღევანდელი ვითარება! **თავის** ზემოთ მოყვანილი მნიშვნელობანი და კიდავ მრავალი სხვა – ძირითადია, რადგანაც **თავი** ყველა შემთხვევაში გარკვეულ საგანს ჰქვია, ის სახელია მათი, **თავი** გადატანითი მნიშვნელობითაა ნახმარი შემთხვევებში: „თავი მოიკლა“, „თავზე საყრელი“ და სხვ.

ნებისმიერი საკუთარი სახელი ვიღაცამ პირველად დაარქვა თავის შვილს, მერმე მრავალმა გაიმეორა ეს სახელი. მაგრამ პირველად დარქმეული სახელი არ არის ძირითადი და დანარჩენი გადატანითი, ყველა ძირითადია. ხომ შეიძლება იგივე სახელი ძალსაც დაარქვან. ისიც ძირითადი იქნება.

მრავალმნიშვნელობა და ომონიმები. სიტყვას შეიძლება ერთზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. მაგალითად: **კავი** – 1. ბოლოში მოკაკული, მოკაუჭებული რკინა (ჯოხი, ...) რამეზე გამოსადებად, რისამე დასაკიდებლად. 2. ნავის ღუზა. 3. მიწის სახვნელი ძველი იარაღი. 4. სახურავის ლატანი, რომელზედაც მაგრდება სახლის სახურავად გამოყენებული მასალა (კრამიტი, ყავარი, ...). 5. ვაზის უღვაში, რომლითაც ის ჭიგოს ეხვევა. 6. საფეთქლებიდან ლოყაზე ჩამოშვებული

დახვეული თმა (ლექსიკონი). **კოკორი** – 1. საყვავილე კვირტი, გაუშლელი ყვავილი. 2. პატარა კვერი (მჭადისა, პურისა) (ლექსიკონი).

მსგავსი მაგალითები ქართულში უამრავია, და ყოველი ასეთი სიტყვის ყველა მნიშვნელობა ძირითადია.

საინტერესოა ერთი საკითხიც: სიტყვა **კოლერი** ლათინურიდან ქართულში შემოვიდა მნიშვნელობით: საღებავის ფერი, მისი ტონი, სიმუქე. იგივე სიტყვა გერმანულიდან შემოვიდა მნიშვნელობით: ცხენის ერთგვარი გაფიცება, გააგება. მაგრამ დღეს იგი ქართულში არ შეიძლება ორ სიტყვად მივიჩნიოთ. ის ერთი კორტეჟია, ერთი სიტყვაა ორი მნიშვნელობით.

როგორი წარმოშობისაა სიტყვა და როგორია მისი წარმოქმნის გზები, ეს ენათმეცნიერების ისტორიის საგანია. თანამედროვე ქართული ენისათვის ისაა მთავარი, რომ მასში არსებობს სიტყვა ერთი ან ერთზე მეტი მნიშვნელობით.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში კი სხვადასხვა წარმოშობის ერთი და იგივე სიტყვა ორ ან მეტ სიტყვადაა მიჩნეული და სხვადასხვა ბუდეებშია მოთავსებული, რაც, უდავოდ, არასწორია. ასეთი სიტყვებია, მაგალითად, *კოლერი*, *ნათელი*, *ნარი*, *სერი*, *ხარგა* და მრავალი სხვა.

უმჯობესია, სიტყვის წარმოშობის საკითხი დავუტოვოთ ენათმეცნიერების ისტორიას. ქართული ენა კი ავაგოთ რეალურად არსებული ვითარების თანახმად, რომ ენის ლექსიკის კლასიფიცირება შევძლოთ.

სიტყვა შეიძლება **სინონიმი** იყოს მხოლოდ სხვა სიტყვასთან მიმართებაში, ასევე, სიტყვა შეიძლება **ანტონიმი** იყოს მხოლოდ სხვა სიტყვასთან მიმართებაში, რადგანაც

სინონიმობაც და ანტონიმობაც ბინარული მიმართებაა, მაგრამ სიტყვა არ შეიძლება **ომონიმი** იყოს სხვა სიტყვასთან მიმართებაში, რადგანაც ომონიმობა უნარული მიმართებაა და არა – ბინარული. სიტყვა მხოლოდ თავის თავშია ომონიმი. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი პოლისემიური სიტყვა ომონიმს წარმოადგენს.

რაც შეეხება განმარტებით ლექსიკონში სხვადასხვა ბუდეებს, მათში, ალბათ, უპრიანია, მოთავსდეს ერთნაირი კორტეჟები (სიტყვები), რომლებიც მეტყველების სხვადასხვა ნაწილებს განეკუთვნება. მაგალითად:

➤ **ახრა¹** – (არს. სახ.) სალი კლდე, ციცაბო, კორტოხი; **ახრა²** – (ზმნა) აღუნვა.

➤ **განსაზღვრა¹** – (არს. სახ.) წინადადება, რომელიც რაიმე ცნების მეცნიერული დახასიათების შედეგადაა მიღებული მისი დეფინიციის სახით; **განსაზღვრა²** – (საწყისი ზმნა) პოლისემიური სიტყვაა.

➤ **მერე¹** – (ზმნიზედა) შემდეგ, მერმე; **მერე²** – (არს. სახ.) წყლის სანაპიროზე მდებარე ვაკე ადგილი.

აი, ასეთ ტოლკორტეჟებიან სიტყვებს, რომლებიც მეტყველების სხვადასხვა ნაწილებს ეკუთვნიან, შეგვიძლია ვუწოდოთ **ომონიმები**. ეს უკვე ბინარული მიმართებაა.

მნიშვნელობის ცვლა. სიტყვის მნიშვნელობა ისტორიულად შეიძლება შეიცვალოს. მაგალითად: **კუბო** თანამედროვე გაგებით მიცვალებულთა ჩასასვენებელია, მაგრამ ძველად ამ სიტყვით აღინიშნებოდა ოთხ სვეტზე დაყრდნობილი გადახურული (თალიანი) კარავი. ეს კარავი ან მოძრავი იყო, ან უძრავი. მოძრავი **კუბო-ტახტრევანი** გამოიყენებოდა მაღალი სოციალური ფენის, შეძლებული ადამიანების, საპა-

ტიო სტუმრების ტრანსპორტირებისთვის. **ცხედარი** ძველ ქართულში აღნიშნავს საწოლს (ტახტს), აქედანაა – **თანამეცხედრე**, დღეს კი აღნიშნავს მიცვალებულის გვამს. **მეცნიერი** აღნიშნავდა ნასწავლს, მცოდნეს, დღეს კი აღნიშნავს მკვლევარს. **მედგარი** აღნიშნავდა ზარმაცს, მცონარს, დღეს კი ნიშნავს მამაცს, მტკიცეს, შეუდრეკელს და სხვ.

სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება გაფართოვდეს ან შევიწროვდეს. მაგალითად: **რვეული** აღნიშნავდა მხოლოდ რვა ფურცლიან კონას. დღეს მისი მნიშვნელობა გაფართოვდა და რვეული აღნიშნავს ნებისმიერი რაოდენობის ფურცლების მქონე შეკვრას. ასევე გაფართოვდა მნიშვნელობა სიტყვებისა: **ლიმონათი**, **მელანი**, **ქვეყანა** (მიწა, მხარე) და სხვ. დავიწროვდა მნიშვნელობა სიტყვებისა: **სოფელი** (ქვეყანა, სამყარო), **სტუდენტი** (საერთოდ მოსწავლე) და სხვ.

სიტყვა

როგორც გრამატიკული ერთეული

სიტყვა ენაში სემანტიკური ერთეულია, მაგრამ მას ახასიათებს სხვა მხარეც. მაგალითად, ავიღოთ ორი სიტყვა: **ნუში** და **აყვავდა**. გარდა ძირითადი, ლექსიკური, მნიშვნელობებისა, ამ სიტყვებს აქვთ გრამატიკული მნიშვნელობებიც ანუ გრამატიკული კატეგორიები. სიტყვას **ნუში** აქვს სახელობითი ბრუნვის გრამატიკული მნიშვნელობა (კატეგორია), ასევე, მხოლოდობითი რიცხვისა. ხოლო ზმნაში **აყვავდა** ერთდროულად რამდენიმე ზმნური კატეგორიაა (გრამატიკული მნიშვნელობა) წარმოდგენილი. კერძოდ: მესამე პირისა, მხოლოდობითი რიცხვისა, წარსული დროისა, სრული ასპექტისა, ვნებითი გვარისა, ...

როგორც ჩანს, სიტყვას თავის სემანტიკურ მხარესთან ერთად შეიძლება ახლდეს ერთი ან ერთზე მეტი გრამატიკული მნიშვნელობა, რომელიც ფორმის საშუალებით არის გადმოცემული. ეს იმას ნიშნავს, რომ სიტყვა არის არა მხოლოდ სემანტიკური ერთეული, არამედ გრამატიკულიც.

სიტყვათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია

ქართულ ენაში ზოგიერთი სიტყვა **ფორმაცვალებადია**, გარეგნობას იცვლის, ზოგი კი **ფორმაუცვლელია**, გარეგნობას არ იცვლის. სიტყვის ფორმაცვალებადობა ნიშნავს, რომ ეს სიტყვა მეტყველებაში სხვადასხვა სახით, სხვადასხვა ფორმით გამოიყენება: კაც-ი, კაც-მა, კაც-ს, ... ვ-ხატავ, ხატავ, ხატავ-ს, ... და სხვ. სიტყვის ფორმაუცვლელობა კი ნიშნავს, რომ მეტყველებაში ეს სიტყვა ყოველთვის ერთი და იგივე სახით გვხვდება.

ფორმაცვალებადია სახელები, ზმნები და მიმღეობები. ფორმაუცვლელია ზმნიზედები, თანდებულები, კავშირები, ნაწილაკები და შორისდებულები.

ფორმაცვალებადი სიტყვებიდან ზოგი ბრუნებადია, ზოგი – უღლებადი. ბრუნებადია სახელები, უღლებადია საწყისებიდან წარმოებული ზმნები. ბრუნებადია, აგრეთვე, საწყისი ზმნები (ზოგადი მდგომარეობის გამომხატველი ზმნები) და მიმღეობები, თუმცა, მათ სხვა მორფოლოგიური ნიშნებიც ახლავთ.

სიტყვის მორფოლოგიური შედგენილობა

ზოგიერთი სიტყვა მეტყველებისას ფორმას იცვლის, სხვადასხვა სახით წარმოგვიდგება. ასეთი სიტყვა იშლება ნაწილებად, იგი დაშლადია. ზოგიერთი კი ფორმას არ იცვლის, ყოველთვის ერთი და იგივე სახე აქვს. ასეთი სიტყვა დაუშლადია (არადაშლადი). ავიღოთ, მაგალითად, სიტყვები: **სამშობლო-ში, ფოთლებიან-მა, ბავშვურ-ი**. როგორც ჩანს, ეს სიტყვები დაშლილია ორ-ორ ნაწილად, ე. ი. ისინი დაშლადია. მაგრამ სიტყვები: **ხვალ, ზეგ, წინ, უკან** – არ იშლება, მათში არ გამოიყოფა ნაწილები. ეს სიტყვები დაუშლადია. მამასადამე, ფორმაცვალებადი სიტყვები დაშლადია, ხოლო ფორმაუცვლელი სიტყვები – დაუშლადი.

თუ დავაკვირდებით, ზემოთ მოცემული დაშლილი სიტყვების პირველ ნაწილებს უკავშირდება სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა: **სამშობლო-** მიუთითებს ქვეყანაზე, **ფოთლებიან-** მიუთითებს ფოთლების მქონე საგანზე, **ბავშვურ-** მიუთითებს ბავშვისათვის დამახასიათებელ თვისებაზე.

განსაზღვრა 1. სიტყვის ნაწილს, რომელიც რჩება დაბოლოების ჩამოშორების შემდეგ და რომელთანაც დაკავშირებულია სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა, **სიტყვის ფუძე** ეწოდება.

მაგალითად, სიტყვაში **სახლი** ფუძეა **სახლ**, სიტყვაში **ხატავს** ფუძე იქნება **ხატავ**.

ზემოთ განხილული სიტყვების (სამშობლო-ში, ფოთლებიან-მა, ბავშვურ-ი) მეორე ნაწილებს (-ში, -მა, -ი) ლექსიკური მნიშვნელობა არა აქვთ. მათ გრამატიკული (სხვა სიტყვებთან დაკავშირების) ფუნქცია აკისრიათ.

ისინი ფუძეებს უპირისპირდებიან.

მაშასადამე, სახელში გამოიყოფა **ფუძე** (ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელი ნაწილი) და **აფიქსი** (გრამატიკული მნიშვნელობის მქონე ნაწილი).

სიტყვას, რომლის ფუძე ბოლოვდება თანხმოვნით, **დახურულფუძიანი** სიტყვა ეწოდება, ხოლო სიტყვას, რომლის ფუძე ბოლოვდება ხმოვნით, – **ღიაფუძიანი**.

აგებულების თვალსაზრისით ფუძე შეიძლება იყოს **მარტივი** (შემდგომ დაუშლადი) ან **ნაწარმოები** (წარმოქმნილი ან რთული). **წარმოების** მიხედვით – **პირველადი** (მაგალითად, **კაც-ობა**) ან **მეორეული** (მაგალითად, **კაცობ-რიობა**). **მნიშვნელობის** თვალსაზრისით – **მოტივირებული** (თუ მისი მნიშვნელობა გასაგები ხდება მასში შემავალი ნაწილების მნიშვნელობით. მაგალითად, **სა-კაც-ე**) ან **არამოტივირებული** (წინააღმდეგ შემთხვევაში. მაგალითად, **სარკმელი**).

განსაზღვრა 2. სიტყვის ნაწილს, დამხმარე მნიშვნელობის მინიმალურ მორფოლოგიურ ერთეულს, რომელიც დაერთვის სიტყვის ძირს ან ფუძეს და ასრულებს სიტყვაწარმოებით ან ფორმაწარმოებით ფუნქციას, **აფიქსი** ეწოდება.

განსაზღვრა 3. **აფიქსს**, რომელიც წინ უძღვის ძირეული სიტყვის ფუძეს **პრეფიქსი** (თავსართი) ეწოდება. მაგალითად: **სა-შუალი**.

განსაზღვრა 4. **აფიქსს**, რომელიც ბოლოში ერთვის ძირეული სიტყვის ფუძეს **სუფიქსი** (ბოლოსართი) ეწოდება. მაგალითად: **ქალაქ-ელ-ი**.

განსაზღვრა 5. **აფიქსს**, რომელიც ძირეული სიტყვის ფუძეს შიგ ჩაერთვის, **ინფიქსი** (ჩასართი) ეწოდება. მაგალითად: **ხვნა** (← ხნვა), **ხვრა** (← ხრვა), ...

ნამდვილი ინფიქსური წარმოება ქართულს არ ახასიათებს. დასახელებული შემთხვევები ბგერის გადასმის შედეგია მხოლოდ.

თვით ფუძეები ხშირად ნაწარმოებია საწარმოქმნო აფიქსებით. **სამშობლო-** ფუძე იყოფა ოთხ ნაწილად: **სა-მ-შობ-(ე)ლ-ო;** **ფოთლებიან-** ფუძე იყოფა სამ ნაწილად: **ფოთლ-ებ-იან;** **ბავშვურ-** ფუძე იყოფა ორ ნაწილად: **ბავშვ-ურ**. **შობ** ელემენტისაგან საწარმოქმნო აფიქსების დართვით შეიძლება ვაწარმოოთ ლექსიკური შინაარსის მქონე სხვა ერთეულებიც: **შობ-ილ-ი, მ-შობ-ელ-ი, მ-შობ-ლ-ი-ურ-ი, უ-სა-მ-შობ-ლ-ოო** და სხვ. **ფოთ(ო)ლ** ელემენტისაგან – **უ-ფოთლ-ო, ფოთლ-იან-ი** და სხვ. **ბავშვ-** ელემენტისაგან – **ბავშვ-იან-ი, სა-ბავშვ-ო, ბავშვ-ობა** და სხვ. **შობ-** ელემენტისაგან ნაწარმოები ერთეულებისათვის **შობ-** საერთოა და მეტად არ იშლება, დაუშლადია. მეორე ჯგუფისათვის საერთოა **ფოთ(ო)ლ-**, მესამისთვის – **ბავშვ-**.

მაშასადამე, განსხვავებული ლექსიკური მნიშვნელობის მქონე მონათესავე სიტყვებს საერთო უმარტივესი, დაუშლადი ნაწილი აღმოაჩნდა: **შობ-, ფოთლ-, ბავშვ-**.

განსაზღვრა 6. სიტყვის დაუშლად ნაწილს, რომელიც რჩება აფიქსების ჩამოშორების შემდეგ, **სიტყვის ძირი** ეწოდება.

ზოგჯერ სიტყვის ძირი ემთხვევა სიტყვის ფუძეს (მაგალითად, სიტყვებში: ბავშვი, გოგრა, მძიმე და სხვ.), მაგრამ არის შემთხვევები, როცა სიტყვის ძირი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი ბგერაც კი. მაგალითად, სიტყვაში **შეაქებს** ფუძეა **შეაქებ-**, ძირის საპოვნელად კი მივმართოთ მონათესავე სიტყვებს: **შეაქებს, შეაქებ, უქია, აქებ, უქებ, აქო, იქე** და სხვ. ამ

მწკრივში სიტყვების ურთიერთშეპირისპირება გვაძლევს სა-
შუალებას, მოცემული სიტყვა დავშალოთ შემდეგნაირად:
შე-ა-ქ-ებ-ს. მონათესავე სიტყვების საერთო ელემენტია მხო-
ლოდ ერთი **ქ**. მაშასადამე, სიტყვის **შეაქებს** ძირია **ქ**.

ფუნქციის (დანიშნულების) მიხედვით აფიქსები ორი
სახისა გვხვდება. ერთნი სიტყვას უცვლიან **გრამატიკულ**
ფორმას (ბრუნვის ნიშნები), მეორენი – **ლექსიკურ მნიშვნე-**
ლობას (-იან, -ოვან, -ურ, -ულ, სა-ო, სა-ეთ და სხვ.).

აფიქსები, რომლებიც სიტყვას **გრამატიკულ ფორმას**
უცვლიან, **მიმოსახრელი** ანუ **ფორმასაწარმოებელი** აფიქსე-
ბია, ამ აფიქსებით სიტყვის ცვალებას **მიმოხრა** ჰქვია.

მიმოხრის ფარგლებში იცვლება სიტყვის ფორმა, ლექ-
სიკური შინაარსი კი უცვლელი რჩება. ქართულ წინადადე-
ბაში სიტყვათა ერთმანეთთან შეკავშირება ძირითადად სწ-
ორედ მიმოსახრელი აფიქსებით ხორციელდება.

მეორეს მხრივ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულში
გვაქვს **მნიშვნელობის შემცვლელი** აფიქსებიც. მაგალითად,
სიტყვები: **იმერეთი, იმერელი, იმერული** ერთი ძირიდან
მომდინარეობენ, მაგრამ მნიშვნელობის მხრივ მათ შორის
დიდი განსხვავებაა: **იმერეთი** საქართველოს ერთ-ერთ მხა-
რეს აღნიშნავს, **იმერელი** – იმერეთის მკვიდრს, ე. ი. იმე-
რელი ადამიანია, **იმერული** კი მიუთითებს საგანზე, რომე-
ლიც იმერეთთანაა დაკავშირებული.

ამ სიტყვათა შორის განსხვავებას ქმნის **-ეთ, -ელ, -ულ**
აფიქსები. ისინი (და ასეთები სხვაც ბევრია) **მნიშვნელობის**
შემცვლელი (მცვლელი) ანუ **საწარმოქმნო** აფიქსებია. ე. ი.
სახელები არის **ძირეული** და **წარმოქმნილი**.

წარმოქმნილი სახელები ერთმანეთისგან განსხვავდება შინაარსით, ფორმა კი შეიძლება გამეორდეს. მაგალითად, **კაცი** აწარმოებს შვიდ ბრუნვის ფორმას და ამ ფორმებს იმეორებს მისგან ნაწარმოები (წარმოქმნილი) სიტყვებიც: **კაცური, კაცობრიობა, საკაცე, უკაცრიელი** და სხვ.

ერთდროულად ორ ფუნქციას ასრულებს (მიმოსახრელებიცაა და წარმომქმნელებიც) მრავლობითობის აღმნიშვნელი **-ებ** და **-ნ** სუფიქსები: **ბავშვი – ბავშვებ-ი, ბავშვ-ნ-ი**. სამივე სიტყვა ერთსა და იმავეს აღნიშნავს (ლექსიკურად), სამივეგან ლაპარაკია ბავშვზე და განსხვავდებიან კიდევ (რაოდენობით).

გრამატიკული კატეგორია და მისი გამოხატვის საშუალება

სიტყვას, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თავისი ძირითადი, ლექსიკური, მნიშვნელობის გარდა, შეიძლება ჰქონდეს ერთი ან ერთზე მეტი გრამატიკული მნიშვნელობაც, რომლებიც სათანადო ფორმით გამოიხატება.

განსაზღვრა. სიტყვის გრამატიკულ მნიშვნელობას, რომელიც გამოხატულია აფიქსით, სიტყვის **გრამატიკული კატეგორია** ეწოდება.

მაგალითად, სახელს აქვს **ბრუნვისა** და **რიცხვის** გრამატიკული კატეგორიები. გრამატიკული კატეგორია ხასიათდება ორი მხარით: **გარეგანი** და **შინაგანი**. შინაგანი მხარე **მნიშვნელობაა**, გარეგანი – **ფორმა**. გრამატიკული ფორმის გარეშე არ არსებობს გრამატიკული მნიშვნელობა.

გრამატიკული კატეგორია არის მორფოლოგიური და სინტაქსური.

მორფოლოგიური კატეგორია ყალიბდება თანაზომად ფორმათა შეპირისპირების საფუძველზე. ეს იმას ნიშნავს, რომ გრამატიკული კატეგორიის არსებობის აუცილებელი პირობაა მოცემულის საპირისპირო ფორმათა არსებობა. მაგალითად, **კაც-ი** მხოლოობითი რიცხვის ფორმაა, რადგანაც მას აქვს მრავლობითი რიცხვის ფორმაც: **კაც-ებ-ი, კაც-ნ-ი**. რომ არ არსებობდეს **კაც-ებ-ი, კაც-ნ-ი**, მაშინ **კაც-ი** რიცხვის არმქონე სახელად ჩაითვლებოდა. ასევე: **კაც-ი** სახელობითი ბრუნვის ფორმაა, რადგან მის გვერდით გვაქვს სიტყვებიც: **კაც-მა, კაც-ს, კაც-ის, კაც-ით, კაც-ად, კაც-ო**. ეს ფორმები რომ არ არსებობდეს და **კაც-ი** მხოლოდ ამ სახით იხმარებოდეს, მაშინ ის უბრუნველ სახელად ჩაითვლებოდა, ე. ი. მას ბრუნვის კატეგორია არ ექნებოდა. იგივე ითქმის სხვა სიტყვების შესახებაც. ქართულ ზმნას აქვს **ქცევის** კატეგორია, რადგან არსებობს ქცევის გამომხატველი ურთიერთსაპირისპირო ზმნური ფორმები: **ა-შენებს** (საარვისო ქცევა), **ი-შენებს** (სათავისო ქცევა), **უ-შენებს** (სასხვისო ქცევა). ასევე დგინდება ზმნაში პირის, რიცხვის, გვარის და სხვათა მორფოლოგიური კატეგორიები.

სინტაქსური კატეგორია ყალიბდება წინადადებაში სიტყვის ფუნქციის მიხედვით.

ლექსიკა

განსაზღვრა 1. ენის ყველა სიტყვათა სიმრავლეს, რომელზედაც განსაზღვრულია სიტყვათა შორის სემიოტიკურ-გრამატიკული მიმართებები, ამ ენის **ლექსიკა** ეწოდება.

მაშასადამე, **ლექსიკა** არ არის სიტყვათა უბრალო გაერთიანება. ამ გაერთიანებაში სიტყვათა შორის გარკვეული

მიმართებები უნდა სრულდებოდეს. ამიტომ ქართული ენის ლექსიკა ფეთქავს, როგორც ცოცხალი ორგანიზმი და მუდმივი განვითარების პროცესშია.

ლექსიკის ენობრივი სიმდიდრე და სიდიადე ლექსიკონებში აისახება.

განსაზღვრა 2. ენის (ან ენების) ლექსიკურ ერთეულთა შორის ერთგვაროვან ენობრივ ბინარულ მიმართებათა კლასს **ლექსიკონი** ეწოდება.

ეს არის ლექსიკონის ზოგადი დეფინიცია. მასზე დაყრდნობით კი თითოეული ლექსიკონი განისაზღვრება ცალკე. მაგალითად:

ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონი ეწოდება ისეთ ლექსიკონს, რომელშიც მეცნიერულად არის დამუშავებული ქართული ენის ლექსიკის სიტყვათა შორის სინონიმურ მიმართებათა კლასი.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ეწოდება ისეთ ლექსიკონს, რომელშიც განმარტებულია ქართული ენის ლექსიკის თითოეული სიტყვა.

აქ თავისთავად იგულისხმება, რომ მოძებნილია ბინარული ენობრივი მიმართება სიტყვასა და მის განმარტებას შორის.

ანალოგიურად განისაზღვრება სხვა სახის ლექსიკონებიც: ანტონიმების, პარონიმების და სხვ.

სიტყვის გადასვლა მმტყველების ერთი ნაწილიდან მეორეში

ხშირია შემთხვევა, როცა სიტყვა მეტყველების ერთი ნაწილიდან გადადის მეორეში. წინადადებაში შეიძლება ზე-

დსართავი სახელი ან მეტყველების რომელიმე სხვა ნაწილის წარმომადგენელი არსებით სახელად იქცეს, გაარსებითდეს და პირიქით, არსებითი სახელი შეიძლება იქცეს ზედსართავ სახელად ან მეტყველების რომელიმე სხვა ნაწილის წარმომადგენლად. მაგალითად:

➤ წინადადებებში: სამოქალაქო ომში **წითლებმა** დაამარცხეს **თეთრები**; **მწვანეები** იბრძვიან ბუნების გადასარჩენად, – **თეთრები**, **წითლები** და **მწვანეები** არსებითი სახელებია, თუმცა, საზოგადოდ **თეთრი**, **წითელი**, **მწვანე** – ზედსართავი სახელებია (**თეთრი** ქაღალდი, **წითელი** ფანქარი, **მწვანე** ბალახი, ...).

➤ მიმღობათა კლასიდან არსებითებშია გადასული სიტყვები **მასწავლებელი** და **მწერალი** წინადადებაში: **მწერალი** მასწავლებლის აღზრდილია.

➤ შორისდებულებებიდან არსებითებშია გადასული სიტყვები **ვაი** და **ჟი** წინადადებაში: **ვაის** გავეყარე, **ჟის** შევეყარეო.

➤ არსებითებიდან ზედსართავებშია გადასული სიტყვები სიტყვათა შეხამებებში: **უღელი** ხარი, **კოდი** პური, **ტომარა** მარცვალი და სხვ.

➤ არსებითებიდან ზმნიზედებშია გადასული სიტყვები სიტყვათა შეხამებებში: **დილით** წავიდა, **სალამოს** შევხვდები, **წელს** ვერ წავალ.

➤ ზედსართავებიდან ზმნიზედებშია გადასული სიტყვები წინადადებებში: ბალახი **მწვანედ** ხასხასებს, ირგვლივ ყველაფერი **წითლად** ეღვარებდა, ვანო **კარგად** სწავლობს.

ისეთი შემთხვევებიც არის, როცა ძირითადი სიტყვა წინადადებაში დამხმარე სიტყვადაა ქცეული. მაგალითად:

➤ **-ზე და -ში** თანდებულები **ზედ(ა)** და **შინ(ა)** ზმნი-ზედებისგან მომდინარეობენ. ზმნიზედათა ხმარება თანდებულების მნიშვნელობით დღესაც გრძელდება. მაგალითად: მდინარის **გალმა**, სახლის **წინ**, ბაღის **უკან**, ..., მაგრამ ხაზგასმული სიტყვები სრულმნიშვნელობიანია, თუმცა, თანდებულების მნიშვნელობითაა გამოყენებული. მათ ჯერ არ უცვლიათ სახე და თანდებულებად არ ქცეულან, დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ დაუკარგავთ.

➤ ზმნური წარმოშობისაა კავშირები: **თუნდ**, **გინდ**, ...

➤ არსებითი სახელიდან მომდინარეობს კავშირი **ხან** (ხანი, დრო).

➤ ნაცვალსახელთა კლასიდან მომდინარეობს კავშირი **რომ** (← რომელ).

➤ ზმნური წარმოშობისაა ნაწილაკები: **-თქო**, **-მეთქი**, **თუნდა**, **იქნებ**, **ეგებ**, **ლამის**, ...

➤ და სხვ.

ამასთან დაკავშირებით გვაქვს:

განსაზღვრა 1. მეტყველების რომელიმე ნაწილიდან არსებით სახელთა კლასში სიტყვის გადასვლას **სუბსტანტივაცია** ეწოდება.

განსაზღვრა 2. მეტყველების რომელიმე ნაწილიდან ზედსართავ სახელთა კლასში სიტყვის გადასვლას **ადიექტივაცია** ეწოდება.

განსაზღვრა 3. მეტყველების რომელიმე ნაწილიდან ზმნიზედათა კლასში სიტყვის გადასვლას **ადვერბალიზაცია** ეწოდება.

ლექსიკის გაგვირავების საშუალებანი

დროთა განმავლობაში ენის ლექსიკა ვითარდება და მდიდრდება. ასეთი გამდიდრების საშუალება მრავალი არსებობს:

- ენაში არსებული სიტყვებისაგან ახალი სიტყვების **წარმოქმნა**.
- სიტყვებისაგან ახალი სიტყვების **თხზვა**.
- დროთა ვითარებაში ენაში არსებული სიტყვების **მნიშვნელობათა ცვლა**.
- სხვა ენებიდან სიტყვების **სესხება**.
- **უცხო სიტყვათა** შემოღება.

განსაზღვრა 1. მაწარმოებელი აფიქსების საშუალებით ახალი სიტყვის წარმოებას **წარმოქმნა** ეწოდება.

წარმოქმნის მაგალითებია: სახელი → სახელიანი, სახელოვანი, უსახელო, მოსახელე, ...; ძმა → ძმური, სამძო, მოძმე, უძმო, ...; მხედარი → მხედრული, მხედრიონი, სამხედრო, ...

განსაზღვრა 2. ორი ან მეტი ფუძის შეერთებით ახალი სიტყვის წარმოებას **თხზვა** ეწოდება.

თხზვის მაგალითებია: ქალიშვილი, ქინძისთავი, დედამამიშვილი, ხელფეხშეკრული, თავქუდმოგლეჯილი, ...

განსაზღვრა 3. სხვა ენებიდან სიტყვის გადმოღებას და ენაში დამკვიდრებას სიტყვის **სესხება** ეწოდება.

სიტყვის **სესხების** მაგალითებია: სპარსულიდან – ხაზინადარი, ბულბული, ფანჯარა, ...; არაბულიდან – დაღალი, ხაბაზი, ჯალათი, ...; თურქულიდან – ელჩი, ბაირადი, ოთახი, ...; გვაქვს, აგრეთვე, ნასესხები აფიქსებიც: სპარსულიდან: **-დან** (ჩაიდან, ყავადანი), **-ხანა** (ჩაიხანა, ყავახანა, აგურხანა), **-დარ** (დახლიდარი, ხაზინადარი), ბერძნული-

დან: **-იზმ** (პატრიოტიზმი, ისტორიზმი, რომანტიზმი); **-ისტ** (მატერიალისტი, ტურისტი, ოპტიმისტი) და სხვ.

ლექსიკის გამდიდრების საშუალებები განვიხილოთ ცალ-ცალკე.

წარმოქმნა ანუ **დერივაცია** არის სახელის ისეთი ცვა-
ლება, რომლის დროსაც ფუძეზე აფიქსების დართვით გან-
სხვავებული მნიშვნელობის სიტყვა მიიღება.

იმ სიტყვას, რომლისაგანაც აფიქსების დართვით გან-
სხვავებული შინაარსის მქონე სიტყვა მიიღება, **ძირეული**
სიტყვა ჰქვია, ხოლო ძირეულისგან ნაწარმოებ განსხვავებუ-
ლი მნიშვნელობის სიტყვას – **წარმოქმნილი** ანუ **დერივაცი-**
ული.

იმერეთი, იმერელი და **იმერული** წარმოქმნილი სახე-
ლებია, რომლებიც **-ეთ, -ელ** და **-ულ** სუფიქსების დართვი-
თაა მიღებული **იმერ** ძირისაგან. **-ეთ, -ელ** და **-ულ წარმოქ-**
მნილი ანუ **სადერივაციო** სუფიქსებია. ასევე, **მომზადე-**
ბული და **მოსამზადებელი** წარმოქმნილი სიტყვებია. ცხა-
დია, რომ ამ შემთხვევაში ძირეული სიტყვაა **მზადება**.

თხზვა კომპოზიტების (რთული სიტყვების) მიღების
საშუალებაა. იგი ორი ან მეტი სიტყვის შეერთებით ახალი
სიტყვის მიღებას გულისხმობს.

წარმოქმნა და **თხზვა** მორფოლოგიური **ოპერაციებია**.

შედგენილობის მიხედვით გვაქვს:

1. კომპოზიტები, რომლებიც მიღებულია ფუძის გაორ-
კეცებით: თავთავი, დროდადრო, ხანდახან, კარიკარ, ორ-
ორი, სამ-სამი და სხვ.

2. კომპოზიტები, რომლებიც მიღებულია ორი ან მეტი
სხვადასხვა ფუძის (ან სიტყვის) შეერთებით: დედ-მამა, და-

ძმა, ხელმოკლე, ოცდასამი, მზეთუნახავი, ჭირისუფალი, ხელფეხშეკრული და სხვ.

შინაარსობრივი თვალსაზრისით კომპოზიტები გვხვდება **ერთცნებიანი** და **მრავალცნებიანი**.

ერთცნებიანი კომპოზიტი სემანტიკურ მთლიანობად არის ქცეული, მისი მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამს. მასში გაერთიანებული ფუძეები ერთ საგანს აღნიშნავს. ერთცნებიანი კომპოზიტებია: ცისარტყელა, ცისკარი, ქინძისთავი, ვაჟკაცი, გულკეთილი, ხელმოკლე, წითელკაბიანი, გულგატეხილი, წყალწაღებული, დედაქალაქი, მამიდა, ქალიშვილი, ვაჟიშვილი, მეცხრეკლასელი, თავისუფლება, თავშალი, ავდარი, შუადღე, ახალქალაქი, შუამთა, მამაჩემი, დედაშენი, ზედაპირი, წინასწარმეტყველი, თავღია, თმათეთრი, ენაჩავარდნილი, ფეხმოტეხილი, ხელპირდაუბანელი და სხვ.

ასეთი კომპოზიტები ერთად იწერება.

მრავალცნებიანი კომპოზიტის მნიშვნელობა უდრის მისი შემადგენელი კომპონენტების ჯამს და ორ ან მეტ ცნებას მოიცავს; მასში გაერთიანებულ ფუძეებს შენარჩუნებული აქვთ თავიანთი მნიშვნელობა. ასეთია: მთა-ბარი, წითელ-ყვითელი, ორი-სამი, ქართლ-კახეთ-იმერეთი, ცოლ-ქმარი, მამა-პაპა, შავ-თეთრი, ერთი-ორი, ძალ-ღონე, ალალ-მართალ-ი, ღარიბ-ღატაკ-ი, კვლევა-ძიება, დღე-ღამე, უფროს-უმცროს-ი, შავ-თეთრ-ი, დედ-მამა, სახნავ-სათეს-ი, სიტყვა-პასუხ-ი, მიწა-წყალ-ი, მისვლა-მოსვლა, მიწერ-მოწერა, ამვლელ-ჩამვლელ-ი და სხვ.

ასეთი კომპოზიტები დეფისით იწერება.

ფუძის გაორკეცება ორნაირად ხდება: მარტივად (კაჭ-კაჭ-ი, რაკ-რაკ-ი, კის-კის-ი) და ფუძეში ცვლილებით. მეორე შემთხვევაში გვაქვს:

- გაორკეცება თანხმოვნის ჩავარდნით: ქუთ + (ქ)უთო, კო(რ) + კორი, გო(რ) + გორ-ა.
- გაორკეცება ერთ-ერთ ნაწილში თანხმოვნის შეცვლილით: პარპალი (← პარ + პარ-ი), ძუნძული (← ძულ + ძულ-ი), კანკალი (← კან + კან-ი), წანწალი (← წან + წან-ი) და სხვ.
- გაორკეცება ხმოვნის შენაცვლებით: ბალახ-ბულახი, ნაყარ-ნუყარი, ბინდ-ბუნდი, რიჟ-რაჟი და სხვ.
- გაორკეცება ხმოვანთან ერთად თანხმოვნის შენაცვლებით: არე-მარე, ინჩი-ბინჩი, კუჭ-მაჭი, ქობ-მახი და სხვ.

ფუძეგაორკეცებული თხზული სახელები ერთცნებანია და ერთად იწერება.

სხვადასხვა ფუძისაგან შედგენილი რთული სახელების შემთხვევაში გვაქვს:

➤ ორივე ნაწილი ერთად შეიძლება ფუძის სახით იყოს წარმოდგენილი: ავდარი, ვაჟკაცი, სამშაბათი და სხვ.

➤ პირველი ნაწილი შეიძლება ამა თუ იმ ბრუნვაში იდგეს: ალვისხე, გუთნისდედა, მზეთუნახავი, ყურადღება, ავადმყოფი და სხვ.

➤ პირველი ნაწილი შეიძლება ზმნიზება იყოს: ქვემდებარე, ზეკაცი, ქვემაგები, უკანდაუხვევლად და სხვ.

რთული შემოკლებული სახელებიც სხვადასხვა ფუძეების შეერთებას გულისხმობს. აქაც რამდენიმე შემთხვევაა გასათვალისწინებელი:

➤ შეერთებულია სიტყვათა პირველი ნაწილები – სახელგამი, აღმასკომი, ...;

➤ შეერთებულია სიტყვათა თავკიდური ბგერები – ზაჰესი, თემქა, თსუ, ...;

➤ შეერთებულია პირველი სიტყვის დასაწყისი და მეორე მთლიანად – კოლმეურნეობა, მონკავშირი და ა. შ.

სესხება. არ არსებობს ისეთი ენა, რომელსაც ნასესხები სიტყვები არა აქვს. სიტყვათა სესხება ჩვეულებრივი მოვლენაა ენის განვითარებაში. ეს განპირობებულია მეზობელ ხალხებთან კონტაქტით. ზოგჯერ ამას ენაში არსებული საჭიროება მოითხოვს. ასეთ შემთხვევაში სიტყვის სესხება ხდება მის შესაბამის ცნებასთან ერთად. ზოგჯერ კი მეზობელ ხალხებთან მეგობრული თუ ძალადობრივი ურთიერთობა და მათი ზეგავლენა განაპირობებს.

უცხო სიტყვათა შემოღება სიტყვათა სესხების ნაირსახეობაა. სესხებისას სიტყვა ქართულდება, ეთვისება ქართული ენის ლექსიკას, ჯდება მის კანონზომიერებებში, ხშირად განიცდის ქართული ენისათვის დამახასიათებელ ფონეტიკურ ცვლილებებსაც. მაგალითად, სიტყვა **ჭაბუკი** ნასესხებია სპარსულიდან, მაგრამ თანამედროვე სპარსულში ეს სიტყვა ასეთი ორთოგრაფიითა და ორთოეპიით არ არსებობს. ეს სიტყვა გაქართულდა. ნასესხები სიტყვები ქართულია, მათ არ ეტყობა ნასესხობა. სესხება სხვა ენებიდან სიტყვათა ბუნებრივი შემოდინებაა. უცხო სიტყვათა შემოსვლას კი საერთაშორისო ცხოვრების ორომტრიალი განაპირობებს და ამიტომ მათი შემოდინება ძალზე სახიფათოა. მათ შეიძლება ენიდან გამოდევნონ ძვირფასი ქართული სიტყვები, ან „უცხო სხეულივით“ შემოიჭრან ენაში და დაანაგვიანონ იგი.

ქართული ენის ლექსიკის დახასიათებისათვის უნდა ითქვას, რომ მის ფონდში საკუთრივ ქართული სიტყვები საკმაოდ მრავალრიცხოვანია. არსებობს სიტყვათა შინაარსობრივი ჯგუფები, რომლებშიც ნასესხობას ადგილი არა ჰქონია მათი ქართული თავისთავადობისა და თვითმყოფადობის გამო. ესენია:

სხეულის ნაწილთა სახელები: თავი, ხელი, ფეხი, თვალი, ცხვირი, პირი, კბილი, ყური, ენა და სხვ.

ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი სიტყვები: დედა, მამა, პაპა, შვილი, და, ძმა, ძე, ასული, რძალი და სხვ.

მცენარეთა, ცხოველთა და ფრინველთა სახელები: წაბლი, მუხა, რცხილა, ვაზი, ხორბალი, ქერი, ..., ძროხა, ხარი, ხბო, ღორი, ცხენი, ..., ქათამი, იხვი, წიწილა, დედალი, მამალი, ...

ბუნების მოვლენათა სახელები: წვიმა, თოვლი, სეტყვა, ღრუბელი, ნისლი და სხვ.

ციურ სხეულთა სახელები: მზე, მთვარე, ვარსკვლავი, მარიხი და სხვ.

რიცხვითი სახელები: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი და სხვ.

ნაცვალსახელები: მე, შენ, ის, თქვენ და სხვ.

ზედსართავი სახელები და ზმნისართები.

ზმნები მთლიანად ქართულია. ნასესხები ზმნური ფუძეები (მეტწილად ნასახელარი) ძალიან ცოტაა.

მეზობელ სახელმწიფოებთან მრავალსაუკუნოვანი კონტაქტები ენაშიც აისახა. ქართულში მრავალია სპარსულიდან, არაბულიდან, თურქულიდან, ოსურიდან, ბერძნულიდან და სხვა ენებიდანაც ნასესხები სიტყვები. მაგრამ ქარ-

თული ენის თვითმყოფადობა ამით არ შელახულა, რადგან გრამატიკული წყობის აქტივობის წყალობით მათი არაქართული წარმოშობა არცა ჩანს. ეს სიტყვები იბრუნვიან, იწარმოებენ რიცხვს, აქტიურად მონაწილეობენ ქართულ სიტყვაწარმოებაში. ისინი დღეს ქართული სიტყვებია.

მაგრამ ისიცაა აღსანიშნავი, რომ ამ ბოლო წლების არქეოლოგიური გათხრები ამტკიცებენ ქართული ენისა და ქართული დამწერლობის სიმკვლეს. და შესაძლოა, მალე აღმოჩნდეს, რომ ამ სიტყვების უდიდესი ნაწილი, პირიქით, ქართულიდან იქითაა სხვა ენებში გადასული.

მეტყველების ნაწილები

განსაზღვრა. ენის ლექსიკის ქვესიმრავლე **ერთგვაროვან** სიტყვათა კლასს **მეტყველების ნაწილი** ეწოდება.

ამგვარად, **მეტყველების ნაწილების** მისაღებად საჭიროა ლექსიკის კლასიფიკაცია, რადგანაც **მეტყველების ნაწილი** არის ლექსიკის ერთგვაროვან სიტყვათა კლასი.

ერთგვაროვანი სიტყვების კლასი ხასიათდება:

- ლექსიკურ მნიშვნელობათა ტოლძალოვნებით,
- მორფოლოგიურ ნიშან-თვისებათა ტოლძალოვნებით,
- სინტაქსურ ფუნქციათა ტოლძალოვნებით.

კლასიფიკაცია ლოგიკური ოპერაციაა. იგი ცნების დაყოფა თანაუკვეთ კლასებად და უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- 1) არც ერთი კლასი არ უნდა იყოს ცარიელი.
- 2) ყველა კლასის გაერთიანება უნდა ემთხვეოდეს მთელს ლექსიკას.

3) კლასებიდან არც ერთ ორს არ უნდა ჰქონდეს საერთო სიტყვა.

თუ ამ მოთხოვნებიდან თუნდაც ერთი არ სრულდება, მაშინ კლასიფიკაციასთან საქმე არა გვაქვს.

მეტყველების ნაწილებში და მათ შორის არსებობს მკაცრად განსაზღვრული მიმართებები. ისე, რომ, კლასიფიკაციაში დასაცავია იერარქიული სუბორდინაცია.

ე. ი. ჩვენ ქართული ენის ლექსიკის კლასიფიკაცია უნდა მოვახდინოთ ერთი ნიშნით: დავყოთ **ერთგვაროვან** სიტყვათა კლასებად.

ცხადია, რომ ერთგვაროვან სიტყვებს წარმოადგენენ არსებითი სახელები, ზედსართავი სახელები, რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები, ზმნიზედები, კავშირები, თანდებულები, ნაწილაკები და შორისდებულები. ლექსიკის დანარჩენი ნაწილის, განსაკუთრებით ზმნების, შესახებ უნდა ვიმსჯელოთ.

ჯერ გავარკვიოთ, რა არის მდგომარეობა!

გავითვალისწინოთ, რომ, თუ ბავშვი მირბის, ის სირბილის მდგომარეობაშია, თუ მას სძინავს, იგი ძილის მდგომარეობაშია. ისე, რომ, მოქმედება და უმოქმედობა, მოძრაობა და უძრაობა მდგომარეობის კერძო სახეებია, ყველა ერთ ცნებაში ერთიანდება. **ბარვა** მდგომარეობის ზოგადი სახეა, **ბარავს** – მისი კერძო, მოძრაობითი, დინამიკური სახე. ე. ი. **ბარვა** არის საგნის ზოგადი მოქმედებითი მდგომარეობა, **ბარავს** არის საგნის კონკრეტული, კერძო მოქმედებითი მდგომარეობა. ზუსტად ასევე, **ძილი** მდგომარეობის ზოგადი სახეა, **სძინავს** – მისი კერძო, უძრაობითი სახე. არის მდგომარეობის მესამე სახეც. ეს – **განწყობის მდგომარეობაა**.

მაგალითად, **შიში** განწყობის მდგომარეობაა, მას არც მოძრაობა ეხება და არც უძრაობა.

მდგომარეობა – ეს ტერმინია, აბსტრაქტული ცნების ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ობიექტის ცვლადი პარამეტრების სტაბილურ მნიშვნელობათა სიმრავლეს. მდგომარეობა ხასიათდება იმით, რომ იგი აღწერს ობიექტის ცვლად თვისებებს. მდგომარეობა სტაბილურია მანამ, სანამ ობიექტზე არ არის წარმოებული მოქმედება. თუ ობიექტზე წარმოებული იქნება რაიმე მოქმედება, მაშინ მისი მდგომარეობა შეიძლება შეიცვალოს.

ობიექტის მდგომარეობათა თანამიმდევრულ ცვლას **პროცესი** ეწოდება.

აი, რა არის **მდგომარეობა**. ახლა სრულიად ცხადია, რომ იგი მოიცავს მოძრაობასაც და უძრაობასაც.

ამგვარად, მდგომარეობა თავის თავში აერთიანებს მოქმედებასაც და უმოქმედობასაც, მოძრაობასაც და უძრაობასაც. მაშასადამე, საბოლოოდ ვასკვნით: მდგომარეობას ორი სახე გააჩნია: ზოგადი და კერძო. მდგომარეობის როგორც ზოგად, ისე კერძო სახეს, თავის მხრივ, სამი ქვესახე გააჩნია: მოძრაობითი, უძრაობითი და განწყობითი. ე. ი. **მდგომარეობის** ცნება შეგვიძლია შემდეგნაირად დავახასიათოთ;


➤ მდგომარეობის **ზოგადი** სახე: *მოძრაობითი* – სირბილი, თამაში, ბარვა და სხვ.; *უძრაობითი* – ძილი, წოლა და სხვ.; *განწყობითი* – შიში, წუხილი და სხვ.

➤ მდგომარეობის კერძო **მოძრაობითი** ანუ მოქმედებითი სახე: *მირბის, თამაშობს, ბარავს, იცოხნის* და სხვ.

➤ მდგომარეობის კერძო **უძრაობითი** ანუ უმოქმედობითი სახე: *სძინავს, წევს, ზის* და სხვ.

➤ მდგომარეობის კერძო განწყობითი სახე: *წუხს, შიშობს, განიცდის* და სხვ.

მდგომარეობათა კლასიფიკაციას გვიჩვენებს ნახაზი:



მაშასადამე, ზმნის ცნება შეგვიძლია ასეთნაირად გავი-
აზროთ:

განსაზღვრა. ძირითად სიტყვას, რომელიც მიუთითებს საგნის მდგომარეობაზე, **ზმნა** ეწოდება.

ე. ი. ზმნების კლასი ორ სახეს მოიცავს:


1. საწყის ზმნებს (მოქმედების სახელებს) და
2. მათგან წარმოებულ ზმნებს.

ორივე მათგანი საგნის მდგომარეობაზე მიუთითებს, პირველი – ზოგადზე, მეორე – კონკრეტულზე.

მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვები, ცხადია, ერთ-
გვაროვანი სიტყვებია.

მიმღობათა სიმრავლევ გამოიყო ერთგვაროვან სიტყვათა ცალკე კლასად.

ამის შემდეგ შეგვიძლია მივიღოთ ქართული ენის ლექსიკის ასეთი კლასიფიკაცია:



სადაც, როგორც ჩანს, მეტყველების ნაწილთა რაოდენობა არის თერთმეტი. და ეს რეალობაა.

რადგანაც ქართული ენის ლექსიკა სრულად განსაზღვრავს ქართულ მეტყველებას, ამიტომ სამართლიანი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ქართული მეტყველების ნაწილებია;

1. არსებით სახელთა კლასი,
2. ზედსართავ სახელთა კლასი,
3. რიცხვით სახელთა კლასი,
4. ნაცვალსახელთა კლასი,
5. ზმნების კლასი,
6. მიმღობების კლასი,
7. ზმნიზედების კლასი,
8. კავშირების კლასი,
9. თანდებულების კლასი,
10. ნაწილაკების კლასი,
11. შორისდებულების კლასი.

ასეთი კლასიფიკაციის დროს საგანი ხასიათდება სრულყოფილად, ყოველმხრივ:

- რა ჰქვია? (გვიჩვენებს არსებითი სახელი),
- როგორია? (გვიჩვენებს ზედსართავი სახელი),
- რამდენია? (გვიჩვენებს რიცხვითი სახელი).
- რა მდგომარეობაშია? (გვიჩვენებს ზმნა),
- როგორ მდგომარეობაშია? (გვიჩვენებს მიმღობა),
- რა გარემოებაშია? (გვიჩვენებს ზმნიზედა),

აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ უნდა გავერკვეთ საგნის ცნებაში: რა არის საგანი?

ამისათვის აუცილებელია, გამოვარკვიოთ, განვსაზღვროთ ჩვენი ცნობიერების უნივერსუმი, რადგან საგანი ამ უნივერსუმში რეალურად არსებობს ყველგან, მის მიღმა კი ირეალობაა.

ეს უნივერსუმია: გარესამყარო, მხატვრულ-ლიტერატურული სახეები, რელიგიურ-მითოლოგიური წარმოდგენები, აბსტრაქცია. ე. ი. საგნის კერძო შემთხვევაა ნივთი, მოვლენა, პროცესი, მათი თვისებები, ნებისმიერი ფენომენი და ნებისმიერი ნოუმენი. მაშასადამე,

საგანი არის ყველაფერი, რასაც დაესმის კითხვა: ვინ? ან რა? და, რაც რეალურად არსებობს:

- ან გარესამყაროში,
- ან მხატვრულ-ლიტერატურულ სახეებში,
- ან რელიგიურ-მითოლოგიურ წარმოდგენებში,
- ან აბსტრაქციაში.

გადავიდეთ მეტყველების ნაწილთა დახასიათებაზე.

არსებითი სახელთა კლასი

განსაზღვრა. ძირითად სიტყვას ან სიტყვათა ერთობლიობას, რომელიც სახელად ჰქვია ერთ ცნებაში გაერთიანებულ საგანთა ჯგუფის ნებისმიერ წარმომადგენელს ან ერთეულად საგანს, **არსებითი სახელი** ეწოდება.

თუ ეს სიტყვა სახელად ჰქვია ერთ ცნებაში გაერთიანებულ საგანთა ჯგუფის ნებისმიერ წარმომადგენელს, მაშინ იგი **საზოგადო** არსებითი სახელია, თუკი სახელად ჰქვია ერთეულად საგანს, მაშინ იგი **საკუთარი** არსებითი სახელია.

განსაზღვრაში „სიტყვათა ერთობლიობა“ იმიტომ ვახსენეთ, რომ, მაგალითად, „ახალი ზელანდია“ ან „შავი ზღვა“ ერთიანადაა საკუთარი არსებითი სახელი, ერთი სახელი, „ახალი“ ან „შავი“ ამ შემთხვევაში ზედსართავი სახელი არ არის, ეს ზელანდია დიდი ხანია, ახალი არაა. მისი სიახლე ისტორიის კუთვნილებაა. არც ხსენებული ზღვაა შავი. ამი-

ტომ სიტყვებს „ახალი“ და „შავი“ თავიანთი ზედსართავული მნიშვნელობა და ხასიათი დაკარგული აქვთ.

მამასადამე, არსებითი სახელია ყველა ის სიტყვა, რომელიც მიუგებს კითხვაზე ვინ? ან რა? გარდა იმ სიტყვებისა, რომლებიც მოქმედების ზოგად მდგომარეობას გამოხატავენ. ასეთი სიტყვები საწყისი ზმნებია, მათ მოქმედების სახელები ჰქვია და ზმნების კლასს მიეკუთვნება: შენება, სირბილი, ..., ძილი, წოლა, ..., შიში, წუხილი, ...; ისინი, არსებით სახელთაგან განსხვავებით, ხასიათდება შემდეგი კატეგორიებით: **გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, კონტაქტი, ზოგჯერ გვართაც**. მათგან იწარმოება კონკრეტული ზმნები, რომლებიც საგნის კერძო მდგომარეობაზე მიუთითებენ.

არსებითი სახელი იცვლება ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით, ე. ი. მას აქვს ბრუნვისა და რიცხვის გრამატიკული კატეგორიები და წინადადებაში ძირითადად ქვემდებარისა და დამატების გადმოსაცემად გამოიყენება: **ბავშვი** კითხულობს (აქ **ბავშვი** ქვემდებარეა), **ბურთი** იყიდა (აქ **ბურთი** პირდაპირი დამატებაა), **მეზობელს** დაუმახეს (აქ **მეზობელს** ირიბი დამატებაა), **მოსწავლისთვის** უჩუქებიათ (აქ **მოსწავლისთვის** უბრალო დამატებაა).

არსებობს არსებით სახელთა სიმრავლის დიქოტომიური დაყოფის რამდენიმე შემთხვევა:

1. ადამიანთა და არაადამიანთა არსებითი სახელები.

ეს არის **ვინ** ჯგუფისა და **რა** ჯგუფის სახელები.

კითხვა **ვინ?** დაესმის ღმერთს და ადამიანებს, ასევე, მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოებების გმირებსა და რელიგიურ-მითოლოგიური წარმოდგენების პერსონაჟებს. მამასადამე, **ვინ** ჯგუფის არსებითი სახელებია: ადამიანი,

მწყემსი, მოხელე, კაცი, ქალი, მოხუცი, ახალგაზრდა, ..., პეტრე, პავლე, ირაკლი, თეკლე, ..., სპირიდონ მცირიშვილი, გოგია უიშვილი, ბახვა ფულავა, დათა თუთაშხია, ოტელო, ბიძია თომა, ..., ღმერთი, ანგელოზი, ზევსი, ვენერა, აპოლონი, ჰერაკლე, ამირანი, ...

კითხვა **რა?** დაესმის ცხოველების, ფრინველების, წყლის ბინადრების, ქვეწარმავლების, მწერების სახელებსა და უსულო საგანთა სახელებს. მაშასადამე, **რა** ჯგუფის არსებითი სახელებია: ცხოველი, ვეფხვი, მგელი, ტურა, ..., კატა, ძაღლი, ძროხა, ყურმა, ..., ფრინველი, არწივი, შოშია, ბელურა, ..., თევზი, ქორჭილა, დელფინი, ..., ქვეწარმავალი, გველი, ხვლიკი, ..., მწერი, კოლო, ბუზი, ..., სახლი, ქვა, კლდე, ...

ზოგჯერ სახელი ერთ წინადადებაში შეიძლება ვინ ჯგუფის იყოს, მეორეში – **რა** ჯგუფის. მაგალითად: **მეგობრობა ვინ** ჯგუფისაა, როცა ვამბობთ: ირაკლის მთელი **მეგობრობა** მოწვეული ჰყავდა პრეზენტაციაზე, მაგრამ იგივე სიტყვა **რა** ჯგუფისაა, წინადადებაში: ირაკლისა და გიორგის კარგი **მეგობრობა** აქვთ.

2. სულიერთა და უსულოთა არსებითი სახელები.

სულიერთა ჯგუფს განეკუთვნება სულიერ, საკუთარი ძალით მოძრავ ცოცხალ არსებათა – ადამიანთა, ცხოველთა და სხვათა სახელები: ჭაბუკი, ბავშვი, მეგობარი, თეოფილე, ციყვი, ზუთხი, ირემი, ...; უსულოთა ჯგუფს განეკუთვნება უსულო, საკუთარი ძალით გადაადგილების უნარს მოკლებულ საგანთა სახელები: გორა, ხრამი, ზღვა, მთა, ცა, ვარსკვლავი, ..., ვერხვი, იასამანი, მუხა, ...; ქართულში სულიერთა და უსულოთა სახელები გარჩეულია ზმნით: სულიერთა ჯგუფის სახელებს შეეწყობა ზმნა **ჰყავს** (ძმა ჰყავს, მე-

გობარი მყავს, მანქანა მყავს – ეს განსაკუთრებული შემთხვევაა, ...), უსულოთა ჯგუფის სახელებს შეეწყობა ზმნა აქვს (სახლი აქვს, მამულები აქვს, დრო მაქვს, ...).

3. კონკრეტული და აბსტრაქტული არსებითი სახელები.

კონკრეტულია სახელი, რომელიც აღნიშნავს ნივთიერი სახის მქონე კონკრეტულ საგნებს, ფაქტებსა და მოვლენებს. მაგრამ აქ შემოდის არამატერიალურ საგანთა სახელებიც. მაშასადამე, კონკრეტული არსებითი სახელებია: სახლი, ბალახი, წყალი, კაცი, ადამიანი, შენობა, ყვავილი, ..., მიზანი, ფიქრი, დარდი, საუკუნე, ...; აბსტრაქტულია სახელი, რომელიც უმეტესად ნაწარმოებია (მოტივირებულია) სხვა სახელთაგან და აღნიშნავს არანივთიერი სახის მქონე განყენებულ საგან-ცნებებს. აბსტრაქტული არსებითი სახელებია: ძმობა, ამხანაგობა, სტუდენტობა, სიკეთე, სიავე, ვაჟკაცობა, ამაოება, დიდება, მშვიდობა, ...;

აღსანიშნავია, რომ სიტყვა **რიცხვი** კონკრეტული არსებითი სახელია, თუმცა, **რიცხვის ცნება** აბსტრაქტულია. კონკრეტული არსებითი სახელებია: **მართკუთხედი, განტოლება, მხები**, თუმცა, შესაბამისი **ცნებები** აბსტრაქტულია.

ვინ ჯგუფის სახელები ყველა **კონკრეტულია**, რა ჯგუფისა კი **კონკრეტულიც** შეიძლება იყოს და **აბსტრაქტულიც**. ზოგჯერ სახელი ერთ წინადადებაში შეიძლება კონკრეტული იყოს, მეორეში – აბსტრაქტული. მაგალითად: **მეგობრობა** კონკრეტულია, როცა ვამბობთ: ირაკლის მთელი **მეგობრობა** მოწვეული ჰყავდა პრეზენტაციაზე, მაგრამ იგივე სიტყვა აბსტრაქტულია წინადადებაში: ირაკლისა და გიორგის კარგი **მეგობრობა** აქვთ.

4. საზოგადო და საკუთარი არსებითი სახელები.

თუ სიტყვა სახელად ჰქვია ერთეულად საგანს, მაშინ ეს სიტყვა **საკუთარი** არსებითი სახელია. თუკი იგი სახე-ლად ჰქვია ერთ ცნებაში გაერთიანებულ საგანთა კლასის ნებისმიერ წარმომადგენელს, მაშინ იგი **საზოგადო** არსებითი სახელია. საკუთარია **ანთროპონიმები** (ადამიანთა სახელები და გვარები): არსენა, ტარიელი, თამთა, თეონა, ..., ბაგრატიონი, არსაკიძე, სააკაძე, გურამიშვილი, ...; საკუთარ სახელებში ერთიანდება **ტოპონიმები** (გეოგრაფიული სახელები), **თეონიმები** (ღმერთების სახელები), **ეთნონიმები** (ხალხთა და ტომთა სახელები), **ზოონიმები** (ცხოველთა სახელები), **კოსმონიმები** (ციურ სხეულთა სახელები), **ფსევდონიმები** (გამოგონებული სახელი ან გვარი, რომელსაც თავისი ნამდვილი სახელისა და გვარის მაგივრად ირქმევს მწერალი ან სხვა ვინმე) და ა. შ. საკუთარ სახელთა სიაში შედის რაოდენობითი რიცხვითი სახელები, წიგნების, ჟურნალ-გაზეთების, მხატვრული ნაწარმოებების, დაწესებულება-ორგანიზაციების, ისტორიული მოვლენების და სხვათა სახელწოდებები. **საზოგადოა:** ქალაქი, სოფელი, წიგნი, ..., რადგანაც ქალაქი მრავალია, სოფელი მრავალია, წიგნი მრავალია.

არსებით სახელთა სიმრავლეში გამოიყოფა რამდენიმე ჯგუფი:

კრებითი სახელების ჯგუფი აერთიანებს ისეთ კონკრეტულ საზოგადო არსებით სახელებს, რომლებიც მხოლოდობითი რიცხვის ფორმით აღნიშნავენ ერთგვაროვან საგანთა კრებულს, როგორც ერთ განუყოფელ მთელს. მაგალითად: ხალხი, ჯოგი, ნახირი, რემა, ფარა, კოლტი, არვე, ხროვა, გუნდი, ჯარი, ..., გალა, კონა, თაიგული, ..., ახალგაზრდობა

(ახალგაზრდათა სიმრავლე), თავადაზნაურობა, სტუდენტობა (სტუდენტთა სიმრავლე), ..., ნაძვნარი, დაფნარი, ყვავილნარი, ..., ბეწვეული, ბალახეული, ბოსტნეული, ...; მათგან ზოგი პირველადია, ზოგი წარმოებული, მეორეული.

ნივთიერების სახელები აღნიშნავენ ერთგვაროვან ნივთიერებებს, რომელთა დანაწილება, აწონა და გაზომვა შეიძლება, მაგრამ დათვლა და მათი ცალკეულ საგნებად (ერთეულებად) წარმოდგენა შეუძლებელია. ამ სახელებს მრავლობითი რიცხვი არ გააჩნიათ. ასეთებია: ოქრო, ვერცხლი, რკინა, სპილენძი, თუჯი, შაქარი, რძე, თაფლი, ნივთი, ლობიო, მუხუდო, ფეტვი, ფქვილი, მატყლი, ზამბა, ქარვა, კირი, ქვანახშირი, ...; ეს ნივთიერებები იწონება, საწყაოთი იზომება, ამიტომ გვაქვს გამოთქმები: კილოგრამი შაქარი, ჭიქა წყალი, ცოტა მარილი. მართალია, იხმარება სიტყვა **რკინე-ბი**, მაგრამ ეს არ ნიშნავს მრავალ რკინას, ეს ნიშნავს რკინის საგნებს. ასევეა წყლები, ღვინოები,...

არსებითი სახელის წარმოქმნა

სახელების წარმოქმნა შეიძლება როგორც **ფორმის**, ისე **შინაარსის** მიხედვით. წარმოქმნილი სახელები, უკვე ვიცით, ფორმის მიხედვით, ზოგი სუფიქსიანი, ზოგი კი სუფიქს-პრეფიქსიანი (გულ-ად-ი, პურ-ად-ი, წიგნ-იერ-ი, სა-კაც-ე, უ-წიგნ-ურ-ი, მო-ნადირ-ე, სა-ფრანგ-ეთ-ი, ძმ-ობ-ა, ...). ეს საერთო წესია სახელთა წარმოქმნის.

შინაარსის მიხედვით არსებითი სახელების წარმოქმნის მრავალი გზა არსებობს, მათ შორის:

1. **კნინობითი** არსებითი სახელი ის წარმოქმნილი სახელია, რომელიც ძირეულ საგანს უფრო შემცირებულად წა-

რმოგვიდგენს. ასეთ სიტყვებს კნინობით-საალერსოსაც უწოდებენ. სიტყვაწარმოების სხვა შემთხვევებისგან განსხვავებით, კნინობით-საალერსო სახელებში მაწარმოებელი სიტყვას ლექსიკურ მნიშვნელობას კი არ უცვლის, არამედ ემოციურ-გამომხატველობით იერს ანიჭებს. ასეთი მაწარმოებლები გვაქვს: -ა, -აკ, -იკ, -ოკ, -უკ, -ან, -ინ, -ონ, -უნ, -ალ, -ია, -ილ, -ატ, -ოტ, -უტ, -იც, -უც, -ირ, -ურ, -იჭ, -უჭ, -უხ და მათი კომბინაციით მიღებული რთული სუფიქსები (წიგნ-აკ-ი, ბეს-იკ-ი, ბუშტ-უკ-ი, ჩიტ-უნ-ა, კეკლ-უც-ი, გორგოლ-აჭ-ი, კა-უჭ-ი, ძამ-ი-ა, მარ-იკ-ა, ყაჩაღ-ან-ა, ჩიტ-უნ-ა, დედ-ილ-ო, კუნწ-ულ-ა, გუბ-ურ-ა, გოგ-უც-ა, მამიკ-უნ-ა, ვარიკ-ელ-ა, ვაჭრ-უკ-ან-ა, ბებრ-უხ-ან-ა და სხვ.

2. **აბსტრაქტულ** არსებით სახელებს აწარმოებს სუფიქსები: **-ობ-ა, -ებ-ა, სი-ე**. მათგან **-ობ-ა** აწარმოებს განყენებულ არსებით სახელებს არსებითისა და მიმღეობისგან: აღმშენებლ-ობ-ა, ძმ-ობ-ა, ყრმ-ობ-ა, გამბედა-ობ-ა, მეგობრ-ობ-ა, გაუტანლ-ობ-ა, ...; **-ებ-ა** აწარმოებს განყენებულ არსებით სახელებს ზედსართავებისა და მიმღეობათაგან: ბედნიერ-ებ-ა, მშვენიერ-ებ-ა, ძლიერ-ებ-ა, აგებულ-ებ-ა, გამოხატულ-ებ-ა, უძლურ-ებ-ა, ...; **სი-ე** განყენებულ სახელებს აწარმოებს ვითარებითი ზედსართავებისგან: სი-წითლ-ე, სი-მალლ-ე, სი-დიდ-ე, სი-უხვ-ე, სი-ლამაზ-ე, ...

3. **გეოგრაფიული** სახელები ქართულში სხვადასხვა წარმოშობისაა. მაგრამ ძირითადად გეოგრაფიულ სახელებს აწარმოებენ აფიქსები, რომლებიც სხვადასხვა ფუნქციით გვხვდება წარმოქმნილ საზოგადო სახელებში. მაგალითად, მქონებლობის **-იან, -ოვან** სუფიქსების (წიფლ-იან-ი, ვაშლ-ოვან-ი, ...), **ნა-არ, ნა-ურ, ნა-ევ** აფიქსების (ნა-ტახტ-არ-ი, ნა-

ვენახ-ევ-ი, ...), დანიშნულების **სა-ე, სა-ო, სა-ის, სა-ურ** აფიქსები (სა-ირმ-ე, სა-თანჯ-ო, სა-ორბ-ის-ი, სა-ბად-ურ-ი).

საკუთრივ გეოგრაფიული სახელების მაწარმოებელია: **-ეთ (-ით), სა-ეთ, სა-ის** აფიქსები (ტბ-ეთ-ი, თელ-ეთ-ი, ორბ-ეთ-ი, ..., ხევსურ-ეთ-ი, სვან-ეთ-ი, ..., სიმონ-ეთ-ი, დარჩი-ეთ-ი, ..., აღმოსავლ-ეთ-ი, დასავლ-ეთ-ი, ..., სულ-ეთ-ი, ბნ-ელ-ეთ-ი, ხმელ-ეთ-ი, ..., სა-ბერძნ-ეთ-ი, სა-ფრანგ-ეთ-ი, ..., სა-გიჟ-ეთ-ი, სა-მგლ-ეთ-ი, ...), **სა-** პრეფიქსთან ერთად გვხვდება: სუფიქსი **-ის** (სა-ცხენ-ის-ი, სა-ორბ-ის-ი, ...), სუფიქსი **-ე** (სა-მცხ-ე, სა-მშვილდ-ე, ...), სუფიქსი **-ო** (სა-ქართველ-ო, სამეგრელ-ო, ...).

გეოგრაფიულ სახელად შეიძლება მოგვევლინოს ნანათესაობითარი სახელიც: თბილისი, შინდისი, ყინწვისი, ... , სხვა წარმოშობის სახელიც: ნაძალადევი, ნაბეღლავი, ...

4. დანიშნულების სახელები გამოხატავს საგნის დანიშნულებას ან განკუთვნებას. მათ საწარმოებლად გამოიყენება **სა-** პრეფიქსი და მასთან ერთად **-ე, -ო, -ურ (-ულ), -არ (-ალ)** სუფიქსები: სა-ქათმ-ე, სა-ყურ-ე, სა-სადილ-ო, სა-ყელ-ო, სა-განძ-ურ-ი, სა-კრებ-ულ-ო, სა-ბუდ-არ-ი და სხვ.

5. წარმომავლობის სახელები აღნიშნავენ ადამიანის ან საგნის სადაურობას, წარმომავლობას, ზოგ შემთხვევაში ისინი სხვა ფუნქციითაც გვხვდება. ასეთი არსებითი სახელების მაწარმოებელი სუფიქსებია ძირითადად: **-ელ, -ეულ, ...** (თბილის-ელ-ი, სოხუმ-ელ-ი, ევროპ-ელ-ი, სოფლ-ელ-ი, უცხოპლანეტ-ელ-ი ...; ხილ-ეულ-ი, ბოსტნ-ეულ-ი, ...

6. ხელობის (პროფესიის) სახელები აღნიშნავს სახელის ფუძით გამოხატულ საგანთან ან მოვლენასთან დაკავშირებულ ადამიანს. ასეთ სახელებს აწარმოებს პრეფიქს-სუ-

ფიქსები: მე-ე, მე-ურ, მო-ე (მე-ოცნებ-ე, მე-ნავ-ე, მე-დუქნ-ე, მე-მამულ-ე, მე-ბად-ურ-ი, მე-ზღვა-ურ-ი, მე-თა-ურ-ი, მო-ვალ-ე, მო-ალერს-ე, მო-კეთ-ე, ...).

7. წინა ვითარების სახელები აღნიშნავს, თუ რას წარმოადგენდა საგანი წინათ, ან როგორია ის წინანდელთან შედარებით. ასეთ სახელებს აწარმოებს **ნა-არ, ნა-ალ, ნა-ევ, ნა-ურ** პრეფიქს-სუფიქსები (ნა-ცოლ-არ-ი, ნა-მწყემს-არ-ი, ნა-ქალაქ-არ-ი, ნა-ტყვი-არ-ი, ნა-ფრონტ-ალ-ი, ნა-შუაღამ-ევ-ი, ნა-იარ-ევ-ი, ნა-წიბ-ურ-ი, ნა-ღამ-ურ-ი, ...).

არსებითი სახელის ბრუნება

სანამ უშუალოდ არსებითი სახელების ბრუნებაზე გადავიდოდეთ და გავვეცნობით ბრუნების სახეებსა თუ ტიპებს, მანამ გავერკვეთ, რა არის ბრუნება, რა არის ბრუნვა, როგორია ბრუნვათა რიგი და რა კანონზომიერებებს ექვემდებარება ისინი.

როგორც ვიცით, არსებითი სახელი შეიძლება იყოს წარმოქმნილი მეტყველების ნებისმიერი ნაწილისაგან:

➤ თვით არსებითი სახელისგან: ხელ-ი → ხელობა, სახელოსნო, ხელოსანი; ურემ-ი → მეურმე, ...

➤ ზედსართავისგან: ლამაზ-ი → ლამაზმანი, სილამაზე; კოხტა → კოხტობა; რბილი → რბილობი, ...

➤ რიცხვითი სახელისგან: ერთ-ი → ერთობა, სამ-ი → სამება, სამეული, ას-ი → ასეული, ათას-ი → ათასეული, პირველ-ი → პირველობა,...

➤ ნაცვალსახელისგან: ჩემ-ი → ჩემიანი, შენ-ი → შენიანი, თავ-ი → თავისიანი, თვის-ი → თვისობა, ...

➤ ზმნიზედისგან: აქ(ა) → სააქაო, აქაობა, იქ → საიქიო, ქვემ → ქვეშეთი, ...

➤ ზმნისგან: უყვარ-ს → სიყვარული, მირბი-ს → სირბილი, ულხინ-ს → ლხინი, ...

➤ დამხმარე სიტყვებისგან: არა → არაობა, მიმართ → მიმართება, ჰო → ჰოობა, შუა → შუალედი, ალბათ → ალბათობა, ...

ყველა ამ შემთხვევაში სიტყვის ფორმასთან ერთად იცვლება მისი ლექსიკური შინაარსი. მაგრამ არსებობს სიტყვის ისეთი ფორმაცვალებადობა, როცა სიტყვის ლექსიკური შინაარსი უცვლელი რჩება და იცვლება სიტყვის გრამატიკული შინაარსი. მაგალითად, სიტყვა **ბავშვი** მეტყველებაში შეიძლება შეგვხვდეს ასეთი ფორმებით: ბავშვი, ბავშვმა, ბავშვს, ბავშვის, ბავშვით, ბავშვად, ბავშვო. არსებითი სახელი მხოლოდ ამ შვიდი ფორმით უკავშირდება სხვა სიტყვებს და მათთან ამყარებს გარკვეულ მიმართებებს. თითოეულ ამ ფორმას **ბრუნვა** ჰქვია. მორფოლოგიურმა ელემენტებმა არსებით სახელს გარკვეული ბრუნვის ფორმა მიანიჭეს. მაშასადამე, გვაქვს:

განსაზღვრა 1. სახელის ფორმას, რომლითაც იგი სხვა სიტყვას უკავშირდება და მასთან გარკვეულ მიმართებას ამყარებს, **ბრუნვა** ეწოდება.

განსაზღვრა 2. იმ მორფოლოგიურ ელემენტს, რომელიც სახელის ფუძეს სათანადო ბრუნვის ფორმას ანიჭებს, **ბრუნვის ნიშანი** ეწოდება.

განსაზღვრა 3. სახელის იმ ნაწილს, რომელსაც ბრუნვის ნიშანი დაერთვის და ლექსიკური ან საგნობრივი მნიშვნელობა უკავშირდება, **ფუძე** ეწოდება.

სახელის ფუძე ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელია, ხოლო გრამატიკული მნიშვნელობა ბრუნვის ნიშანს შემოაქვს. ფორმებში: კაც-ი, კაც-მა, კაც-ს კაც-ის, ... **კაც-** არის ფუძე, ბოლოსართები კი ბრუნვის ნიშნებია.

განსაზღვრა 4. სახელის ცვლას, რომელიც ხდება ბრუნვათა მიხედვით, **ბრუნება** ეწოდება.

ბრუნვათა სახელები და ნიშნებია: სახელობითი (-ი: კაც-ი), მოთხრობითი (-მა: კაც-მა), მიცემითი (-ს: კაც-ს), ნათესაობითი (-ის: კაც-ის), მოქმედებითი (-ით: კაც-ით), ვითარებითი (-ად: კაც-ად), წოდებითი (-ო: კაც-ო).

შვიდივე ფორმას ერთნაირი ლექსიკური შინაარსი გააჩნია, მაგრამ სხვადასხვაა მათი გრამატიკული მნიშვნელობა. წინადადებაში სახელი ბრუნვის ფორმით ამყარებს მიმართებებს სხვა სახელებთან ან ზმნასთან. მაგალითად, გვაქვს: ბავშვი წერს, ბავშვმა დაწერა, ბავშვს დაუწერია, ...; პირველ შემთხვევაში სახელი ზმნას სახელობითი ბრუნვის ფორმით შეეწყო, მეორე შემთხვევაში – მოთხრობითის, მესამე შემთხვევაში კი – მიცემითის. ქართული ენის გრამატიკის ნორმათა მიხედვით, მეორე სერიაში მდგომ გარდამავალ ზმნასთან შეწყობილი ქვემდებარედ გამოყენებული სახელი სწორედ მოთხრობითი ბრუნვის ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი, მესამე სერიაში მდგომთან შეწყობილი – მიცემითის ფორმით, პირველ სერიაში მდგომთან შეწყობილი კი – სახელობითის ფორმით. მაშასადამე, ამ ზმნის (წერა) დასახელებულ ფორმებს სახელი **ბავშვი** ქვემდებარედ მხოლოდ ამ სამ ბრუნვაში უნდა შეეწყოს.

ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი წინადადების არამთავარ წევრთა ბრუნვებია. მათ აერთიანებთ ფუ-

ძის კუმშვა (ეკლ-ის, ეკლ-ით, ეკლ-ად). პირველ ორ ბრუნვას კი – კვეცა (მთ-ის, მთ-ით).

ბრუნვათა რიგს რაც შეეხება, მას სინტაქსური და მორფოლოგიური საფუძველი უდევს.

სინტაქსური საფუძველი ის არის, რომ პირველი სამი ადგილი ქვემდებარის ბრუნვებს უჭირავთ: სახელობითს, მოთხრობითსა და მიცემითს. მათგან სახელობითი და მიცემითი ამავე დროს სახელით გადმოცემული სხვა მთავარი წევრების ბრუნვებიცაა. სახელობითით, გარდა ქვემდებარისა, გადმოიცემა პირდაპირი დამატება, მიცემითით კი – პირდაპირი დამატებაც და ირიბიც. მოთხრობითის ერთადერთი დანიშნულება ქვემდებარის გადმოცემაა.

მორფოლოგიური საფუძველი ის არის, რომ პირველ სამ ბრუნვაში ფუძე სრულია, არც კუმშვა ხდება და არც კვეცა. ამასთან, სახელობითი პირველ ადგილზე იმიტომ, რომ ეს ბრუნვა სახელის დასახელებას გამოხატავს; მოთხრობითი მეორე ადგილზე იმიტომ არის, რომ ისიც, სახელობითის მსგავსად, ქვემდებარის ბრუნვაა და ნაცვალსახელური წარმოშობისაა (შდრ. -ი ← იგი, -მა ← მან). ამ სამეულში მიცემითი ბოლოსაა, რადგანაც ამ ბრუნვით გარდა მთავარი წევრებისა, არამთავარი წევრებიც გადმოიცემა.

ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი არამთავარ წევრთა ბრუნვებია. მათ აერთიანებთ ფუძის **კუმშვა** (საპნ-ის, საპნ-ით, საპნ-ად), პირველ ორ ბრუნვას კი – **კვეცა** (მზ-ის, მზ-ით).

ამ სამი ბრუნვის რიგის დაცვისას გათვალისწინებულია ისიც, რომ მიცემითსა და ნათესაობითში ერთნაირად იწარმოება თანაინი მრავლობითი (კაც-თ-ა) და ნათესაო-

ბითსა და მოქმედებითში საზღვრულები ერთნაირად შეიწყობენ დახურულფუძიან მსაზღვრელებს (ლამაზი სახლის, ლამაზი სახლით).

ბოლო, მეშვიდე, ადგილი უჭირავს წოდებითს, ის განმარტოებულია და არ ერევა სხვა ბრუნვების ფუნქციებში, მხოლოდ მიმართვას მისი დანიშნულება (რას შვრები, კაცო! მიყვარხარ, ქალავ! ღმერთო ძლიერო! ...).

სახელის ფუძე რომ ვიპოვოთ, საჭიროა იგი დავსვათ მოთხრობით ბრუნვაში და ჩამოვაშოროთ ბრუნვის ნიშანი. რაც დარჩება, ის იქნება **ფუძე**. ფუძე შეიძლება ბოლოვდებოდეს თანხმოვნით (კაც-მა) ან ხმოვნით (ყაყაჩო-მ). თუ სახელის ფუძე თანხმოვნით ბოლოვდება, მაშინ სახელი **დახურულფუძიანია**, თუკი ხმოვნით ბოლოვდება, მაშინ სახელი **ღიაფუძიანია**. ფუძე, ასევე, შეიძლება იყოს **სრული** (თუ მას არ აკლია ხმოვანი: ბავშვ-ის, მერხ-ის, ...) ან **უსრული** (თუ მას აკლია ხმოვანი: მთ(ა)-ის, დედაბ(ე)რ-ის, გოდ(ო)რ-ის, ყან(ა)-ის, ღვინ(ო)-ის, ...). ე. ი. **უსრულია** ფუძე, თუ ის შეკუმშულია ან ხმოვანმოკვეცილი.

სახელის რიცხვი ორია: მხოლოლობითი და მრავლობითი. მხოლოლობითი ერთ საგანს აღნიშნავს, მრავლობითი – ერთზე მეტს. მრავლობითის აღსანიშნავად გამოიყენება აფიქსები. მაგალითად, **კაცი** მხოლოლობითი რიცხვის ფორმაა, მრავლობითისა კი – **კაც-ებ-ი, კაც-ნ-ი**.

წარმოების თვალსაზრისით ქართულში ორგვარი მრავლობითი გვაქვს: **-ნ** და **-თ** სუფიქსებიანი (ნართანიაანი) და **-ებ** სუფიქსიანი. **-ებ** და **-ნ** სუფიქსები სახელის რიცხვს აღნიშნავენ მხოლოდ, **-თ** კი ერთდროულად რიცხვზეც მიუთითებს და ბრუნვაზეც. ამასთან, იგი საზიაროა მოთხრო-

ბითი, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვებისათვის. მაგალითად, წინადადებებში: კაც-თ-ა გააკეთეს, კაც-თ-ა გაუკეთებიათ, კაც-თ-ა გაკეთებულია არ ჩანს, ფორმაში **კაცთა** რომელი ბრუნვის შინაარსი დევს: მოთხრობითის, მიცემითისა თუ ნათესაობითის. ამის გასარკვევად გამოვიყენოთ **-ებ-**იანი მრავლობითი, **-თ** სუფიქსი შევცვალოთ **-ებ** სუფიქსით (კაც-ებ-მა გააკეთეს, კაც-ებ-ს გაუკეთებიათ, კაც-ებ-ის გაკეთებულია) და ყველაფერი ნათელი გახდება.

ბრუნვის ნიშანთა გავრცობა არის მოვლენა, რომელსაც ადგილი აქვს ოთხ ბრუნვაში: მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში. თანხმოდებით დაბოლოებულ ბრუნვის ნიშნებს (-ს, -ის, -ით, -ად) ზოგჯერ უჩნდება ხმოვანი ა, ე, ი. ხდება ბრუნვის ნიშნის გავრცობა ა ხმოვნით. ამიტომ ამ ა ხმოვანს **სავრცობს** უწოდებენ. მეტყველებაში ეს ა ხმოვანი ბრუნვის ნიშნის განუყოფელი ნაწილია.

სავრცობის გამოყენებას ასეთი სახე აქვს:

მიც.	-სა	ყველა ფუძესთან	კაც-სა, რკო-სა
ნათ.	-ისა -სა	დახურულფუძიანებთან და კვეცად ღიაფუძიანებთან უკვეცელ ღიაფუძიანებთან	ქარხნ-ისა, ძმ-ისა წყარო-სა
მოქ.	-ითა	დახურულფუძიანებთან და კვეცად ღიაფუძიანებთან	წყლ-ითა, გზ-ითა
ვით.	-ადა -და	დახურულფუძიანებთან ღიაფუძიანებთან	ბავშვ-ადა რძე-და

ბრუნვის კატეგორია, უპირველეს ყოვლისა, არსებითი სახელისთვისაა დამახასიათებელი. ყველა არსებითი სახელი იბრუნვის უგამონაკლისოდ.

ბრუნების ტიპები

არსებით სახელთა ბრუნების **ხუთი ტიპი** არსებობს:

1. **უკუმშველი** დახურულფუძიანი სახელები,
2. **კუმშვადი** დახურულფუძიანი სახელები,
3. **უკვეცილი** ღიაფუძიანი სახელები,
4. **კვეცადი** ღიაფუძიანი სახელები,
5. **კუმშვად-კვეცადი** ღიაფუძიანი სახელები.

ზოგჯერ ბრუნების ტიპებს ორად ყოფენ. **პირველ** ტიპს აკუთვნებენ პირველ ორ შემთხვევას, ხოლო **მეორე** ტიპს აკუთვნებენ ბოლო სამ შემთხვევას.

-**ებ**-იან მრავლობითში ყველა სახელი დახურულფუძიანია. ბრუნვის ნიშნები ცვლილებას არ განიცდიან. ფუძეები კი შეიძლება აქაც სხვადასხვანაირი იყოს, კუმშვისა და კვეცის შედეგების გათვალისწინებით.

შემოვიღოთ შემდეგი

განსაზღვრა 1. დახურულფუძიანი სახელის ბრუნების, აგრეთვე, რიცხვის წარმოების დროს სახელის ფუძეში ბოლოკიდურა მარცვლის ხმოვნის დაკარგვას **კუმშვა** ეწოდება.

ფუძე, რომელსაც კუმშვა ახასიათებს, კუმშვადია.

კუმშვა ხდება სამ ბრუნვაში: ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში (აგრეთვე, **-ებ**-იან მრავლობითში). იკუმშება სამი ხმოვანი: **ა, ე, ო**.

ხმოვნის კუმშვა, ჩვეულებრივ, სრულია, მაგრამ **ო** ხმოვანს, თუ დამატებითი პირობები არ არის, ახასიათებს ნაწილობრივი კუმშვა (ანუ **ო** → **ვ** პროცესი): მაწონ-ი → მაწვნის, მინდორ-ი → მინდვრის, ნიორ-ი → ნივრის, ...

ფუძეუკუმშველი სახელებია: გრიგალი, ბანდალი, ..., გიდელი, ფრინველი, ..., ბოლი, ბროლი, ..., ყელსაბამი, ...

ფუძეკუმშვადი სახელებია: მამალი, კედელი, მაწონი, მხედარი, მდევარი, საპონი, ირემი, კალამი, დედაბერი, ...

განსაზღვრა 2. ღიაფუძიანი სახელის ბრუნებისას ბრუნვის ნიშნის გავლენით ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის ჩამოშორებას **კვეცა** ეწოდება.

ფუძე, რომელიც იკვეცება, კვეცადია.

კვეცა ხდება ორ ბრუნვაში: ნათესაობითსა და მოქმედებითში. იკვეცება ორი ხმოვანი -ა და -ე.

ერთადერთი კვეცადი **ო**-ხმოვნიანი ფუძეა **ღვინო** (→ ღვინ-ის).

თავისებურია კვეცის მოვლენა **-ებ-**იან მრავლობითში: ამ შემთხვევაში ა ხმოვანი იკვეცება, ე ხმოვანი კი უკვეცვლად რჩება: ძმა → ძმ(ა)-ებ-ი, მაგრამ დღე → დღე-ებ-ი, ...

ღიაფუძიანი უკვეცელი არსებითი სახელებია: წიბო, ღადო, წყარო, ოქრო, ბუ, დათუნია, ფისუნია, დედოფალა, ...

ღიაფუძიანი კვეცადი არსებითი სახელებია: მთვარე, ბადე, ციხე, ღობე, მზე, ..., მთა, ძმა, გზა, ბიძა, ლოყა, ჭიქა, ...

ღიაფუძიანი არსებითი სახელების მცირე რაოდენობა (ათიოდე სახელი) ერთდროულად განიცდის ორივე მითითებულ პროცესს – იკვეცება და იკუმშება.

კვეცა და კუმშვა ერთდროულად ხდება სამ ბრუნვაში: ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში.

კვეცად-კუმშვადი არსებითი სახელებია: ქარხანა, პეპელა, მოყვარე, მხარე, ქვეყანა, ფანჯარა, ბეგარა, ტომარა, ...

მოყვარე → მოყვრ-ის, მოყვრ-ით, მოყვრ-ად.

პეპელა → პეპლ-ის, პეპლ-ით, პეპლ-ად.

ბეგარა → ბეგრ-ის, ბეგრ-ით, ბეგრ-ად.

ტომარა → ტომრ-ის, ტომრ-ით, ტომრ-ად.

არსებით სახელთა ბრუნების ნიმუშები

დახურულფუძიანი უკუმშველი საზოგადო

	მხ. რ.	მრავლობითი რიცხვი	
სახ.	ადამიან-ი	ადამიან-ებ-ი	ადამიან-ნ-ი
მოთ.	ადამიან-მა	ადამიან-ებ-მა	ადამიან-თ(ა)
მიც	ადამიან-ს	ადამიან-ებ-ს	ადამიან-თ(ა)
ნათ.	ადამიან-ის	ადამიან-ებ-ის	ადამიან-თ(ა)
მოქ.	ადამიან-ით	ადამიან-ებ-ით	–
ვით.	ადამიან-ად	ადამიან-ებ-ად	–
წოდ.	ადამიან-ო	ადამიან-ებ-ო	ადამიან-ნ-ო

დახურულფუძიანი უკუმშველი საკუთარი

სახ.	ნოდარ-ი	აფხაზეთ-ი	ენგურ-ი
მოთ.	ნოდარ-მა	აფხაზეთ-მა	ენგურ-მა
მიც	ნოდარ-ს(ა)	აფხაზეთ-ს(ა)	ენგურ-ს(ა)
ნათ.	ნოდარ-ის(ა)	აფხაზეთ-ის(ა)	ენგურ-ის(ა)
მოქ.	ნოდარ-ით(ა)	აფხაზეთ-ით(ა)	ენგურ-ით(ა)
ვით.	ნოდარ-ად(ა)	აფხაზეთ-ად(ა)	ენგურ-ად(ა)
წოდ.	ნოდარ	აფხაზეთ-ო	ენგურ-ო

ადამიანთა სახელები იჩენენ იმ თავისებურებას, რომ არ გააჩნიათ მრავლობითი რიცხვი (მსგავსად გეოგრაფიული სახელებისა) და არ დაირთავენ ბრუნვის ნიშანს წოდებითში: თამარი წოდებითშია **თამარ** და სხვ.

ადამიანთა გვარები (დახურულფუძიანი), ორიოდე გამონაკლისის გარდა, ყველა ფუძეუკუმშველია. მათ წოდებითი ბრუნვაც აქვთ და მრავლობითი რიცხვიც.

დაბურულფუძიანი კუმზადი საზოგადო

	მხ. რ.	მრავლობითი რიცხვი	
სახ.	მარცვალ-ი	მარცვლ-ებ-ი	მარცვალ-ნ-ი
მოთ.	მარცვალ-მა	მარცვლ-ებ-მა	მარცვალ-თ(ა)
მიც	მარცვალ-ს(ა)	მარცვლ-ებ-ს	მარცვალ-თ(ა)
ნათ.	მარცვლ-ის(ა)	მარცვლ-ებ-ის	მარცვალ-თ(ა)
მოქ.	მარცვლ-ით(ა)	მარცვლ-ებ-ით	–
ვით.	მარცვლ-ად(ა)	მარცვლ-ებ-ად	–
წოდ.	მარცვალ-ო	მარცვლ-ებ-ო	მარცვალ-ნ-ო

	მხ. რ.	მრავლობითი რიცხვი	
სახ.	მინდორ-ი	მინდვრ-ებ-ი	მინდორ-ნ-ი
მოთ.	მინდორ-მა	მინდვრ-ებ-მა	მინდორ-თ(ა)
მიც	მინდორ-ს(ა)	მინდვრ-ებ-ს(ა)	მინდორ-თ(ა)
ნათ.	მინდვრ-ის(ა)	მინდვრ-ებ-ის(ა)	მინდორ-თ(ა)
მოქ.	მინდვრ-ით(ა)	მინდვრ-ებ-ით(ა)	–
ვით.	მინდვრ-ად(ა)	მინდვრ-ებ-ად(ა)	–
წოდ.	მინდორ-ო	მინდვრ-ებ-ო	მინდორ-ნ-ო

დაბურულფუძიანი კუმზადი საკუთარი

	მხ. რ.	მრავლობითი რიცხვი	
სახ.	მაჩაბელ-ი	მაჩაბლ-ებ-ი	მაჩაბელ-ნ-ი
მოთ.	მაჩაბელ-მა	მაჩაბლ-ებ-მა	მაჩაბელ-თ(ა)
მიც	მაჩაბელ-ს(ა)	მაჩაბლ-ებ-ს(ა)	მაჩაბელ-თ(ა)
ნათ.	მაჩაბლ-ის(ა)	მაჩაბლ-ებ-ის(ა)	მაჩაბელ-თ(ა)
მოქ.	მაჩაბლ-ით(ა)	მაჩაბლ-ებ-ით(ა)	–
ვით.	მაჩაბლ-ად(ა)	მაჩაბლ-ებ-ად(ა)	–
წოდ.	მაჩაბელ-ო	მაჩაბლ-ებ-ო	მაჩაბელ-ნ-ო

შედარებისათვის მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი:

	ზედსართავი	საკუთარი სახელი	
სახ.	ნაზ-ი	ნაზი	გულნაზ-ი
მთ.	ნაზ-მა	ნაზი-მ	გულნაზ-მა
მიც	ნაზ-ს(ა)	ნაზი-ს(ა)	გულნაზ-ს(ა)
ნათ.	ნაზ-ის(ა)	ნაზი-ს(ა)	გულნაზ-ის(ა)
მოქ.	ნაზ-ით(ა)	ნაზი-თ(ა)	გულნაზ-ით(ა)
ვით.	ნაზ-ად(ა)	ნაზი-დ(ა)	გულნაზ-ად(ა)
წოდ.	ნაზ-ო	ნაზი	გულნაზ

ღიაფუძიან სახელთა უმრავლესობას ფუძე უთავდება ა, ე, ო ხმოვნებზე, უ-სა და ე-ზე დაბოლოებული სახელები ქართულში იშვიათია. აქ ფუძის კვეცას აქვს ადგილი.

ფუძეკვეცად სახელთა ბრუნება

	მხოლოებითი რიცხვი		მრავლობითი რიცხვი	
	ეკვეცება ა	ეკვეცება ე	ეკვეცება ა	ე არ ეკვეცება
სახ.	გზა	კლდე	გზ-ებ-ი	კლდე-ებ-ი
მთ.	გზა-მ	კლდე-მ	გზ-ებ-მა	კლდე-ებ-მა
მიც.	გზა-ს(ა)	კლდე-ს(ა)	გზ-ებ-ს(ა)	კლდე-ებ-ს(ა)
ნათ.	გზ-ის(ა)	კლდე-ის(ა)	გზ-ებ-ის(ა)	კლდე-ებ-ის(ა)
მოქ.	გზ-ით(ა)	კლდე-ით(ა)	გზ-ებ-ით(ა)	კლდე-ებ-ით(ა)
ვით.	გზა-დ(ა)	კლდე-დ(ა)	გზ-ებ-ად(ა)	კლდე-ებ-ად(ა)
წოდ.	გზა-ო	კლდე-ო	გზ-ებ-ო	კლდე-ებ-ო

კვეცას იწვევს იგივე ფაქტორი, რომლის მიზეზითაც ხდება კუმშვა – ხმოვნით დაწყებული ბოლოსართი. ესაა მხოლოდობითის -ის, -ით ნიშნები და მრავლობითის -ებ სუფიქსი. ნართანთან მრავლობითში ფუძე არ იკვეცება.

	უკვეცილი	კვეცადი	კუმშვ.-კვეცადი
სახ.	წყარო	მთვარე	ფანჯარა
მოთ.	წყარო-მ	მთვარე-მ	ფანჯარა-მ
მიც	წყარო-ს	მთვარე-ს	ფანჯარა-ს
ნათ.	წყარო-ს(ი)	მთვარ-ის	ფანჯარ-ის
მოქ.	წყარო-თ(ი)	მთვარ-ით	ფანჯარ-ით
ვით.	წყარო-დ	მთვარე-დ	ფანჯარ-ად
წოდ.	წყარო-ვ	მთვარე-ვ	ფანჯარა-ვ

შენიშვნა: კუმშვად-კვეცად ფუძეებში კუმშვა და კვეცა ხდება ვითარებით ბრუნვაშიც.

ფუძეუკვეციელ სახელებს ფუძე არ ეკვეცება, მაგრამ სა-მაგიეროდ ცვლილება მოსდის ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნებს. -ის და -ით სუფიქსებში შემავალი ი უმარცვლო ხდება, შემდეგ კი საერთოდ უჩინარდება: ოქრო-ს(ი), ოქრო-თ(ი), ...; რუ-ს(ი), რუ-თ(ი), ...

სახ.	ოქრო	რუ	ტრამვაი
მოთ.	ოქრო-მ	რუ-მ	ტრამვაი-მ
მიც	ოქრო-ს(ა)	რუ-ს(ა)	ტრამვაი-ს(ა)
ნათ.	ოქრო-ს(ი)	რუ-ს(ი)	ტრამვაი-ს(ა)
მოქ.	ოქრო-თ(ი)	რუ-თ(ი)	ტრამვაი-თ(ა)
ვით.	ოქრო-დ(ა)	რუ-დ(ა)	ტრამვაი-დ(ა)
წოდ.	ოქრო-ვ	რუ-ვ ან რუ-ო	ტრამვაი

ზოგიერთი სახელი თავისებურად იბრუნვის. ასეთია:

- **ღვინო** ო-ზე დაბოლოებულ სახელებში ერთადერთია, რომელსაც ო ეკვეცება: **ღვინის**.
- **ხბო** მრავლობითში ორგვარია: **ხბოები** და **ხბორები**.
- **ამბავი** – კუმშვის შემდეგ ვ უჩინარდება: **ამბის**.
- **ხუცესი** შეკუმშულ ფორმაში ს-ს კარგავს: **ხუცის**.

მართლწერის საკითხები, დაკავშირებული არსებითი სახელების ბრუნებასთან, ასეთია:

➤ როდესაც სახელის ფუძე იმ ბგერით ბოლოვდება, რომლითაც იწყება აფიქსი ან თანდებული, მაშინ სიტყვაში თავს იყრის ორი ერთნაირი ბგერა: კალამმა, გურამმა, ..., თბილისს, მწყემსს, ..., დღეები, მეჩაიეები, ..., ბრძენნი, ბერძენნი, ..., ბარათთა, საათთა, ..., თითთან, თათთან, ..., ასპარეზზე, ხაზზე, ..., ბალიშში, ქარქაშში, ...

➤ თუ სახელის ფუძე ია-ზე ბოლოვდება, ნათესაობით-სა და მოქმედებითში ორი ი მოიყრის თავს (ბიოლოგიის, ბიოლოგიით; ანტალის, ანტალით, ...).

➤ თუ და კავშირით ორი სახელია შეერთებული, მაშინ მიცემითში ბრუნვის ნიშანს ორივე დაირთავს და კავშირის წინ მდგომი სახელი გავრცობილია ა სავრცობით: მთასა და ბარს (და არა: მთა და ბარს ან მთას და ბარს; დღესა და ღამეს (და არა: დღე და ღამეს ან დღეს და ღამეს), დასა და ძმას (და არა: და და ძმას ან დას და ძმას, ...).

➤ მიცემითსა და ნათესაობითში და კავშირით შეერთებულ სახელთაგან თანდებული მომდევნოს დაერთვის: ზღვასა და ხმელეთზე (და არა: ზღვაზე და ხმელეთზე), ან ოჯახისა და საზოგადოებისათვის (და არა: ოჯახისათვის და საზოგადოებისათვის). ხოლო, თუ და-ს წინ რამდენიმე სახელია, ყველა დაირთავს თანდებულს, გარდა და კავშირის წინ მდგომისა: ერეკლე ზრუნავდა ოჯახზე, შვილებზე, მათ წარმატებასა და მომავალზე.

საინტერესოა **მართლწერის** ზოგიერთი საკითხი არსებითი სახელის წარმოქმნასთან დაკავშირებით.

1. როცა სახელების ფუძე -ვ-თი ბოლოვდება, მაშინ წოდებითში -ო ნიშნის, ან უ- -ო, სა- -ო, -ობა, -ურ მაწარმოებელი აფიქსების დართვისას -ვ არ უნდა დაიკარგოს:

➤ თავ-ო (და არა: თაო), კრავ-ო (და არა: კრაო), კარავ-ო (და არა: კარაო), ...

➤ უ-დავ-ო (და არა: უდაო), უ-თავ-ო (და არა: უთაო), ..., მაგრამ ვ-ს გარეშეა: თაობა, თაოსანი, ..., (რატომ?)

➤ სა-დავ-ო (და არა: სადაო), სა-ნათესავ-ო (და არა: სანათესაო), ..., მაგრამ ვ-ს გარეშეა: ნათესაობა, ნათესაური, ... (რატომ?)

➤ სა-ბავშვ-ო, სა-დაზღვევ-ო, სა-მარხვ-ო, ..., მაგრამ ვ-ს გარეშეა: სამრეცხაო, სამბეჭდაო, ..., (რატომ?)

➤ თავ-ურ-ი დარტყმა (და არა თაური დარტყმა), ბავშვ-ურ-ი (და არა: ბავშური), ...

➤ გამონაკლისებია: ფშა-ური, მოხე-ური, პასი-ური, ...

2. საზოგადო არსებითი სახელები: კარი, ბერი, ფერი, ქარი, ... უკუმშველია, მაგრამ, თუ ისინი მოგვევლინა კომპოზიტის მეორე ნაწილად (ჭიშკარი, ...), მაშინ იკუმშება.

3. **შემართება** ნიშნავს გაბედულობას, მამაცობას, გულადობას || ენერგიას, მონდომებას. **შემართებითია** ყველაფერი, რაც შემართების ხასიათისაა, – მამაცური. სწორი გამოთქმაა: გამირული **შემართება**, საქმეს **შემართებით** შეუდგა, **შემართებით** ცხოვრობს, **შემართებით** მოღვაწეობს, ვაჟკაცური **შემართებისაა**, მაგრამ არასწორია გამოთქმა: **შემართებული** კაცი. ზოგჯერ იტყვიან, **შემართული** კაციაო, მაგრამ ეს მით უმეტეს არ არის სწორი. **შემართული** შეიძლება ჩახმახი იყოს და არა კაცი. **შემართება** გამონაკლისი სიტყვაა, რომლისგანაც **-ულ** სუფიქსით სხვა სიტყვა არ იწარმოება.

ზედსართავ სახელთა კლასი

განსაზღვრა. ძირითად სიტყვას, რომელიც დაერთვის არსებით სახელს და გამოხატავს არსებითი სახელით აღნიშნული საგნის ნიშან-თვისებას, **ზედსართავი სახელი** ეწოდება.

ზედსართავი სახელი მიუგებს კითხვებზე: როგორი? რომელი? სადაური? როდინდელი? (**კარგი** წიგნი, **ლამაზი** სახლი, **თეთრი** ხალათი, **ულრუბლო** ზეცა, **ქართული** ღვინო, **შარშანდელი** თოვლი, ...) და წინადადებაში განსაზღვრების როლს ასრულებს.

რაკი ზედსართავი სახელი საგნის ნიშან-თვისებას გამოხატავს. სწორედ ნიშან-თვისებათა საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ ზედსართავ სახელთა შემდეგი შინაარსობრივი ჯგუფები:

- ფორმის მიხედვით: მრგვალი, ბრტყელი, სწორი, ...
- ფერის მიხედვით: შავი, თეთრი, ყვითელი, ლურჯი, მწვანე, ყავისფერი, ...
- გემოს მიხედვით: მწარე, ტკბილი, მჟავე, მლაშე, ...
- ზომის მიხედვით: დიდი, პატარა, ვრცელი, ფართო, განიერი, ვიწრო, ...
- ოდენობის მიხედვით: ცოტაოდენი, მრავალრიცხოვანი, ნახევარი, ...
- წონის მიხედვით: მძიმე, მსუბუქი, მჩატე, ...
- ჯერადობის მიხედვით: ორჯერადი, სამჯერადი, ..., ორმაგი, სამმაგი, ოთხმაგი, ..., ათმაგი, ..., ასმაგი, ..., ორფა, სამფა, ოთხფა, ..., ათფა, ... ასფა, ...
- რაოდენობრივი შედგენილობის მიხედვით: მეორედი, მესამედი, მეოთხედი, ..., მეათედი, ..., მეასედი, ...

ბოლო ორი ჯგუფის წევრებს დაესმით კითხვა **როგორი?** და არა: რამდენჯერადი? ან რამდენმაგი? ან კიდევ მერამდენედი? ასეთი კითხვები არ არსებობს!

შინაარსობრივი ჯგუფები, ასევე, შეიძლება გამოვყოთ იმ კითხვების მიხედვით, რომლებიც ზედსართავ სახელებს დაესმით.

- როგორი? – დიდი, ნათელი, ტკბილი, მჭლე, ...
- რომელი? – მარჯვენა, შინაური, გარეული, ...
- სადაური? – ბათუმელი, ბერძნული, დასავლური, ...
- როდინდელი? – დღევანდელი, გუშინდელი, შარშანდელი, სამომავლო, ...

ზედსართავი სახელი ორგვარია: **ვითარებითი** და **მიმართებითი**.

ვითარებითი ზედსართავი **პირველადია**, რადგანაც იგი სხვა რამესთან მიმართების გარეშე პირდაპირ ასახელებს საგნის ნიშან-თვისებას. მიმართებითი ზედსართავი კი **მეორეულია**, წარმოებული, რადგანაც იგი საგნის ნიშან-თვისებას ასახელებს რომელიმე სხვა საგანთან მიმართებაში, მისი მოხმობით. მაგალითად, შევადაროთ ერთმანეთს **მაღალი კაცი** და **ქუდიანი კაცი**. **მაღალი** ნიშან-თვისებაა და პირდაპირაა დასახელებული. **ქუდიანი** კი კაცს ახასიათებს **ქუდის** ქონა-არქონის მიხედვით, ე. ი. ზედსართავი სახელი კაცის ნიშან-თვისებას ასახელებს **ქუდთან** მიმართებით. ამიტომ **მაღალი** ვითარებითია, **ქუდიანი** კი მიმართებითი.

მაშასადამე, **ვითარებითია** ზედსართავი, რომელიც საგნის ნიშან-თვისებას უშუალოდ გამოხატავს, ხოლო **მიმართებითია** ზედსართავი, რომელიც ამავე შინაარსს სხვა საგანთან მიმართებით იძლევა.

პირველადი, ძირეული სიტყვებია: ცქვიტი, ფიცხი, კარგი, ცუდი, შავი, ლამაზი, თეთრი, მჟავე, ტკბილი, ბოროტი, კეთილი, ცრუ, ყრუ, ჭემმარიტი, ...; მათი რაოდენობა ენაში უფრო ნაკლებია, ვიდრე მეორეულისა. მეორეული, წარმოებული სიტყვებია: ქუდიანი, უქუდო, ყელიანი (ჩექმა), ჩვენებური (ხილი), დღევანდელი (ვითარება), შარშანდელი (გამოცდილება), ხავსიანი (ქვა), ...

ვითარებითი ზედსართავი სახელებისათვის დამახასიათებელია **ხარისხის** ფორმათა წარმოება. მათ შეუძლიათ საგნის ნიშან-თვისება სხვადასხვა ხარისხით წარმოადგინონ. მაგალითად, **მწვანე** ძირეული სახელია, **უმწვანესი** და **მომწვანო** კი მისგან ნაწარმოები ფორმებია, რომელთაგან **უმწვანესი** აღნიშნავს ფერს უფრო მეტი ხარისხით, **მომწვანო** კი – ნაკლებით. პირველი **უფროობითია**, მეორე – **ოდნაობითი**.

ვითარებით ზედსართავ სახელს ხარისხის სამი ფორმა აქვს: **დადებითი** (შავი), **ოდნაობითი** (მო-შავ-ო) და **უფროობითი** (უ-შავ-ეს-ი).

ოდნაობით ხარისხს აწარმოებს **მო-** **-ო** თავსართ-ბოლოსართი და გამოხატავს თვისებას ძირეულ ზედსართავ სახელზე ნაკლები ოდენობით.

უფროობით ხარისხს აწარმოებს **უ-** **-ეს** თავსართ-ბოლოსართი და აღნიშნავს თვისებას იმაზე მეტი ოდენობით, ვიდრე ძირეული ზედსართავი სახელი.

ზოგიერთ **ვითარებით** ზედსართავ სახელს ხარისხის ფორმები არ ეწარმოება (სველი, კოჭლი, ...), ზოგს მხოლოდ **ოდნაობითი** ხარისხი აქვს (ნაცრისფერი → მონაცრისფრო;

იშვიათად – პოეტურ ენაში გვხვდება უნაცრისფრესიც), ზოგიერთს კი – მხოლოდ უფროობითი (ნაზი → უნაზესი).

ე. ი. ხარისხებს შესაბამისი აფიქსები აწარმოებს.

➤ ოდნაობით ხარისხს აწარმოებს **მო-** **-ო** თავსართ-ბოლოსართი: შავი → მო-შავ-ო, მწარე → მო-მწარ-ო, ...

➤ უფროობით ხარისხს აწარმოებს **უ-** **-ეს** თავსართ-ბოლოსართი: შავი → უ-შავ-ეს-ი, მწარე → უ-მწარ-ეს-ი, ...

➤ ხარისხის ფორმათა წარმოებისას **-ელ** და **-ილ** სუფიქსიან ზოგიერთ სახელს ეს სუფიქსები ეკვეცება: გრძ-ელ-ი → უ-გრძ-ეს-ი, მო-გრძ-ო, ...

➤ ოდნაობითის ფორმებში ზოგჯერ **-ელ** სუფიქსი იცვლება **-ალ** დაბოლოებით: ყვითელი → მოყვითალო, წითელი → მოწითალო, ...

➤ უფროობითი ხარისხის წარმოებისას ზედსართავი სახელის ფუძე იკუმშება: წითელი → უწითლესი, ყვითელი → უყვითლესი, ...

მიმართებით ზედსართავ სახელებს ხარისხი არ ეწარმოებათ, მაგალითად, არ შეიძლება უთმოსგან უთმოესის ან უუთმოესის წარმოება, არ შეიძლება უხავსიანესი და სხვა; თუმცა, არსებობს გამონაკლისებიც, როცა მიმართებითი ზედსართავი ვითარებითშია გადასული:

➤ გონი → გონ-იერ-ი → უ-გონიერ-ეს-ი,

➤ ჭკუა → ჭკვ-იან-ი → უ-ჭკვიან-ეს-ი.

ასეთი ზედსართავი სახელებია: ძლიერი, ღონიერი, გონიერი, ბედნიერი, მშვენიერი, გემრიელი, პატიოსანი, მნიშვნელოვანი, გულითადი, დიადი, ძვირფასი და სხვ.

ენაში ხშირად ზედსართავი სახელი არსებით სახელად გამოიყენება (სუბსტანტივაცია), და, პირიქით, ხშირად არსე-

ბითი სახელი გამოიყენება ზედსართავად (ადიექტივაცია). პირველის მაგალითებია: ნაცვლად იმისა, რომ ვთქვათ, მონადირე კაცი ტყეში წავიდა, თუ ვიტყვი: მონადირე ტყეში წავიდა, მაშინ **მონადირე**, რომელიც პირველ წინადადებაში ზედსართავი იყო, მეორეში გაარსებითდება. ასევე: **მაღალმა** წადილი აისრულა, **ცალთვალამ** პირველი ადგილი აიღო და სხვ. მეორის მაგალითებია: **მტკაველი** მიწა, **ტომარა** ფქვილი, **დოქი** ღვინო და სხვ.

ფორმისა და შინაარსის მიხედვით წარმოქმნილი ზედსართავი სახელები შეიძლება იყოს: ქონებისა, უქონლობისა, წარმომავლობისა, დანიშნულებისა და ხარისხის. ხარისხის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. განვიხილოთ დანარჩენი ოთხი ჯგუფი.

ყოლა-ქონების ზედსართავები აღნიშვავენ ვინმეს ყოლას ან რაიმეს მქონეობას და იწარმოებიან აფიქსებით: -იან, -იერ (-იელ), -ოსან, -ოვან, -ა (ქუდიანი, ყაბალახიანი, ცხენიანი, ..., გონიერი, ცნობიერი, ..., მანდილოსანი, ჩინოსანი, ..., ძალოვანი, ახოვანი, კლდოვანი, ..., ულვაშა, ლურჯთვალა, გულწითელა, ...).

უყოლობა-უქონლობის ზედსართავები გამოხატავენ ძირეული სახელით აღნიშნული საგნის უყოლობას ან საგნისა თუ თვისების უქონლობას და იწარმოებიან აფიქსებით: უ-ურ (უ-ულ), უ-ო (უგემური, უწიგნური, უძლური, უწვერული, ..., უშვილო, უკუდო, უჭკუო, უდისციპლინო, ...).

წარმომავლობის ზედსართავები აღნიშნავენ საგნის წარმომავლობას, სადაურობას, მიმდევრობას და იწარმოებიან აფიქსებით: -ელ, -ურ (-ულ), -იურ, -ეულ, -დელ (სოფლელი, იტალიელი, ..., ფეხბურთელი, კალათბურთელი, ..., კახური,

გორული, ..., ქვეყნიური, აქტიური, ..., თამარისეული, ჩემეული, ..., გუმინდელი, შარშანდელი, ...).

დანიშნულების ზედსართავები იწარმოებიან აფიქსებით: სა-ო, სა-ე, სა-ურ (სა-ულ), სა-არ (სა-ალ), მე-ე, მე-ურ (მე-ულ): სასკოლო, სახორცე, საამური, საომარი, საფიქრალი, მეზაღე, მეურმე, მეზადური, ...; მრავალი ზედსართავი გამოიყენება არსებითის მნიშვნელობით: საღორე, საყურე, ...

აღნიშნულს გარდა, ზედსართავები იწარმოებიან ბრუნვის ნიშნებით, თანდებულების დართვით, ...; მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ნიშნები აწარმოებენ ზედსართავებს არსებითი სახელებისა და საწყისი ზმნებისაგან:

-ით: ბრძანებ-ით-ი, თხრობ-ით-ი, შემთხვევ-ით-ი, სივრც-ით-ი, ყოფ-ით-ი, არსებ-ით-ი, აღმზრდელი-ით-ი, ...

-ად (დ): გულ-ად-ი, ჰურ-ად-ი, ტან-ად-ი, დრეკა-დ-ი, კვეცა-დ-ი, ფართობ-ად-ი, ინტეგრებ-ად-ი, ...

ყურადღებას იქცევს მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ნიშნებით ნაწარმოები ზედსართავი სახელები: დადებითი, წერითი, რიცხვითი, ჟანგვითი, ..., ხსნადი, დენადი, დრეკადი, კუმშვადი, ... დიდია მეცნიერებაში ამ სახელთა გამოყენება ტერმინოლოგიური დანიშნულებით.

ზედსართავი სახელი იბრუნვის, რიცხვსაც იცვლის, მაგრამ სახელთან ხმარების შემთხვევაში მისი ბრუნვაც და რიცხვიც განსაზღვრულია იმ არსებითი სახელის ფორმით, რომელსაც ის ახლავს.

ზედსართავი მსაზღვრელი სახელია და, ჩვეულებრივ, საზღვრულთან ერთად იცვლის ბრუნვის ფორმებს, მაგრამ გაარსებითების შემთხვევაში იგი ისევე იბრუნვის, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე საზოგადო არსებითი სახელი.

ზედსართავი სახელის ბრუნება არსებითთან ერთად

ზედსართავი სახელი არსებითთან ერთად (მსაზღვრელ-საზღვრული) ასე იბრუნვის: სახ. მაღალ-ი სახლ-ი, მოთ. მაღალ-მა სახლ-მა, მიც. მაღალ სახლ-ს, ნათ. მაღალ-ი სახლ-ის, მოქ. მაღალ-ი სახლ-ით, ვით. მაღალ სახლ-ად, წოდ. მაღალ-ო სახლ-ო.

მსაზღვრელ სახელს სამ ბრუნვაში (სახელობითში, მოთხოვითსა და წოდებითში) სრულად ერთვის ბრუნვის ნიშნები (მაღალ-ი სახლ-ი, მაღალ-მა სახლ-მა, მაღალ-ო სახლ-ო); ორ ბრუნვაში (მიცემითსა და ვითარებითში) საერთოდ არ დაერთვის ნიშანი (მაღალ სახლ-ს, მაღალ სახლ-ად), ნათესაობითსა და მოქმედებითში კი დაერთვის მხოლოდ ბოლოსართი -ი (მაღალ-ი სახლ-ის, მაღალ-ი სახლ-ით).

მსაზღვრელი შეიძლება იყოს შეთანხმებული, მართული და მართულ-შეთანხმებული.

შეთანხმებული მსაზღვრელი ბრუნვაში ეთანხმება საზღვრულ წევრს: დიდ-ი კაც-ი, დიდ-მა კაც-მა, დიდ კაც-ს, ... ასეთი მსაზღვრელი ატრიბუტულია.

მართული მსაზღვრელი არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა: ხ-ის კოვზი, რკინ-ის კარი, მეზობლ-ის სახლი, ...; ასეთი მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას მსაზღვრელი უბრუნველი რჩება: ხის სახლი, ხის სახლმა, ხის სახლს, ... ასეთი მსაზღვრელი სუბსტანტიურია.

თუ მართული მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს, მაშინ იგი ბრუნვის ნიშნებსაც დაირთავს და **მართულ-შეთანხმებული** ხდება (კარი რკინისა, კარმა რკინისამ, ...).

მეტყველებაში უპირატესობა ეძლევა მსაზღვრელ-საზღვრულის პირდაპირ წყობას.

დახურულფუძიანი ზედსართავი არსებითთან

როგორც ზემოთ ვთქვით, საზღვრულის წინ მდგომი დახურულფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელი ბრუნები-სას მხოლოობითსა და ებ-იან მრავლობითში საზღვრულთან შეთანხმების სამ სახეს გვიჩვენებს. სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში შეთანხმება **სრულია**, ნათესაობითსა და მოქმედებითში **ნაწილობრივი შეთანხმებაა**, ხოლო მიცემითსა და ვითარებითში **შეთანხმება უნიშნოა**, მსაზღვრელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი. -ებ-იან მრავლობითში მდგომ არსებითთან შეწყობილი ზედსართავი კი არ იცვლის რიცხვს და მხოლოობითში რჩება.

	მხოლოობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახ.	წითელ-ი ბურთ-ი	წითელ-ი ბურთ-ებ-ი
მოთ.	წითელ-მა ბურთ-მა	წითელ-მა ბურთ-ებ-მა
მიც.	წითელ ბურთ-ს	წითელ ბურთ-ებ-ს
ნათ.	წითელ-ი ბურთ-ის	წითელ-ი ბურთ-ებ-ის
მოქ.	წითელ-ი ბურთ-ით	წითელ-ი ბურთ-ებ-ით
ვით.	წითელ ბურთ-ად	წითელ ბურთ-ებ-ად
წოდ.	წითელ-ო ბურთ-ო	წითელ-ო ბურთ-ებ-ო

მრავლობითში იწარმოება, ასევე, **წითელნი ბურთნი**:

სახ. წითელ-ნ-ი ბურთ-ნ-ი, მოთ. წითელ ბურთ-თა, შემდეგ ოთხ ბრუნვაში იგივე მეორდება და წოდებითში ვლუბულობთ: წითელ-ნო ბურთ-ნო. მაგრამ ბრუნების ეს ფორმა მეტყველებაში ნაკლებად გამოიყენება.

ღიაფუძიანი ზედსართავი არსებითთან

საზღვრულის წინ მდგომი ღიაფუძიანი ზედსართავი არ იცვლება.

	მხოლოდობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახ.	ვიწრო ქამარ-ი	ვიწრო ქამრ-ებ-ი
მოთ.	ვიწრო ქამარ-მა	ვიწრო ქამრ-ებ-მა
მიც.	ვიწრო ქამარ-ს	ვიწრო ქამრ-ებ-ს
ნათ.	ვიწრო ქამრ-ის	ვიწრო ქამრ-ებ-ის
მოქ.	ვიწრო ქამრ-ით	ვიწრო ქამრ-ებ-ით
ვით.	ვიწრო ქამრ-ად	ვიწრო ქამრ-ებ-ად
წოდ.	ვიწრო ქამარ-ო	ვიწრო ქამრ-ებ-ო

მრავლობითში იწარმოება, ასევე, **ვიწრო ქამარნი**:

სახ. ვიწრო ქამარ-ნი-ი, მოთ. ვიწრო ქამარ-თა, შემდეგ ოთხ ბრუნვაში იგივე მეორდება და წოდებითში ვლებულობთ: ვიწრო ქამარ-ნი-ო. მაგრამ ბრუნების ეს ფორმა მეტყველებაში ნაკლებად გამოიყენება.

ინვერსიული რიგი.

სახ.	ბავშვ-ი ჭკვიან-ი	მინდორ-ი მწვანე
მოთ.	ბავშვ-მა ჭკვიან-მა	მინდორ-მა მწვანე-მ
მიც.	ბავშვ-ს ჭკვიან-ს	მინდორ-ს მწვანე-ს
ნათ.	ბავშვ-ის ჭკვიან-ის	მინდორ-ის მწვანე-ის
მოქ.	ბავშვ-ით ჭკვიან-ით	მინდორ-ით მწვანე-ით
ვით.	ბავშვ-ად ჭკვიან-ად	მინდორ-ად მწვანე-დ
წოდ.	ბავშვ-ო ჭკვიან-ო	მინდორ-ო მწვანე-ვ

ზოგიერთი ზედსართავი მხოლოდ ვითარებითში იკუმშება, სხვაგან – არსად. ასეთებია: სქელი → სქლად, ბრტყელი → ბრტყლად, ვრცელი → ვრცლად, ცხელი → ცხლად, ...

ზედსართავი სახელების მართლწერა;

➤ -ელ და -ილ სუფიქსიან ზოგიერთ ზედსართავ სახელს ხარისხის წარმოებისას შორდება ეს დაბოლოება: გრძელ-ი → მო-გრძ-ო → უ-გრძ-ეს-ი; ტკბილ-ი → მო-ტკბ-ო → უ-ტკბ-ეს-ი..

➤ რამდენიმე ზედსართავი სახელი ხარისხის გამოსახატავად იყენებს სხვა ფუძეს: კარგი → უკეთესი → საუკეთესო (ამოსავალია „კეთილი“), ცუდი → უარესი (ოდნაობითის მნიშვნელობით), ...

➤ „ფერის“ შემცველი ზედსართავი სახელები სხვა ხარისხის ფორმით კუმშვადია: ცისფერი → მოცისფრო, ყავისფერი → მოყავისფრო, ...

➤ ოდნაობითის ფორმებს თავისებურად აწარმოებს შემდეგი ზედსართავი: წითელი, ყვითელი: მო-წითალ-ო, მო-ყვითალ-ო (და არა მოწითელო, მოყვითელო).

➤ უფროობითი ხარისხის წარმოებისას ზედსართავი სახელის ფუძე იკუმშება: წითელი → უწითლესი, ყვითელი → უყვითლესი, ...

➤ ქართულში საგნის თვისების აღსანიშნავად ხშირად იხმარება -ურ ბოლოსართი, თუმცა, ფუძეში თუ რ ბგერაა, აუცილებლად გვექნება ბოლოში -ულ: თბილის-ურ-ი, კახ-ურ-ი, ქალაქ-ურ-ი, მაგრამ – გორ-ულ-ი.

➤ ფუძეზე -ებრივ სუფიქსის დართვისას ზოგჯერ ხმარობენ ზედმეტ ო ხმოვანს. მაგალითად: სამსახურ-ე-ო-ბრივი, მოწამ-ე-ო-ბრივი, საფეხურ-ე-ო-ბრივი, რაც არასწორია. უნდა ვთქვათ და ვწეროთ: სამსახურ-ებრივი, საფეხურ-ებრივი, მოწამ-ებრივი. სწორია: მომსახურ-ებ-ა, განზოგად-ებ-ა, განზოგად-ებ-ულ-ი, ...

რიცხვით სახელთა კლასი

რიცხვითი სახელები ისტორიულად იქმნებოდა რიცხვის ცნების განვითარების პროცესში, რიცხვის ცნების არსიდან გამომდინარე. ამასთან, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, **თვლა, რიცხვი, რიცხვითი სახელი და რიცხვის ცნება** შეადგენენ ერთ განუყოფელს, ერთმთლიანს. არც ერთი მათგანის არსებობის წარმოდგენა არ შეიძლება დანარჩენის გარეშე. ამიტომ, კარგად უნდა გვქონდეს გაცნობიერებული, რომ ნებისმიერი რიცხვი ერთადერთია და მას თავისი საკუთარი სახელი ჰქვია. რიცხვი უზენაესი აბსტრაქტული ცნებაა, ზოგადკაცობრიული კულტურის ნაწილი და სასურველია, რომ ამ ცნებაში ერკვეოდეს ყველა.

განსაზღვრა 1. ძირითად სიტყვას ან სიტყვათა ერთობლიობას, რომელიც სახელად ჰქვია რიცხვს და პასუხობს კითხვაზე: რამდენი? ან რიგით რომელი?, **რიცხვითი სახელი** ეწოდება.


რიცხვითი სახელი ორგვარია: რაოდენობითი და რიგობითი.

განსაზღვრა 2. რიცხვით სახელს, რომელიც აღნიშნავს საგანთა რაოდენობას და პასუხობს კითხვაზე: რამდენი?, **რაოდენობითი რიცხვითი სახელი** ეწოდება.

განსაზღვრა 3. რიცხვით სახელს, რომელიც აღნიშნავს საგანთა რიგს და პასუხობს კითხვაზე: რიგით რომელი?, **რიგობითი რიცხვითი სახელი** ეწოდება.

თავის მხრივ, რაოდენობითი რიცხვითი სახელები იყოფა ორ ჯგუფად: **ნატურალური** (ე. ი. ბუნებრივი) **რიცხვითი სახელები** და **არანატურალური** (არაბუნებრივი) **რიცხვითი სახელები**.

რიცხვით სახელთა დიქტომიური კლასიფიკაცია ასეთია (ნ. სქემა):



საგანთა გადათვლის დროს, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩვენ საგნებს ვალაგებთ გარკვეული რიგით და თითოეულ მათგანს შევუსაბამებთ ნატურალურ რიცხვებს მიმდევრობით, ერთიდან დაწყებული. წარმოვთქვამთ რიცხვით სახელებს: ერთი, ორი, სამი და ა. შ. თითოეული დასახელებუ-

ლი რიცხვი რაოდენობითიც არის და რიგობითიც. ამიტომ თვლის დროს იგივე უფლებით შეგვიძლია დავასახელოთ რიცხვითი სახელები: პირველი, მეორე, მესამე და ა. შ. საგანთა რაოდენობის გასაგებად ბოლოს დასახელებული რიგობითი რიცხვითი სახელი უნდა გადავიყვანოთ რაოდენობითის ფორმაში.

მაშასადამე:

ნატურალური რაოდენობითი რიცხვითი სახელებია: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, თერთმეტი, თორმეტი, ..., ასი, ათასი, მილიონი, ...

ამავე ჯგუფს ეკუთვნის გაურკვეველი რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები: ცოტა, ბევრი, მრავალი, უამრავი, უთვალავი, ურიცხვი, თუ გარკვეული – არცერთი, ერთადერთი და სხვ.

არანატურალური რაოდენობითი რიცხვითი სახელებია: ნული, მინუს ერთი, მინუს ორი, მინუს სამი, ..., ერთი მეორედი, ხუთი მეორედი, მინუს შვიდი მეცხრედი, ..., კვადრატული ფესვი სამიდან, კუბური ფესვი შვიდიდან, ..., ორი მთელი სამი პერიოდში, ..., პი და სხვ.

რიგობითი რიცხვითი სახელებია: ნულოვანი, პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, ...

ჩვეულებრივ, თვლა „პირველი“-დან იწყება, მაგრამ გადანომვრა შეიძლება ზოგჯერ „ნულოვანი“-დანაც დაიწყოს.

ქართული ნატურალური რაოდენობითი რიცხვითი სახელები ერთი-დან ათის ჩათვლით, აგრეთვე, ოცი, ასი, მარტივია, ყველა დანარჩენი – რთული. რთული ფუძე მიიღება ან უკავშიროდ (ათასი, ათასორასშვიდი), ან და კავშირის საშუალებით (ოც-და-ხუთი, ორმოც-და-ჩვიდმეტი).

რიგობითი რიცხვითი სახელები იწარმოება ნატურალური რაოდენობითი რიცხვითი სახელებისგან მე- პრეფიქსისა და -ე სუფიქსის დართვით (გამონაკლისია **ნულოვანი**): მე-სამ-ე, მე-ცხრ-ე, მაგრამ რთულ სახელებში **პირველი** და **მეერთე** სხვაგვარი წარმოებისაა: ასპირველი, ორასპირველი (?), ოცდამეერთე, ასმეერთე, ორასმეერთე, ...

და კავშირით შეერთებულ სახელთაგან რიგობითის წარმოების შემთხვევაში მე-ე აფიქსები დაერთვის მეორე ფუძეს: ოცდა-მე-შვიდ-ე, ას-მე-თერთმეტ-ე, ...

ნატურალური რიცხვების სათანრიგო კლასების დასახელებათა (რიცხვითი სახელების) ცხრილი ასეთია:

ხარისხი	რიცხვითი სახელი	ხარისხი	რიცხვითი სახელი
10 ³	ათასი	10 ⁵⁴	სეპტდეცილიონი
10 ⁶	მილიონი	10 ⁵⁷	ოქტოდეცილიონი
10 ⁹	მილიარდი	10 ⁶⁰	ნოვედეცილიონი
10 ¹²	ტრილიონი	10 ⁶³	ვიგინტილიონი
10 ¹⁵	კვადრილიონი	10 ⁶⁶	უნვიგინტილიონი
10 ¹⁸	კვინტილიონი	10 ⁶⁹	დუოვიგინტილიონი
10 ²¹	სექსტილიონი	10 ⁷²	ტრევიგინტილიონი
10 ²⁴	სეპტილიონი	10 ⁷⁵	კვატუორვიგინტილიონი
10 ²⁷	ოქტილიონი	10 ⁷⁸	კვინვიგინტილიონი
10 ³⁰	ნონილიონი	10 ⁸¹	სექსვიგინტილიონი
10 ³³	დეცილიონი	10 ⁸⁴	სეპტვიგინტილიონი
10 ³⁶	უნდეცილიონი	10 ⁸⁷	ოქტოვიგინტილიონი
10 ³⁹	დუოდეცილიონი	10 ⁹⁰	ნოვევიგინტილიონი
10 ⁴²	ტრედეცილიონი	10 ⁹³	ტრიგინტილიონი
10 ⁴⁵	კვატუორდეცილიონი	10 ⁹⁶	უნტრიგინტილიონი
10 ⁴⁸	კვინდეცილიონი	10 ⁹⁹	დუოტრიგინტილიონი
10 ⁵¹	სექსდეცილიონი	10 ¹⁰⁰	გუგოლი

ქართული თვლის სისტემა. ქართულში თვლის სისტემა შერეული სახისაა. ზეპირი ნუმერაცია ნაწილობრივ ოცობითია, ხოლო წერითი ნუმერაცია – მთლიანად ათობითი. რიცხვითი სახელები თერთმეტიდან ცხრამეტის ჩათვლით, აგრეთვე, **ასი** და **ასს** ზევით (ასთერთმეტი, ასთორმეტი, ...) შექმნილია ათობითი პრინციპით (მაგალითად, ათ-ერთ-მეტი, ათ-ორ-მეტი, ...), ხოლო ოციდან ოთხმოცდაცხრამეტის ჩათვლით – ოცობითი პრინციპით (მაგალითად, ოთხმოცდათექვსმეტი გულისხმობს ოთხ ოცეულს, ერთ ათეულსა და ექვსს, ვწერთ კი ცხრა ათეულსა და ექვს ერთეულს).

რიცხვით სახელთა ბრუნება. ნატურალურ რიცხვით სახელებს (გარდა სახელებისა: **ორი**, **რვა**, **ცხრა**) ფუძე თანხმოვანზე უთავდებათ, დახურული ფუძისანი არიან. ასეთი რიცხვითი სახელები ფუძეუკუმშველია (გამონაკლისია განუსაზღვრელი რაოდენობის აღმნიშვნელი **მრავალი**: მრავლის, მრავლით, მრავლად). ისინი ბრუნების პირველ ტიპს განეკუთვნებიან. **რვა** და **ცხრა** კი, როგორც ღიაფუძიანი სახელები, განეკუთვნება მეორე ტიპს. რიგობითები კი, გარდა **პირველი**-სა, ბრუნების მეორე ტიპს მიეკუთვნება.

ცალკე ბრუნებისას ნატურალური რაოდენობითი რიცხვითი სახელები ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით: 1. ვერ აწარმოებენ წოდებით ბრუნვას; 2. არა აქვთ **ებ**-იანი მრავლობითი; 3. **ნარ**-თანთან მრავლობითშიც სხვა სახელებთან შედარებით იშვიათად იხმარებიან.

რიცხვითი სახელები წინადადებაში, ჩვეულებრივ, ატრიბუტული მსაზღვრელებია.

არსებითთან ერთად ნატურალური რაოდენობითი რიცხვითი სახელი ისევე იბრუნვის, როგორც ზედსართავი, იმ

განსხვავებით, რომ წოდებითში იშვიათად იხმარება: ორო კაცო, ხუთო ბავშვო.

რიგობით რიცხვით სახელებს ორივე მრავლობითის ფორმა ეწარმოებათ: მეშვიდეები, მეშვიდეებმა, ..., მეშვიდე-ნი, მეშვიდეთა, მეშვიდეწო, ...

არსებითი სახელი მხოლოდობით რიცხვში დაისმის, თუ მისი მსაზღვრელი რაოდენობითი რიცხვითი სახელია: ორი ბიჭი, ხუთი წიგნი, ...

ცალკე მდგომი რიცხვითი სახელის ბრუნება

სახელობითი	ერთ-ი	ცხრა
მოთხრობითი	ერთ-მა	ცხრა-მ
მიცემითი	ერთ-ს	ცხრა-ს
ნათესაობითი	ერთ-ის	ცხრ-ის
მოქმედებითი	ერთ-ით	ცხრ-ით
ვითარებითი	ერთ-ად	ცხრ-ად
წოდებითი	ერთ-ო	ცხრა-ვ (ო)

შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება

სახელობითი	ერთ-ი კაც-ი	ცხრა კაც-ი
მოთხრობითი	ერთ-მა კაც-მა	ცხრა კაც-მა
მიცემითი	ერთ კაც-ს	ცხრა კაც-ს
ნათესაობითი	ერთ-ი კაც-ის	ცხრა კაც-ის
მოქმედებითი	ერთ-ი კაც-ით	ცხრა კაც-ით
ვითარებითი	ერთ კაც-ად	ცხრა კაც-ად
წოდებითი	ერთ-ო კაც-ო	ცხრა კაც-ო

მაგრამ რიცხვითი სახელები ათასს სახელობითი ბრუნვის ფორმით შეეწყობა (ასეა მხოლოდ ათასთან):

სახ. ოთხ-ი ათას-ი, მოთ. ოთხ-ი ათას-მა, მიც. ოთხ-ი ათას-ს, ნათ. ოთხ-ი ათას-ის, მოქ. ოთხ-ი ათას-ით, ვით. ოთხ-ი ათას-ად, წოდ. ოთხ-ი ათას-ო.

რიცხვის ცნება აბსტრაქტულია, მაგრამ სიტყვა **რიცხვი** კონკრეტული საზოგადო არსებითი სახელია, მიუგებს კითხვაზე **რა?** მისი ყველა კერძო შემთხვევა რიცხვითი სახელია.

რიცხვით სახელთა მართლწერას საფუძვლად დავუდოთ **ნუმერაციის** ცნება.

განსაზღვრა. რიცხვების სახელწოდებებისა და აღნიშვნების ხერხების ერთობლიობას **ნუმერაცია** ეწოდება.

რიცხვების სახელწოდებათა ხერხების სისტემა იქმნება სიტყვების (მარტივი და შედგენილი რიცხვითი სახელების) მეშვეობით; ხოლო აღნიშვნათა ხერხების სისტემა – განსაკუთრებული ნიშნების (ციფრების) საშუალებით.

ამგვარად, ნუმერაცია გვამღევს რიცხვის ჩაწერისა და წაკითხვის წესებს.

მოვიყვანოთ რიცხვის მართლჩაწერის მაგალითები:

1. ნატურალური რაოდენობითი რიცხვებისათვის:

➤ მხოლოდ ციფრების მეშვეობით:

ა) 326 583 187;

ბ) 120 102 070.

➤ ნაწილობრივ ციფრებისა და ნაწილობრივ რიცხვითი სახელების მეშვეობით:

ა) 326 მილიონ 583 ათას 187;

ბ) 120 მილიონ 102 ათას 70.

➤ მხოლოდ რიცხვითი სახელების მეშვეობით:

ა) *სამასოცდაექვსი მილიონ ხუთასოთხმოცდასამი ათას ასოთხმოცდაშვიდი;*

ბ) ასოცი მილიონ ასორი ათას სამოცდაათი.

სათანრიგო კლასის რიცხვითი სახელები ერთად იწერება, მათ ეწერება შესაბამისი კლასის სახელწოდება.

2. რიგობითი რიცხვითი სახელებისათვის:

➤ თუ რიგობით რიცხვით სახელს პრეფიქსი მე- თავში მოუდის, მაშინ ჯერ უნდა დაიწეროს მე-, შემდეგ კი სათანადო რიცხვი: მე-2, მე-5, მე-10, მე-1000 და სხვ.

➤ თუ რიგობითის მაწარმოებელი მე- რთულ ფუძეშია, მაშინ ჯერ იწერება სათანადო რიცხვი, შემდეგ დეფისი და სუფიქსი -ე: 27-ე (იკითხება: ოცდამეშვიდე), 48-ე, 105-ე, ...

საგულისხმოა რიცხვითი სახელების მართლწერის შემდეგი წესებიც:

➤ რთული შედგენილობის რაოდენობითი რიცხვითი სახელი რიგობითად გადაქცევისას დაიწერება ერთად: ათასცხრაასმეჩვიდმეტე, ექვსასმეთხუთმეტე, ასმერვე, ...

➤ რიგობითი რიცხვითი სახელის რომაული ციფრებით გამოხატვისას არ გამოიყოფა არც პრეფიქსი, არც სუფიქსი: V (მეხუთე), X (მეათე), L (ორმოცდამეათე), C (მეასე), D (მეხუთასე), M (მეათასე). მათ შეიძლება დაერთოს ბრუნვის ნიშნები (გარდა სახელობითისა) ან თანდებულები (IV-მ, IV-ს, V-ისთვის, VII-სთან, ...).

➤ რომაული I (პირველი) არაბული ციფრით შემდეგნაირად გამოიხატება: 1-ლი (1-ელმა, 1-ელს, ...); მისგან ნაწარმოები ფორმა ასპირველი არასწორია. სწორია: ასმეერთე.

➤ თუ რიცხვი არაბული ციფრებითაა გამოხატული, მაშინ ბრუნვის ნიშანი, გარდა სახელობითისა, ციფრებს დეფისით გამოეყოფა: 15-მა კაცმა, იმსახურებ 5-ს, მითრიდატე მე-6-ით, ბაგრატ მე-3-ს, ვახტანგ მე-6-ის, ...

➤ თუ რიგობითი რიცხვითი სახელი არაბული ციფრებითაა გადმოცემული, -ე მაწარმოებელი და ბრუნვის ნიშანი ერთად იწერება: 25-ემ, 65-ეს, 35-ედ. ასეთივე წესით დაერთვის რიცხვით სახელს ნაწილაკები (-ც, -ცა, -ლა, -ოდე, -ვე) და თანდებულები: მე-3-ში, მე-7-ზე, მე-20-ში, 25-ეში, მე-5-ისთვის, 27-ესთან, ...

➤ ფორმები: ორთავე, ორთავენი, სამთავე, სამთავენი, ... სწორი არ არის. უნდა იყოს: ორივე, ორივენი, სამივე, ...

➤ რაოდენობით რიცხვით სახელებს ჯერობის გამოსახატავად უნდა დავურთოთ -**ჯერ** ბოლოსართი (ორ-ჯერ, ათ-ჯერ, ათას-ჯერ), გამონაკლისია ერთ-**ხელ**. ე. ი. არასწორია **ერთჯერ**, სწორია: **ერთხელ**, მაგრამ – **ორჯერ**, **სამჯერ** და ა. შ.

➤ სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელებთან სახელები მხოლოდობით რიცხვში უნდა დაისვას: ხუთი ბურთი, რამდენიმე საუკუნე, უთვალავი ვარსკვლავი, უამრავი კითხვა. მათ ზმნაც მხოლოდობითში შეეწყობათ: შვიდი საუკუნე გავიდა, უამრავი კითხვა დაისვა, ...

➤ სიტყვა **ნახევარი**, რომელიც ზომა-წონისა თუ ოდენობის აღმნიშვნელია, დაერთვის არსებით სახელს და გამოიყოფა დეფისით. მაგალითად: წელიწად-ნახევარი, წუთ-ნახევარი, საათ-ნახევარი, მეტრ-ნახევარი, ლიტრ-ნახევარი, ... (და არა: მეტრა-ნახევარი, მეტრო-ნახევარი, ლიტრა-ნახევარი, ...). არ შეიძლება მათი დართვა რიცხვით სახელზე: უნდა იყოს: თვე-ნახევარი, სამთვე-ნახევარი, შვიდლარ-ნახევარი, ორლიტრ-ნახევარი... (და არა: სამ-ნახევარი თვე, ...).

➤ ფუძეგაორკეცებული სიტყვა **ერთ-ერთი** იწერება დეფისით, თუმცა აღნიშნავს არა ერთსა და ერთს, არამედ ორიდან (ან რამდენიმედან) ერთს, ცვლის სიტყვას **რომელიმე**.

ხშირად დაისმის საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი სად ვიხმართ სიტყვებიდან: **წული** და **წოლი**?

სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი კატეგორიულად ამბობს: „**წოლი** კი არა **წული**: **წულოვანი**“.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი აიგივებს სიტყვებს **წული** და **წოლი**, ხოლო ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი კრძალავს სიტყვას **წოლი**, სწორად მიიჩნევს სიტყვას **წული**.

როგორც ჩანს, ლექსიკონებში შეუსაბამობაა.

ცალკეულ ენათმეცნიერთა ნაწერებშიც უპირატესობა ეძლევა სიტყვას **წული**, ხოლო **წოლი** არასწორ ფორმადაა მიჩნეული.

სიტყვას **წული** უპირატესობას იმიტომ ანიჭებენ, რომ იგი ლათინურიდანაა გადმოღებული და ლათინურში არის nullus „არცერთი, არარსებული, ცარიელი“.

ვნახოთ, როგორია სინამდვილე!

ფაქტობრივად ქართულ მეტყველებაში ორივე იხმარება, **წულიცა** და **წოლიც**, მაგრამ ერთმანეთში არეულად, ქაოსურად. თუმცა, ამ სიტყვების პრაქტიკულ გამოყენებაში მაინც გამოიკვეთა მათ შორის გამიჯნულობის ტენდენციები.

ავიღოთ რიცხვი 3 (სამი). მას მარჯვნივ მივუწეროთ 5, მივიღებთ 35-ს. მიწერილ რიცხვს (5-ს) თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს, ის რიცხვად დარჩა, 5 ერთეულად (მოექცა ერთეულების თანრიგში). ახლა იმავე 3-ს მარცხნივ მივუწეროთ 5. მივიღებთ 53-ს. არც ახლა დაუკარგავს მიწერილ 5-ს თავისი მნიშვნელობა, იგი რიცხვად დარჩა, 5 ერთეულად (მოექცა ათეულების თანრიგში). ეს იმას ნიშნავს, რომ რიცხვი 5 და ციფრი 5 ზუსტად და ცალსახად შეესაბამება ერთ-

მანეთს. ამიტომ ეწოდება ორივეს **ხუთი**. ასეა ნებისმიერი ერთნიშნა რიცხვის შემთხვევაში.

მივმართოთ 0-ს. ავიღოთ რიცხვი 3 (სამი) და მარჯვნივ მივუწეროთ 0, მივიღებთ 30-ს. მიწერილმა რიცხვმა (0) დაკარგა თავისი რიცხვითი მნიშვნელობა, იგი რიცხვი უკვე აღარ არის, ახლა იგი აღნიშნავს მხოლოდ იმას, რომ 30-ს ერთეულების თანრიგში ერთეულები არა აქვს. მაგრამ ნიშნადობა შეინარჩუნა, 30-ში 0 ნიშნადი ციფრია. ახლა იმავე 3-ს მარჯვნივ მივუწეროთ 0. მივიღებთ 03-ს. 0-მა თავისი რიცხვითი მნიშვნელობაც დაკარგა და ნიშნადობაც, იგი 03-ში არაფერი არ არის, არც რიცხვი და არც ნიშნადი ციფრი. ეს იმას ნიშნავს, რომ რიცხვი 0 და ციფრი 0 ერთმანეთს ცალსახად არ შეესაბამება. ე. ი. რიცხვს 0 და ციფრს 0 ერთი და იგივე სახელი არ შეიძლება ერქვას.

ამით არის გამართლებული ის, რომ უნდა შევინარჩუნოთ ორივე სიტყვა: **ნულიც** და **ნოლიც**. **ნული** არის რიცხვი 0-ის სახელწოდება, **ნოლი** კი არის ციფრი 0-ის სახელწოდება. **ნული** და **ნოლი** ერთმანეთს ცალსახად შეესაბამება მხოლოდ მაშინ, როცა 0 ცალკე წერია და რიცხვს აღნიშნავს. სხვა შემთხვევებში **ნული** და **ნოლი** უპირისპირდება ერთმანეთს. მაგალითად, ჩანაწერებში: 05, 007, 50, 900, 10001 და სხვ. 0 რიცხვი არ არის, მას სხვა ფუნქციები აკისრია.

სიტყვა „ნული“ რიცხვითი სახელია, იგი საკუთარ სახელად ჰქვია ერთადერთ რიცხვს, რომელიც არც ერთ ერთეულს არ შეიცავს. ეს რიცხვი მთელ რიცხვთა სიმრავლეს ეკუთვნის. იგი ნეიტრალურია, არც დადებითია და არც უარყოფითი. მისგანაა მიღებული რიგობითი რიცხვითი სახელი **ნულოვანი** (ეს სიტყვა წინადადებაში ზოგჯერ ზედ-

სართავი სახელის როლს თამაშობს). **ნულს**, როგორც მთელ რიცხვს, თავისი ორიგინალური თვისებები გააჩნია:

- თუ რომელიმე რიცხვს მივუმატებთ ან გამოვაკლებთ **ნულს**, ეს რიცხვი არ შეიცვლება,
- თუ რომელიმე რიცხვს გავამრავლებთ **ნულზე**, ეს რიცხვიც **ნულად** იქცევა,
- **ნულზე** გაყოფა არ შეიძლება.

ეს უკანასკნელი აკრძალვა არ არის. **ნულზე** გაყოფა არ შეიძლება ნიშნავს იმას, რომ არ არსებობს რიცხვი, რომელიც **ნულზე** გამრავლებული, გვამლევდეს ნულისაგან განსხვავებულ რიცხვს.

სიტყვა „ნული“ კი არსებითი სახელია, იგი საკუთარ სახელად ჰქვია ერთადერთ სიმბოლოს (ციფრს) 0. ასეთი საკუთარი სახელები მათემატიკაში სხვაც ბევრი გვაქვს, მაგალითად:

- & – **ამპერსანდი** (ზოგჯერ იხმარება ამპერსენდი), ლოგოგრამაა, რომელიც ცვლის „და“ კავშირს, წარმოიშვა როგორც ლათინური et ასოთშეხამების ლიგატურა.
- ÷ – **ობელიუსი**, გაყოფის ნიშანი ($6 \div 3 = 2$).
- $\sqrt{\quad}$ – **რადიკალი**, ამოფესვის ნიშანი ($\sqrt{9} = 3$).
- ! – **ფაქტორიალი**, 1-დან მოცემულ ნატურალურ რიცხვამდე ყველა ნატურალური რიცხვის ნამრავლის ნიშანი ($5! = 1 \cdot 2 \cdot 3 \cdot 4 \cdot 5$).
- და სხვ.

მამსადაძამე, სიტყვა „ნული“ რიცხვითი სახელია, დაესმის კითხვა: რამდენი? ხოლო სიტყვა „ნული“ არსებითი სახელია, დაესმის კითხვა: რა? და ეს არსებითი სახელი პოლი-

სემიური სიტყვაა. 0-ს, როგორც ციფრს, მრავალი ფუნქცია აკისრია და სიტყვა „ნოლს“, შესაბამისად, მრავალი მნიშვნელობა გააჩნია:

- 0 (ნოლი) – თანრიგში ერთეულების არქონის მაჩვენებელი.
- 0 (ნოლი) – გაზომვისას ათვლის წერტილი,
- 0 (ნოლი) – მიახლოებით რიცხვებში არანიშნადობის მაჩვენებელი,
- 0 (ნოლი) – რიცხვით ღერძზე დადებითი და უარყოფითი რიცხვების მსაზღვრელი
- და ა. შ.

სიტყვა „ნული“ გადატანითი მნიშვნელობით არ გამოიყენება, „ნოლი“ კი გამოიყენება გადატანითი მნიშვნელობითაც: ფრაზეოლოგიზმებში გვაქვს:

- აბსოლუტური ნოლი;
- ნოლზე ყოფნა;
- ნოლი ქულა,
- ნოლიდან დაწყება;
- თმის ნოლზე გაკრეჭა,
- ზოგჯერ ადამიანს ეტყვიან ნოლი ხარო და სხვ.

გადატანითობას ეკუთვნის, ასევე, გამოთქმები:

- ნოლით ერთი,
- ერთით ნოლი,
- ნოლით ნოლი
- და სხვ.

აქ 0 რიცხვი არ არის, იგი აჩვენებს მხოლოდ იმას, რომ ქულა მოპოვებული არ არის, გოლი გატანილი არ არის.

ნაცვალსახელითა კლასი

განსაზღვრა. ძირითად სიტყვას, რომელიც წინადადებაში უმთავრესად არსებით, ზედსართავ ან რიცხვით სახელს ცვლის და მის ზოგად ეკვივალენტად გვევლინება, **ნაცვალსახელი** ეწოდება.

ნაცვალსახელი არსებითისა და გასუბსტანტივებული სხვა სიტყვის ეკვივალენტური (თანაფარდი) სიტყვაა. მაგალითად:

➤ **კაცი** მოვიდა. **ის** ახლა ჩვენი სტუმარია. **ის** ნაცვალსახელია, ცვლის არსებით სახელს **კაცი**;

➤ **მხდალი** ომში არ მიდის, **მისი** ადგილი იქ არ არის. **მხდალი** ნიშნავს მშიშარა კაცს, გასუბსტანტივებული ზედსართავია. **მისი** კი ამ სიტყვის თანაფარდი ნაცვალსახელია.

➤ **შვიდნი** მღერიან, **ისინი** ანსამბლ „შვიდკაცას“ წევრებია. **შვიდნი** ნიშნავს შვიდ მომღერალს, გასუბსტანტივებული რიცხვითი სახელია, **ისინი** კი მისი თანაფარდი ნაცვალსახელია.

შინაარსის მიხედვით ქართულ ნაცვალსახელებს ათ ჯგუფად ყოფენ. ეს ჯგუფებია: პირისა, ჩვენებითი, კითხვითი, კუთვნილებითი, კითხვით-კუთვნილებითი, მიმართებითი, ურთიერთობითი, განსაზღვრულობითი, განუსაზღვრელობითი და უარყოფითი.

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

➤ **პირის ნაცვალსახელი** ამა თუ იმ პირზე მიუთითებს საგნის დაუსახელებლად. პირველი პირის ნაცვალსახელია: მე და ჩვენ, მეორისა – შენ და თქვენ, მესამისა – ეს, ეგ, ის (იგი), ესენი, ეგენი, ისინი. მესამე პირის ნაცვალსახელიად

გამოიყენება, აგრეთვე, არსებითი სახელი **თავი** (თავი ისახელა).

პირის ნაცვალსახელები: მე, შენ, ჩვენ, თქვენ უცვლელი სიტყვებია. მათ არც ბრუნვის კატეგორია გააჩნიათ და არც რიცხვის. **ჩვენ** არ არის **მე**-ს მრავლობითი, არც **თქვენ** არის **შენ**-ის მრავლობითი. სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში ოთხივე ნაცვალსახელი უცვლელია. ნათესაობითში **მე**-ს ენაცვლება ფუძე **ჩემ-**, რომელიც იხმარება თანდებულდართულად: ჩემ-თვის, ჩემ-გან, ჩემ-ზე, ჩემ-ებრ, ... ასევე, თანდებულდართული იხმარება ნათესაობითში: ჩვენ, შენ, თქვენ (შენ-თვის, ჩვენ-თვის, შენ-გან, თქვენ-გან, ...).

➤ **ჩვენებითი ნაცვალსახელი** მიუთითებს საგანზე, საგნის ნიშან-თვისებაზე. ჩვენებითი ნაცვალსახელებია: ეს, ეგ, ის, იგი, ასეთი (აგეთი), ეგეთი (მაგეთი), ისეთი, ამნაირი, იმნაირი, მაგნაირი, ამისთანა, იმისთანა, მაგისთანა, ამდენი, მაგდენი, იმდენი, ამგვარი, იმგვარი, ... მათ შორის ეს, ეგ, ის ძირეულია, ხოლო ამნაირი, ამისთანა და სხვა მისთანები წარმოქმნილი ნაცვალსახელებია.

**ა) ჩვენებით ნაცვალსახელთა ბრუნება
დამოუკიდებლად**

მხოლოდობითი რიცხვი

სახ.	ეს (ა)	ეგ(ა)	იგი	ის(ი)
მოთ.	ამა-ნ	მაგა-ნ	მა-ნ	იმა-ნ
მიც.	ამა-ს	მაგა-ს	მა-ს	იმა-ს
ნათ.	ამ-ის	მაგ-ის	მ-ის	იმ-ის
მოქ.	ამ-ით	მაგ-ით	მ-ით	იმ-ით
ვით.	ამა-დ	მაგა-დ	მა-დ	იმ-ად

მრავლობითი რიცხვი

სახ.	ესე-ნ-ი	ეგე-ნ-ი	იგი-ნ-ი	ისი-ნ-ი
მოთ.	ამა-თ	მაგა-თ	მა-თ	იმა-თ
მიც.	„	„	„	„
ნათ.	„	„	„	„

ბ) ჩვენებით ნაცვალსახელთა ბრუნება
არსებითთან

სახ.	ეს ბავშვ-ი	ეგ ბავშვ-ი	ის ბავშვ-ი
მოთ.	ამ ბავშვ-მა	მაგ ბავშვ-მა	იმ ბავშვ-მა
მიც.	ამ ბავშვ-ს	მაგ ბავშვ-ს	იმ ბავშვ-ს
ნათ.	ამ ბავშვ-ის	მაგ ბავშვ-ის	იმ ბავშვ-ის
მოქ.	ამ ბავშვ-ით	მაგ ბავშვ-ით	იმ ბავშვ-ით
ვით.	ამ ბავშვ-ად	მაგ ბავშვ-ად	იმ ბავშვ-ად

ეს ნაცვალსახელები ასევე შეეწყობიან მრავლობითში მდგომ არსებით სახელებსაც.

➤ კითხვითი ნაცვალსახელი კითხვაა, სახელის კითხვა. ეს ჯგუფი აერთიანებს სახელთა კითხვებს: ვინ? რა? რომელი? როგორი? რანაირი? რარიგი? სადაური? როდინდელი? ვინ და ვინ? რა და რა? რამდენი? მერამდენე?

კითხვით ნაცვალსახელთაგან თავისებურად იბრუნვიან ვინ და რა.

	მხოლ. რიცხვი		მრავლ. რიცხვი	
სახ.	ვი-ნ	რა	რა-ებ-ი	რა-ნ-ი
მოთ.	ვი-ნ	რა-მ	რა-ებ-მა	—
მიც.	ვი-ს(ა)	რა-ს	რა-ებ-ს	—
ნათ.	ვი-ს(ა)	რ-ის	რა-ებ-ის	—
მოქ.	—	რ-ით	რა-ებ-ით	—
ვით.	—	რა-დ	რა-ებ-ად	—

თავისებურებას ქმნის ამ ნაცვალსახელებზე **-ლა** ნაწილაკის დართვა. იგი შეიძლება სახელს დაერთოს ბრუნვის ნიშნის შემდეგ, ან შეეზარდოს ფუძეს და ბრუნვის ნიშნის წინ დადგეს.

	შეუზრდელი	შეზრდილი	შეუზრდელი	შეზრდილი
სახ.	ვი(ნ)-ლა	ვილა	რა-ლა	რალა
მოთ.	ვი(ნ)-ლა	ვილამ	რამ-ლა	რალამ
მიც.	ვის-ლა	ვილას	რას-ლა	რალას
ნათ.	ვის(თვის)-ლა	ვილას(თვის)	რის(თვის)-ლა	რალას(თვის)
მოქ.	—	ვილათი	რით-ლა	რალათი
ვით.	—	ვილად	რად-ლა	რალად

➤ **კუთვნილებითი ნაცვალსახელი** აღნიშნავს, რომ საგანი ნაცვალსახელით ნაგულისხმევ პირს ეკუთვნის. პირველი პირის კუთვნილებას გამოხატავენ ნაცვალსახელები **ჩემი** და **ჩვენი**, მეორისას – **შენი** და **თქვენი**, მესამისას – **მისი** და **მათი**. მესამე პირის კუთვნილების მაჩვენებელია, აგრეთვე, **თავისი**, **თავიანთი**, **სხვისი**.

ნაცვალსახელები **თავისი** და **მისი** მესამე პირის კუთვნილებას აღნიშნავს, მაგრამ დიდად განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითად: ირაკლიმ **მისი** წიგნი პატრონს დაუბრუნა, **თავისი** წიგნი კი მე მაჩუქა. ე. ი. **თავისი** მოქმედის კუთვნილებას აღნიშნავს, ხოლო **მისი** – სხვისას, არამოქმედი პირის. თუმცა, ორივე მესამე პირია.

წარმოშობით კუთვნილებითი ნაცვალსახელები მომდინარეობენ პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვის ფუძისაგან. ნაცვალსახელს **მე** ნათესაობითში ენაცვლება **ჩემ-** ფუძე. მისთვის სახელობითი ბრუნვის ნიშნის დართვითაა მიღებული **ჩემ-ი**. ნაცვალსახელები

შენ, ჩვენ, თქვენ ნათესაობითში გვიჩვენებენ იმავე ფუძეს. მათთვის ასევე -ი-ს დართვით იწარმოება კუთვნილებითი **შენ-ი, ჩვენ-ი და თქვენ-ი**.

ანალოგიურად, **მ-ის-ი** და **მათ-ი** მომდინარეობს ჩვენებითი ნაცვალსახელებიდან.

კუთვნილებითი ნაცვალსახელები წინადადებაში ატრიბუტული მსაზღვრელებია. ამიტომ ისინი ისევე იბრუნვიან, როგორც დახურულფუძიანი ზედსართავები. ოღონდ, **შენ-ი** და **თქვენ-ი** ვერ აწარმოებენ წოდებით ბრუნვას.

➤ **კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელი** გამოხატავს კითხვას კუთვნილების თვალსაზრისით. მისი კითხვებია: ვისი? რისი? (რისა?).

ბრუნებისას ისინი არ აწარმოებენ ნათესაობითსა და წოდებითს. აქვთ გავრცობილი (ვის-ა-ს, ..., რის-ა, რის-ა-მ, რის-ა-ს) და გაუვრცობელი (ვის-ი, ვის-მა, ..., რის-ი, რის-მა) ფუძეები. გავრცობილფუძიანი ნაცვალსახელის ფუძე ღიაა, გაუვრცობელფუძიანისა – დახურული.

➤ **მიმართებითი ნაცვალსახელი -ც** ნიწილაკის დართვითაა ნაწარმოები კითხვითი და კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელებისაგან. ასეთებია: ვინც, რაც, რომელიც, რამდენიც, როგორიც, რაწაირიც, სადაურიც, როდინდელიც, ..., ვისიც, რისიც, რისაც, ...; ისინი ისევე იბრუნვიან, როგორც შესაბამისი კითხვითი და კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები.

➤ **ურთიერთობითი ნაცვალსახელი** აღნიშნავს ორი პირის (ან პირველისა და მეორის, ან მეორისა და მესამის, ან პირველისა და მესამის) ურთიერთდამოკიდებულებას. ესენია: ერთმანეთი, ერთურთი, ურთიერთი. მაგალითად: მე და შენ

ერთმანეთი შეგვიყვარდა. შენ და მან ერთმანეთი იპოვეთ. მე და მან ერთმანეთი გავალამაზეთ.

➤ **განსაზღვრულობითი ნაცვალსახელი** მიუთითებს ნაცნობ პირსა თუ საგანზე, გარკვეული გაგებით საზღვრავს პირთა რაოდენობას, გამოყოფს მათ ცალკე ან აერთიანებს მათ რომელიღაც ნიშნით. ეს ნაცვალსახელებია: თვით, თვითონ, თავად, თითოეული, ყოველი, ყველა, ყველაფერი, ...

➤ **განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი** მიუთითებს უცნობ, განუსაზღვრელ პირსა თუ საგანზე, მათ თვისებებსა და განუსაზღვრელ რაოდენობაზე. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებია: ვიღაც, რაღაც, რომელიღაც; ვინმე, რამე, რომელიმე; რამდენიმე; კაცი, ერთი, ზოგი, ზოგიერთი.

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებია, აგრეთვე, კითხვითი ნაცვალსახელებისაგან **-ლაც(ა)** ან **-მე** ნაწილაკების დართვით ნაწარმოები ნაცვალსახელები. ასეთი ნაცვალსახელებია: ვინმე, რამე, როგორიმე, რომელიმე, რამდენიმე, ვიღაც(ა), რაღაც(ა), როგორიღაც(ა).

ნაწილაკიანი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების ბრუნება თავისებურებებით ხასიათდება.

ა) **-მე** ნაწილაკიანი ნაცვალსახელები: **რომელიმე** და **რამდენიმე** ისევე იბრუნვის, როგორც ფუძეუკვეცელი სახელები. ნაწილაკი შეზრდილია სახელობითის ფუძესთან. ოღონდ, წოდებითი და მრავლობითი რიცხვი არ ეწარმოება. მათთან საზღვრულიც მხოლოდობით რიცხვში დგას: რამდენიმე მეგობარი.

ნაწილაკმეუზრდელი ფორმები იშვიათად იხმარება: რომელ-მა-მე, რომელ-სა-მე, რამდენ-მა-მე, ...; უპირატესობა ენიჭება ნაწილაკმეზრდილ ფორმებს.

მეტ თავისებურებას იჩენენ ნაცვალსახელები: **ვინმე** და **რამე** (რაიმე). აქ გვხვდება ნაწილაკშეზრდილი ფორმაც და ნაწილაკშეზრდელიც. ზოგჯერ არის ნარევიც მიცემითში.

	შეუზრდელი	შეზრდილი	ნარევი
სახ.	ვინ-მე	ვინმე	–
მოთ.	–	ვინმემ	–
მიც.	ვის-მე	ვინმეს	ვისმეს
ნათ.	ვის(თვის)-მე	ვინმეს	–
მოქ.	–	ვინმეთი	–
ვით.	–	ვინმედ	–

	შეუზრდელი	შეზრდილი	ნარევი
სახ.	რა-მე (რაი-მე)	რამე	რაიმე –
მოთ.	–	რამემ	რაიმემ –
მიც.	რას-მე	რამეს	რაიმეს რასმეს
ნათ.	რის(თვის)-მე	რამეს (რამის)	რაიმეს –
მოქ.	რით-მე	რამეთი (რამით)	რაიმეთი –
ვით.	რად-მე	რამედ	რაიმედ –

როგორც ჩანს, ბრუნვები სრულად მოეპოვებათ ნაწილაკშეზრდილ ნაცვალსახელებს. მათ ეწარმოებათ **-ებ-**იანი მრავლობითიც: ვინმეები, ვინმეებმა, ვინმეებს, ..., რამეები, რამეებმა, რამეებს, ..., ვიღაცები, ვიღაცებმა, ვიღაცებს, ...

ეს ნაცვალსახელები გაორკეცებითაც იხმარება და დეფისით იწერება: ვიღაც-ვიღაცები, რაღაც-რაღაცები.

ბ) **-ღაც(ა)** ნაწილაკიანი ნაცვალსახელები გვხვდება სამი სახის: 1. **-ღაც(ა)** დაერთვის ბრუნვის ფორმას (ვის-ღაც), 2. **-ღა** დაერთვის ფუძეს, **-ც-** ბრუნვის ფორმას (ვიღამა-ც), 3. -

ღაც(ა) შეზრდილია ფუძესთან. ბრუნვის ნიშნები ნაწილაკშეზრდილს დაერთვის.

სახ.	ვი-ღაც(ა)	ვიღა-ც(ა)	ვიღაცა
მთ.	–	ვიღამა-ც	ვიღაცამ
მიც.	ვის-ღაც	ვიღასა-ც	ვიღაცას
ნათ.	ვის-(თვის)-ღაც	ვიღას-(თვისა)-ც	ვიღაცას(ის)
მოქ.	–	ვიღათი-ც	ვიღაცათი(-ით)
ვით.	–	ვიღაღა-ც	ვიღაცაღ

სახ.	რაღა-ც(ა)	რაღაც(ა)	რაღაცა
მთ.	–	რაღამა-ც	რაღაცამ
მიც.	რას-ღაც	რაღასა-ც	რაღაცას
ნათ.	რის-(თვის)-ღაც	რაღას-(თვისა)-ც	რაღაცას(ის)
მოქ.	რით-ღაც	რაღათი-ც	რაღაცათი(ით)
ვით.	რაღღ-ღაც	რაღაღა-ც	რაღაცაღ

მრავლობითის -ებ სუფიქსი ამ შემთხვევაშიც ნაწილაკშეზრდილ ფუძეს დაერთვის: ვიღაცები, რაღაცები. მეტყველებაში უპირატესობა ყოველთვის ნაწილაკშეზრდილს ენიჭება.

➤ უარყოფითი ნაცვალსახელები უმეტესად მიღებულია ვინ და რა კითხვითი ნაცვალსახელებისაგან თავში უარყოფითი ნაწილაკის დართვით: არავინ, ვერავინ (ვერვინ), ნურავინ (ნურვინ), აღარავინ, ვეღარავინ, ნულარავინ, ..., არავინ, არარა, ვერარა, ნურა (ნურარა), აღარა, ვეღარა.

რა-ს მაგივრად უარყოფით ნაცვალსახელებში გვხვდება სიტყვებიც: -ფერი და -ვითარი: არაფერი, ვერაფერი, აღა-

რაფერი, ველარაფერი, ნულარაფერი, ..., არავითარი, ვერავითარი, ...

ნაცვალსახელთა მართლწერა.

➤ ერთი ჯგუფის ნაცვალსახელის გამოყენება მეორე ჯგუფის ნაცვალსახელის ნაცვლად მიუღებელია. შესაბამისად, შეცდომაა, როცა **კუთვნილებითი** ნაცვალსახელის მაგივრად არის ნახმარი **პირის** ნაცვალსახელი: ამით გათავდა **მე** და **მისი** საუბარი. უნდა იყოს: **ჩემი** და **მისი** საუბარი.

➤ **პირის** ნაცვალსახელებს შეიძლება დაერთოს **-გან** თანდებული (ჩვენგანი, თქვენგანი, მათგანი). ამ ფორმებს ზოგჯერ (კაცთაგანის ანალოგიით) უმატებენ ხოლმე **-თა** სუფიქსს, რაც არასწორია. ნაცვალსახელი **ჩვენგანი** აღნიშნავს ჩვენ შორის ერთ რომელიმეს, **თქვენგანი** – თქვენ შორის ერთ რომელიმეს. ამიტომ სწორია: **თითოეული ჩვენგანი, ყოველი თქვენგანი, ზოგიერთი მათგანი ...** (და არა: ჩვენთაგანი, თქვენთაგანი, მათთაგანი).

➤ თანდებულიან პირის ნაცვალსახელებს ნათესაობითში **ს** არ დაერთვის. უნდა: ჩემ მიერ, შენ მიერ, ჩვენ მიერ, ..., შენ შესახებ, ..., ჩემკენ, შენკენ, ჩვენკენ, ... და არა: ჩემს მიერ, შენს მიერ, ..., შენს შესახებ, ..., ჩემსკენ, შენსკენ, ...

➤ **განსაზღვრულობითი** ნაცვალსახელი **თითოეული** ნაწარმოებია სიტყვიდან **თითო** (ყველამ თითო ჭიქა წყალი დალია), ამიტომ არასწორია ფორმები: თვითეული, თითეული, თვითოეული.

➤ **განუსაზღვრულობითი** ნაცვალსახელი **რამდენიმე** ნაწარმოებია კითხვითი ნაცვალსახელისა (რამდენი) და **-მე** ნაწილაკის შეერთებით: რამდენი + მე = რამდენიმე. ამიტომ სწორი ფორმაა **რამდენიმე** და არა **რამოდენიმე**.

➤ „ერთი და იგივე“-ს ორივე ნაწილი იბრუნვის საზღვრულთან ერთად: ერთმა და იმავე ამბავმა (და არა: ერთი და იგივე ამბავმა), ერთსა და იმავე ამბავს (და არა: ერთსა და იგივე ამბავს), ...; **იგივე** გვაქვს მხოლოდ სახელობითში.

➤ აღსანიშნავია, რომ **რა** ნაცვალსახელს აქვს მრავლობითი რიცხვის ფორმა: **რანი/რაები**, მაგრამ ძალიან გავრცელებული არაა: რანი ვართ? რაებს ამბობს? თუმცა, არასწორია ფორმები: რეები, რეებმა, რეებს, ..., რადგან მრავლობითი რიცხვის **-ებ** სუფიქსის დართვისას ორ ე-ს ვიღებთ მაშინ, როცა სახელიც **-ე** ხმოვანზე ბოლოვდება (ხე → ხეები), ხოლო **რა** ნაცვალსახელი (**-ა**) ღიაფუძიანია და ამიტომ ვერ გვექნება ორი **-ე**.

ზმნების კლასი

განსაზღვრა 1. ძირითად სიტყვას, რომელიც აღნიშნავს საგნის მდგომარეობას ან მიუთითებს მასზე, **ზმნა** ეწოდება.

როგორც განსაზღვრიდან ჩანს, ზმნების კლასი ორ ქვეკლასს მოიცავს: 1. საწყის ზმნებს და 2. მათგან წარმოებულ ზმნებს. საწყისი ზმნა თვითონ აღნიშნავს საგნის მდგომარეობას, ზოგადს (მოძრაობითს, უძრაობითს ან განწყობითს), ხოლო წარმოებული ზმნა მიუთითებს ამ ზოგადი მდგომარეობის კონკრეტულ შემთხვევაზე (მოძრაობითზე, უძრაობითზე ან განწყობითზე).

მაშასადამე, გვაქვს:

განსაზღვრა 2. ზმნას, რომელიც აღნიშნავს საგნის ზოგად მდგომარეობას, **საწყისი ზმნა** ეწოდება.

განსაზღვრა 3. ზმნას, რომელიც მიუთითებს საგნის კონკრეტულ მდგომარეობაზე, **წარმოებული ზმნა** ეწოდება.

საწყისი ზმნები

როგორც ვთქვით, საწყისი ზმნა საგნის ზოგად მდგომარეობას აღნიშნავს. მდგომარეობის ზოგადი სახე კი სამია:

- **მომრავლბითი** – სირბილი, თამაში, ბარვა და სხვ.
- **უძრავბითი** – ძილი, წოლა, ჯდომა და სხვ.
- **განწყობბითი** – შიში, წუხილი, განცდა და სხვ.

საწყისი ზმნა პირის კატეგორიისაგან განწყენებულია, იგი უპირო ზმნაა, მაგალითად:

- **წერა** აღნიშნულ მდგომარეობაზე (მოქმედებაზე) მიუთითებს პირთან მიმართების გარეშე.
- **ძილი** აღნიშნულ მდგომარეობაზე მიუთითებს პირთან მიმართების გარეშე.
- **შიში** აღნიშნულ მდგომარეობაზე (განწყობაზე) მიუთითებს პირთან მიმართების გარეშე.

საწყისი ზმნა არ იუღლება, იბრუნვის, როგორც არსებითი სახელი და წინადადებაში არსებითი სახელის ფუნქციას ასრულებს:

- **წერამ** დამალა (აქ „წერამ“ ქვემდებარეა).
- **წერა** დავიწყე (აქ „წერა“ პირდაპირი დამატებაა).
- **წერას** მივმართე (აქ „წერას“ ირიბი დამატებაა).
- **წერისათვის** ვემზადები (აქ „წერისათვის“ უბრალო დამატებაა).

საწყისი ზმნები მრავლობითს არ აწარმოებენ, თუ არაა გაარსებითებული, და ხასიათდება შემდეგი კატეგორიებით: **გეზი** (სვლა-წასვლა, ...), **ორიენტაცია** (წასვლა-წამოსვლა, ...), **ასპექტი** (კეთება-გაკეთება, ...), **კონტაქტი** (დაწერა-დაწერინება, ...), **ზოგჯერ გვართავ** (ტეხა და ტყდომა, წყვეტა და წყდომა, ...).

საწყისი ზმნებისგან იწარმოება ყველა კონკრეტული ზმნა, რომლებიც საგნის კერძო მდგომარეობაზე მიუთითებენ. მდგომარეობის კერძო სახე კი სამია:

- **მოძრაობითი** – მირბის, თამაშობს, ბარავს და სხვ.
- **უძრაობითი** – სძინავს, წევს, ზის და სხვ.
- **განწყობითი** – შიშობს, წუხს, განიცდის და სხვ.

წარმოება პირიქითაც შეიძლება. ნებისმიერი წარმოებული ზმნიდან იწარმოება საწყისი ზმნა. ამ წარმოებას თავისი წესები გააჩნია. საწყის ზმნას ძირითადად აწარმოებს -ა ბოლოსართი აწმყოს ან მყოფადის ფუძისაგან, რომელსაც უნდა ჩამოვაშოროთ: პირის, რიცხვის, ქცევის, გვარისა და სიტუაციის ნიშანი. მაგალითად: ვ-წერ → წერ-ა, ვ-ხატ-ავ → ხატვ-ა, და-ვ-წერ → დაწერ-ა, და-ვ-ხატავ → დახატვ-ა, ...

ა-თი ნაწარმოები საწყისი ზმნები ფუძეკვეცადია: ხატვა, ხატვა-ს, ხატვ-ის, ხატვ-ით, ხატვა-დ. მრავლობითი რიცხვი, ჩვეულებრივ, არა აქვს, მაგრამ არსებით სახელად ქცეულ საწყის ზმნებს მრავლობითიც ეწარმოება: სხდომა – სხდომები, კითხვა – კითხვები, ...

ზოგი წარმოებული ზმნისგან საწყისი ზმნის წარმოებისას -ა-ს წინ ჩნდება **ნ, ომ, ოლ, ებ**.

- **ნარიანი** საწყისი ზმნებია: თხოვს → თხოვ-ნ-ა, ახსოვს → ხსოვ-ნ-ა, იშოვოს → შოვ-ნ-ა, პოულობს → პოვ-ნ-ა, ძოვს → ძოვ-ნ-ა, ...
- **ომიანი** საწყისი ზმნებია: დგ-ომ-ა, ჯდ-ომ-ა, ხტ-ომ-ა, ტყდ-ომ-ა, შრ-ომ-ა, ძრ-ომ-ა, ...
- **ოლიანი** საწყისი ზმნებია: წ-ოლ-ა, ქრ-ოლ-ა, სრ-ოლ-ა, ძრწ-ოლ-ა, ბრძ-ოლ-ა, სრბ-ოლ-ა, ...
- **ებიანი** საწყისი ზმნებია: წვალ-ებ-ა, დაძალ-ებ-ა, ...

ზოგ საწყის ზმნას თავში **ს** უჩნდება: მო-ვალ → მო-ს-ვლა, წა-ვალ → წა-ს-ვლა, ...

გვაქვს სხვა აფიქსებით ნაწარმოები საწყისი ზმნებიც.

- **-ილ:** ტირ-ილ-ი, სიც-ილ-ი, დულ-ილ-ი, ...
- **სი-ილ:** სი-მშ-ილ-ი, სი-რცხვ-ილ-ი, სი-რბ-ილ-ი, ...
- **სი-ულ:** სი-ხარ-ულ-ი, სი-ყვარ-ულ-ი, სი-არ-ულ-ი, სი-ბრალ-ულ-ი, ...

საზოგადოდ, წარმოებული ზმნები ორგვარია: პირველადი და მეორადი (მეორეული). პირველადი – ეს ის ზმნაა, რომელიც თავიდანვე ზმნა იყო და ზმნადვე დარჩა, ხოლო მეორადია ზმნა, რომელიც თავდაპირველად სახელი იყო და მერე იქცა ზმნად (ამ უკანასკნელი ტიპის ზმნები ნასახელარი ზმნების სახელწოდებითაა ცნობილი): წითელი → აწითლებს, სახლი → სახლდება, ...). საწყისი ზმნების წარმოება ასეთი ზმნებისგანაც შეიძლება: აწითლებს → გა-წითლ-ებ-ა, სახლდება → და-სახლ-ებ-ა, ...).

საწყის ზმნებში, ჩვეულებრივ, ჩანს თემის ნიშანი (-ებ, -ობ): აკეთ-ებ-ს – კეთ-ებ-ა, ...; მუშა-ობ-ს – მუშა-ობ-ა, ...

-ავ თემისნიშნის საწყის ზმნებში თემისნიშნისეული -ა იკარგება: ხატავს – ხატვ-ა, მალავს – მალვ-ა, რეცხავს – რეცხვ-ა, ...

საწყის ზმნებში ჩანს ასევე -ევ და -ენ ელემენტები, რომლებიც ზმნის პირიან ფორმას შეიძლება ჰქონდეს: ადგ-ენ-ს → დადგ-ენ-ა, ამტვრ-ევ-ს → დამტვრ-ევ-ა, ...

წარმოებული ზმნები

საწყისი ზმნები საერთოდ ზმნების ძალიან მცირე ნაწილს შეადგენს. ამ კლასში დიდი ადგილი უჭირავს წარმო-

ებულ ზმნებს. საწყისი ზმნა მიუგებს კითხვაზე: **რა?** და ბრუნებადია, ხოლო წარმოებული ზმნის კითხვებია: (ზოგადად) **რა მდგომარეობაშია?** (კონკრეტულად, ზოგჯერ) **რას შერება? რას აკეთებს?** და უღლებადია. მაშასადამე, ზმნების ნაწილი ბრუნებადია, ნაწილი კი – უღლებადი.

შემდგომში სიტყვებს **საწყისი** და **წარმოებული** გამოვტოვებთ და გამოვიყენებთ მხოლოდ სიტყვას **ზმნა** (ზმნები).

შემოვიღოთ ერთი ზოგადი ცნება, რომელსაც შემდეგ ხშირად მივმართავთ.

განსაზღვრა. ლოგიკურ ცნებას, რომელიც განზოგადებულ ფორმაში ასახავს ობიექტური სინამდვილის ამა თუ იმ მხარეს, ამ მხარეთა ურთიერთკავშირსა და მიმართებებს, **კატეგორია** ეწოდება.

ეს განსაზღვრა ძალიან ზოგადია, რადგანაც კატეგორია ფილოსოფიური ცნებაა, მაგრამ მისი მნიშვნელობა უფრო დაკონკრეტდება ზმნასთან მიმართებაში. ზმნა ფორმაცვალეზადი სიტყვაა და იცვლება, უპირველეს ყოვლისა, პირის, რიცხვის, დროისა და კილოს მიხედვით. ხშირად ამათ ემატება, აგრეთვე, ზმნის ცვლა ჯერობის, აქტისა და თანამდევრობის კატეგორიების მიხედვითაც.

ზმნის ცვლას ჩამოთვლილი კატეგორიების მიხედვით, **უღლება** ეწოდება. **უღლება** უკვე ოპერაციაა, მორფოლოგიური ოპერაცია.

ქართულ ენაში ზმნათა კლასი, სახელთა კლასებთან შედარებით, რთული მეტყველების ნაწილია. სირთულეს, უპირველესად, განაპირობებს ზმნურ კატეგორიათა სიმრავლე. ზოგიერთი კატეგორია ზმნას გრამატიკულ მნიშვნელობას უცვლის, ზოგი კი – ლექსიკურ მნიშვნელობას. ამიტომ, ზმ-

ნის მნიშვნელობასთან მიმართების თვალსაზრისით, ზმნური კატეგორიები შეიძლება ორ ჯგუფად დალაგდეს. ესენია: **უღლები**ს კატეგორიები და **წარმოქმნი**ს კატეგორიები. ზმნის კატეგორია ზმნის ხასიათია და არა ზმნის ფორმა, თუმცა, იგი ყოველთვის გარკვეული ფორმით გამოიხატება.

უღლები კატეგორიები

განსაზღვრა 1. ზმნის კატეგორიას, რომელიც ცვლის ზმნის გრამატიკულ მნიშვნელობას, **უღლები კატეგორია** ეწოდება.

ასეთი კატეგორიებია: **პირი, რიცხვი, დრო, კილო, გზისობა** (ჯერობა), **აქტი, თანამდევრობა**.

განსაზღვრა 2. ზმნის კატეგორიას, რომელიც აღნიშნავს სუბიექტის (ზოგჯერ ობიექტის) დამოკიდებულებას მოსაუბრე პირთან, **პირი** ეწოდება.

პირი სამია გრამატიკაში: პირველი, მეორე და მესამე. ვაკეთებ (მე), ვაკეთებთ (ჩვენ) – პირველი პირის ფორმებია, აკეთებ (შენ), აკეთებთ (თქვენ) – მეორე პირის ფორმებია, ხოლო აკეთებს (ის), აკეთებენ (ისინი) – მესამე პირისა.

ქართული ზმნის ძირითადი თავისებურებაა მრავალპირიანობა: ერთსა და იმავე დროს ზმნა შეიძლება მორფოლოგიურად დაკავშირებული იყოს რამდენიმე პირთან; ე. ი. ზმნაში აისახოს რამდენიმე პირი – სუბიექტურიც და ობიექტურიც. შესაბამისად, ზმნა შეიძლება იყოს **ერთპირიანი** (მასში აისახება მხოლოდ სუბიექტური პირი – იზრდება ის, ვდგავარ მე, ...), **ორპირიანი** (მასში აისახება სუბიექტური და ობიექტური პირები – ვხატავ მე მას, გემალება ის შენ, ...), **სამპირიანი** (მასში აისახება სუბიექტური და ორივე ობი-

ექტური პირი – მიწერს ის მე მას, გიხატავს ის შენ მას, უშენებს ის მას მას, ...). ქართულ ენაში ზმნა იმდენპირიანია, რამდენი პირის ნაცვალსახელსაც შეიწყობს (იგულისხმება უთანდებულო პირები). იშვიათად, მაგრამ მაინც ზმნას ერთდროულად შეიძლება შეეწყოს ოთხი პირი (ირაკლიმ ხმალს ხელი **მიტაცა**: მიტაცა მან მე მას ის; ეს ცხენი ღობის მესერს **მიმიბი!**: მიმიბი შენ მე მას ის; შვილი არავის **დამიჩაგვრინო** (ილია): დამიჩაგვრინო შენ მე ის მას; **მიჭმიე** შენ მე ის მას, ...).

თუ წინადადებაში სუბიექტი ან ობიექტი მოუბარია, მაშინ ის იქნება შესაბამისად ან (მოქმედი) სუბიექტური პირველი პირი (ვკარნახობ მე, ვხატავ მე), ან (სამოქმედო) ობიექტური პირველი პირი (მკარნახობს მე, მხატავს მე). თუ სუბიექტი ან ობიექტი ის არის, ვისაც მიმართავენ, მაშინ ის იქნება მეორე სუბიექტური პირი (მოხვედი შენ, დახატე შენ) ან მეორე ობიექტური პირი (დაგხატა შენ, ჩაგწერა შენ).

ობიექტური პირი ორგვარია: პირდაპირი და ირიბი. ერთპირიან ზმნაში პირი სუბიექტურია (ის დგას, ის ცხოვრობს, ...), ორპირიანში ერთი სუბიექტურია, ერთი ობიექტური – ან პირდაპირი, ან ირიბი (ხატავს ის მას, ხვდება ის მას), სამპირიან ზმნაში კი სუბიექტურს გარდა, ორივე ობიექტურია, პირდაპირიცა და ირიბიც (უშენებს ის მას მას).

პირდაპირია ობიექტი, რომელიც ზმნას კითხვაზე **რა ქნა? სახელობითში** შეეწყობა: ირაკლი სახლს აშენებს. რა ქნა ირაკლიმ? ააშენა **სახლი**.

ირიბია ობიექტი, რომელიც ზმნას კითხვაზე **რა ქნა? მიცემითში** შეეწყობა: რა ქნა მან? შეხვდა ის მას.

მამასადაამე, ობიექტური პირის გამოცნობის წესი გვაქვს. მაგალითად: **ვაქებ** მე მას და **ვეფერები** მე მას ორპირიანი ზმნებია. პირველი პირი ორივე ზმნაში სუბიექტურია. მეორე პირი ორივე ზმნაში ობიექტურია, მაგრამ როგორი? პირდაპირი თუ ირიბი? თუ დავსვამთ კითხვას: **რა ვქენი?** პასუხი იქნება: **ვაქე ის, მოვეფერე მას**. ობიექტური პირი პირველ ზმნას სახელობითში შეეწყო, მეორესთან კვლავ მიცემითში დარჩა. ე. ი. ობიექტური პირი **ვაქებ** ზმნასთან **პირდაპირი** ყოფილა, **ვეფერები** ზმნასთან კი – **ირიბი**.

ზმნის **პირის** ცნებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ზმნის **გარდამავლობისა** და **გარდაუვალობის** საკითხები.

ობიექტურ პირთაგან ერთი პირველი სერიის ფორმებთან **მიცემითში** დგას: ხატავს, ხატავდა, ხატავდეს, ..., დახატავდეს – **სურათს**. მეორე და მესამე სერიების ფორმებთან – **სახელობითში**: დახატა, დახატოს – **სურათი**, დაუხატავს **სურათი**. მამასადაამე, ეს ობიექტი ბრუნვაცვალეზადია და მას **პირდაპირობიექტური პირი** ჰქვია. მეორე ობიექტი კი ყოველთვის **მიცემითში** დგას, ე. ი. ბრუნვაცვლელია: ხვდება, შეხვდება, ..., შეხვდა, ..., შეხვედრია – **მეგობარს**. ასეთ ობიექტურ პირს **ირიბობიექტური პირი** ჰქვია.

ზმნა, რომელსაც შეეწყო ბრუნვაცვალეზადი ობიექტური პირი (ობიექტი), **გარდამავალია**, ხოლო ზმნა, რომელსაც ბრუნვაცვლელი ობიექტური პირი (ობიექტი) შეეწყო, **გარდაუვალია**.

ერთპირიანი ზმნა ყველა გარდაუვალია, რადგანაც ასეთ ზმნებში მხოლოდ სუბიექტური პირია; ორპირიანი ზმნებიდან ზოგი გარდამავალია (წერს ის მას – დაწერა მან ის), ზოგი გარდაუვალი (ხვდება ის მას – შეხვდა ის მას), სამ-

პირიანი კი ყველა გარდამავალია, შეიწყობს პირდაპირ ობიექტსაც და ირიბსაც (უშენებს ის მას მას – აუშენა მან მას ის).

ვნახოთ, ქართული ზმნის ფორმაში როგორ და რა საშუალებით არის გამოხატული პირები.

ქართული ზმნის ერთ ფორმაში შეიძლება გამოხატული იყოს როგორც ერთი პირი, ისე ორიც. ავიღოთ ზმნები: ვ-გორავ, ვ-ხტი, ვ-კვდები, ვ-ცივდები, ვ-არსებობ, ვ-ცხოვრობ და სხვ. აქ ყველგან ერთი პირი, პირველი სუბიექტური პირია გამოხატული. ამაზე მიგვითითებს პრეფიქსი ვ-. მაგრამ შემდეგ ზმნებში: მ-კლავ-ს, მ-ცემ-ს, მ-ტანჯავ-ს, მ-სპობ-ს, მ-მალავ-ს, ... ერთ პირს, სუბიექტურს, გარდა მეორე პირიცაა. ეს მეორე პირი ობიექტური პირია. პირველი მოქმედია, მეორე – სამოქმედო. ერთი მოქმედების ჩამდენია, მეორე – სხვისი მოქმედების საგანი. და ეს ორივე გამოიხატა ზმნაში. ზმნის ერთ ფორმაში ორივეს ჰყავს წარმომადგენელი ფორმანტების სახით. მ-კლავ-ს, მ-ცემ-ს, მ-ტანჯავ-ს, მ-სპობ-ს, ... ზმნებში ვინ არის მოქმედების ჩამდენი? აქ მოქმედების ჩამდენი არის მესამე პირი – ის. მ-კლავ-ს, მ-ცემ-ს, მ-ტანჯავ-ს, მ-სპობ-ს, ... ზმნებში ვინაა ვნებული, ვინაა სამოქმედო? – პირველი პირი – მე. ამრიგად, ზემომოყვანილ ზმნებში მოქმედია ანუ სუბიექტია მესამე პირი, ხოლო სამოქმედოა ანუ ობიექტია პირველი პირი. ამის გაგებას იძლევა ზმნა იმიტომ, რომ მასში ორივეს, სუბიექტსაც და ობიექტსაც, ჰყავს წარმომადგენელი; პირველს – -ს სუფიქსის სახით, ხოლო მეორეს – მ- პრეფიქსის სახით.

ასეთივე მდგომარეობა გვაქვს მეორე პირის ფორმაშიც (გ-ცემ-ს იგი შენ), მაგრამ, რაც შეეხება მესამე ობიექტური პირის ფორმას, აქ მდგომარეობა ცოტა სხვანაირია: მესამე

ობიექტური პირის ნიშანი ზმნაში შეიძლება იყოს და შეიძლება არც იყოს (კლავ-ს იგი მას, ს-ტაცებ-ს იგი მას მას).

განსაზღვრა 3. ზმნის კატეგორიას, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენი პირი მოქმედებს, ერთი თუ ერთზე მეტი, **რიცხვი ეწოდება.**

ზმნასთან შეწყობილი მოქმედი პირი შეიძლება იყოს ერთი ან ერთზე მეტი. თუ ზმნა გამოხატავს ერთი პირის მოქმედებას, მაშინ ზმნას მხოლოობითი რიცხვის ფორმა აქვს (ის წერს), თუკი ზმნა გამოხატავს ერთზე მეტი პირის მოქმედებას, მაშინ ზმნას მრავლობითი რიცხვის ფორმა აქვს (ისინი ხატავენ). მაგალითად, მხოლოობით რიცხვშია: ვწერ (მე), წერ (შენ), წერს (ის). მრავლობითშია: ვწერთ (ჩვენ), წერთ (თქვენ), წერენ (ისინი).

ზმნით ობიექტური (სამოქმედო) პირის რიცხვიც შეიძლება აღინიშნოს. მაგალითად: მ-ხატავს ის მე (ერთს), გვ-ხატავს ის ჩვენ (მრავალს). მ-იხატავს ის მე (ერთს) მას; და-გვ-იხატავს ის ჩვენ (მრავალს) მას. მ-ხატავს || მ-იხატავს მხოლოობითი რიცხვის ფორმებია, გვ-ხატავს || გვ-იხატავს კი მრავლობითი რიცხვის.

სუბიექტური პირები ზმნაში აღინიშნებიან ნიშნებით:

მხოლოობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
1. ვ-: ვ-წერ, ვ-ხატავ	1. ვ-თ: ვ-წერთ, ვ-ხატავთ
2. ჰ-, ს-, -: ჰ-კითხულობ, ს-წერ, აშენებ	2. ჰ-, ს-, -თ: ჰ-კითხულობთ, ს-წერთ, აშენებთ
3. -ს, -ა, -ო: წერს, დახატა, აანთო	3. -ენ, -ნენ, -ან, -ნ, -ეს: წერენ, წერდნენ, მიდიან, ააშენონ, ააშენეს

მართლწერისათვის: ზმნას, რომელიც გვ-თი იწყება, მრავლობითი რიცხვის პირველ ობიექტურ პირში ორი გვ მოუდის: ცხენები მო-გვ-გვარეს, თურმე და-გვ-გვიანებია, ჟრუანტელს გვ-გვრის, ...

განსაზღვრა 4. ზმნის კატეგორიას, რომელიც გვიჩვენებს, მოქმედება თქმის მომენტში ხდება, მანამდე მოხდა, თუ მოხდება თქმის შემდეგ, **დრო** ეწოდება.

ამის მიხედვით გამოიყოფა სამი დრო: ახლანდელი, წარსული და მომავალი.

ახლანდელი დროის ფორმებია: მოდის, შენდება, ღამდება, ვითარდება, წვიმს, ...

წარსული დროის ფორმებია: წავიდა, აშენდა, დაღამდა, განვითარდა, გაიზარდა, მოთოვა, ...

მომავალი დროის ფორმებია: მოვა, აშენდება, გაიზარდება, მოთოვს, ...

დროის კატეგორიას სპეციალური ნიშანი არ გააჩნია. სხვადასხვა დროის ფორმათა განსხვავება ხდება ან ზმნისწინის მიხედვით: ვწერ (ახლა) – დავწერ (მომავალში), ან შეცვლილი ფუძით: ვარ (ახლა) – ვიქნები (მომავალში), ვშვრები (ახლა) – ვიზამ (მომავალში).

ზოგჯერ დროის კატეგორია გამოიყენება არაპირდაპირი მნიშვნელობით: სიყვარული **გვამაღლებს**; აღმართს დაღმართი **მოსდევს**; მემწვანილე ბაზარში ყველაზე ადრე **მოუდის** (აქ ახლანდელი დროის მნიშვნელობა გაფართოებულია) და სხვ.

განსაზღვრა 5. ზმნის კატეგორიას, რომელიც მოსაუბრის თვალსაზრისით ასახავს ზმნით გამოხატული მოქმედების მიმართებას სინამდვილისადმი, **კილო** ეწოდება.

კილო გვიჩვენებს, როგორ უნდა იქნეს გაგებული ზმნით გადმოცემული მოქმედება, როგორც უეჭველი ფაქტი, როგორც შესაძლებელი ფაქტი, თუ როგორც შესასრულებელი ფაქტი.

ქართულში კილო სამია: თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი.

თხრობითია კილო, რომელიც ზმნით აღნიშნულ მოქმედებას წარმოგვიდგენს, როგორც ნამდვილ ფაქტს, რომელიც მოხდა წარსულში, ხდება ახლა ან მოხდება მომავალში. ასეთი ფორმებია: ვაკეთებდი, ვაკეთებ, გავაკეთებ; ვწერდი, ვწერ, დავწერ და სხვ.

თხრობითი კილოს ფორმები მეტყველებაში ფართოდაა გავრცელებული.

კავშირებითია კილო, რომელიც ზმნით აღნიშნულ მოქმედებას წარმოგვიდგენს, როგორც შესაძლებელ ფაქტს, რომელიც შეიძლება მოხდა წარსულში, შეიძლება ხდება ახლა ან შეიძლება მოხდეს მომავალში. ასეთი ფორმებია: ხატავდეს, დაწერდეს, მოიტანოს, დააწერინოს და სხვ. მათ ხშირად **რომ** კავშირი ახლავთ: რომ მოვიდოდეს, რომ მოიტანდეს და სხვ.

კავშირებითი კილოს ფორმები მეტყველებაში ნაკლებადაა გავრცელებული.

ბრძანებითია კილო, რომელიც ზმნით აღნიშნულ მოქმედებას წარმოგვიდგენს, როგორც შესასრულებელ ფაქტს, რომელიც უნდა შესრულდეს მომავალში.

ბრძანებითი კილო გვიჩვენებს, რომ მოუბარი მოითხოვს თავისი სურვილის აუცილებლად შესრულებას. ეს სურვილი კი შეიძლება იყოს ბრძანება, თხოვნა, მუდარა, ...

ბრძანებითი კილო შეიძლება იყოს **წართქმითი** და **უკუ-უთქმითი** (აკრძალვითი). **წართქმითი** მაშინაა, როცა მოუბარი მოითხოვს მის შესრულებას: წადი! მოიტანე! უთხარი! დახატე! გაიქეცი! ააშენე! და სხვ. **უკუთქმითი** მაშინაა, როცა მოუბარი, პირიქით, მოითხოვს ზმნით გამოხატული მოქმედების არშესრულებას: არ გააკეთო! ნუ გააკეთებ! არ ააშენო! ნუ ააშენებს! ...

განსაზღვრა 6. ზმნის კატეგორიას, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენგზის არის მომხდარი მოქმედება – ერთგზის თუ მრავალგზის (ერთჯერ თუ მრავალჯერ), **გზისობა** (ჯერობა) ეწოდება.

გზისობის კატეგორია შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ წარსულში. **ერთგზისობა:** დაჯდა, დაწერა, მოიტანა, შექმნა, ააშენა, ...; **მრავალგზისობა:** მოვიდოდა ხოლმე, მოიტანდა ხოლმე, ..., მაგრამ ხოლმეს დამატება აუცილებელი არ არის: მხოლოდ შენ **კითხულობდი** მის ამბავს, ...

განსაზღვრა 7. ზმნის კატეგორიას, რომელიც წარსულში მომხდარ მოქმედებას წარმოადგენს როგორც მოუბრის მიერ ნანახს ან უნახავს (დასწრებულს ან დაუსწრებელს), **აქტი** ეწოდება.

ქართულში ზმნით უმეტესად მოუბრის მიერ ნანახი მოქმედებაა გამოხატული, მაგრამ ზმნით ისეთი მოქმედებაც გამოიხატება, რომელიც მოუბარს არ უნახავს, რომელსაც იგი არ დასწრებია. ამიტომ ზმნის აქტი ორი გვაქვს: ნანახი და უნახავი (დასწრებული და დაუსწრებელი). ნანახი აქტისაა: ააშენა, მოვიდა, მოიტანა, იტირა, იყიდა, დახატა, ...; უნახავი აქტისაა: აუშენებიათ, აშენებულა, მოსულა, მოუტანია, უტირია, უყიდა, დაუხატავს, ...

განსაზღვრა 8. ზმნის კატეგორიას, რომელიც აღნიშნავს, თუ როგორია დროული მიმართება ორ მოქმედებას შორის, **თანამდევრობა** ეწოდება.

თანამდევრობა ახლოსაა დროის კატეგორიასთან, მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავებაა. დრო მოქმედებას აფასებს თქმის მომენტის მიხედვით, თანამდევრობა კი ორი მოქმედების ერთმანეთთან შეპირისპირების მიხედვით. დროისათვის ერთი მოქმედებაა საჭირო, თანამდევრობისთვის კი ორი, მათ შორის ერთი ზოგჯერ იგულისხმება.

თანამდევრობას სამგვარი ფორმა გააჩნია: ერთდროულობა, უწინარესობა და შემდგომობა. ქართულში სამივე გამოიხატება მხოლოდ წარსულში.

ერთდროულია ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ ერთი მოქმედება სხვა დასახელებულ (ან ნაგულისხმევ) მოქმედებასთან ერთად ხდებოდა: მეგობარი რომ **მესტუმრა**, წიგნს **გვითხოვლობდი**.

უწინარესია ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ დასახელებული მოქმედება წინ უსწრებს მეორეს. იგი გადმოიცემა II თურმეობითის ფორმით.

შემდგომია ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ აღნიშნული მოქმედება მოსდევს დასახელებულ (ან ნაგულისხმევ) მოქმედებას. იგი გადმოიცემა წყვეტილით: მასწავლებელმა **დაინახა**, რაც მოსწავლემ **გააკეთა** (რაც მოსწავლემ გააკეთა, ის უფრო ადრე მოხდა, მასწავლებლის მიერ მისი დანახვა კი – შემდეგ).

სერიები და მწკრივები

როგორც ვიცით, არსებითი სახელი ფომაცვალებადი და ბრუნებადი სიტყვაა. იგი წინადადებაში შვიდი სხვადასხვა ფორმით გვხვდება. მაგალითად: კაცი, კაცმა, კაცს, კაცის, კაცით, კაცად, კაცო. სხვა ფორმით არსებითი სახელი წინადადებაში არ შეიძლება შეგვხვდეს. ასეთი სახე გააჩნია უპირო ზმნებსაც (საწყის ზმნებს). მაგრამ ქართული წარმოებული ზმნა ბევრად უფრო მდიდარია ფორმებით. იგი წინადადებაში შეიძლება შეგვხვდეს თერთმეტი სხვადასხვა ფორმით. მაგალითად: ვწერ, ვწერდი, ვწერდე, დავწერ, დავწერდი, დავწერდე, დავწერე, დავწერო, დამიწერია, დამეწერა, დამეწეროს. ეს ფორმები ერთმანეთისაგან ბევრადაა განსხვავებული. ამასთან, თითოეული ფორმა ქმნის ჯგუფს, რომელშიც ფორმები განსხვავდება ერთმანეთისაგან პირისა და რიცხვის მიხედვით. ასეთ ჯგუფს **მწკრივი** ეწოდება.

მაშასადამე, შეგვიძლია შემოვიღოთ

განსაზღვრა. იმ სივრცეს, რომელშიც ზმნის ფორმები იცვლება მხოლოდ პირისა და რიცხვის მიხედვით, **მწკრივი** ეწოდება.

თითოეული მწკრივის ფორმებს, სხვა მწკრივის ფორმებთან შეპირისპირებისას, აერთიანებს დრო და კილო, ზოგჯერ კი გზისობაცა და აქტიც.

მწკრივის ფარგლებში დრო, კილო, აქტი და გზისობა (თუ ზმნას ეს ორი უკანასკნელი კატეგორია გააჩნია) უცვლელია, ე. ი. ეს კატეგორიები ამ მწკრივის ყველა პირის ფორმას აქვს ორსავე რიცხვში.

აღნიშნული თერთმეტი მწკრივი სამ სერიად იყოფა. პირველ სერიაში 6 მწკრივია, მეორეში – 2, მესამეში – 3.

პირველ სერიაში ორი წრე გამოიყოფა: აწმყოს წრე (ფორმები უსრულასპექტიანებია) და მყოფადის წრე (ფორმები სრულასპექტიანებია). აწმყოს წრე: აწმყო, უწყვეტელი, აწმყოს კავშირებითი. მყოფადის წრე: მყოფადი, ხოლმეობითი, მყოფადის კავშირებითი.

მყოფადის წრის მწკრივები შესაბამისად ნაწარმოებია აწმყოს წრის მწკრივთაგან ზმნისწინის დართვით.

მეორე სერიაში შედის წყვეტილი და მეორე კავშირებითი.

მესამე სერიაშია I თურმეობითი, II თურმეობითი და III კავშირებითი.

თითოეულ მწკრივს შესაბამისი კითხვა დაესმის.

სერიებისა და მწკრივების სურათი ასეთია:

I სერია აწმყოს წრე

1. **აწმყო:** რას ვშვრები? ვხატავ, ვიმალები.
2. **უწყვეტელი:** რას ვშვრებოდი? ვხატავდი, ვიმალებოდი.
3. **აწმყოს კავშირებითი:** რას ვშვრებოდე? ვხატავდე, ვიმალებოდე.

მყოფადის წრე

4. **მყოფადი:** რას ვიზამ? დავხატავ, დავიმალები.
5. **ხოლმეობითი:** რას ვიზამდი? დავხატავდი, დავიმალებოდი.
6. **მყოფადის კავშირებითი:** რას ვიზამდე? დავხატავდე, დავიმალებოდე.

II სერია

7. **წყვეტილი:** რა ვქენი? დავხატე, დავიძალე.
8. **II კავშირებითი:** რა ვქნა? დავხატო, დავიძალო.

III სერია

9. **I თურმეობითი:** რა მიქნია? დამიხატავს, დავმა-
ლულვარ.
10. **II თურმეობითი:** რა მექნა? დამეხატა, დავმალუ-
ლიყავი.
11. **III კავშირებითი:** რა მექნას? დამეხატოს, დავმა-
ლულიყო.

თითოეული სერიის მწკრივებს შეიძლება მივცეთ მო-
კლე დახასიათება.

პირველი სერიის მწკრივები.

აწმყო: დროის მიხედვით ახლანდელია, კილოს მიხე-
დვით – თხრობითი, გარდამავალ ზმნებს მწკრივის ნიშანი
არა აქვთ, დინამიკური ვნებითებიდან ზოგს დაერთვის -ი
(ვიზრდებ-ი, ვეზრდებ-ი, ...).

უწყვეტელი: დროის მიხედვით წარსულია, კილოს მი-
ხედვით – თხრობითი. აღნიშნავს მოქმედების უწყვეტელო-
ბას. მწკრივის ნიშანია -ი, იწარმოება აწმყოსაგან **დ** და **ოდ**
სავრცობით: ვაშენებ-დ-ი, ვთბებ-ოდ-ი, ...

აწმყოს კავშირებითი: დროის მიხედვით ახლანდელია
ან მომავალი, კილოს მიხედვით – კავშირებითი. სავრცობი-
ანი მწკრივია, მწკრივის ნიშანია -ე: ვწერ-დ-ე, ვხატავ-დ-ე,
ვთბებ-ოდ-ე, ...;

მყოფადი: დროის მიხედვით მომავალია, კილოს მიხე-
დვით – თხრობითი. იწარმოება აწმყოსაგან ზმნისწინით.

ხოლმეობითი: დროის მიხედვით წარსულია, კილოს მიხედვით – თხრობითი, გამოხატავს მრავალგზისობას და აქვს **ხოლმე**-ს გაგება, მწკრივის ნიშანია -**ი**: ავაშენებ-დ-ი, გავთბებ-ოდ-ი, ...;

მყოფადის კავშირებითი: დროის მიხედვით მომავალია, კილოს მიხედვით – კავშირებითი, სავრცობიანია, მწკრივის ნიშანია -**ე**: ავაშენებ-დ-ე, გავთბებ-ოდ-ე, ...

მეორე სერიის მწკრივები.

წყვეტილი: დროის მიხედვით წარსულია, კილოს მიხედვით – თხრობითი. მწკრივის ნიშანია -**ე**: გავაკეთ-ე. ზოგ ზმნას ამ მწკრივში მწკრივის ნიშანი არ გააჩნია: დავესწარ, გავასწარ, ...;

II კავშირებითი: დრო მომავალია, კილო – კავშირებითი, მწკრივის ნიშნებია: -**ო** (ვაჩუქ-ო), -**ე** (გავთბ-ე) და -**ა** (დავფშვნ-ა).

მესამე სერიის მწკრივები.

I თურმეობითი: დროის მიხედვით წარსულია, კილოს მიხედვით – თხრობითი, აქტის მიხედვით – უნახავი, შეიცავს **თურმე**-ს გაგებას, მწკრივის ნიშანია -**ი**: გა-მ-ი-კეთებ-ი-ა. ზმნათა ერთი ჯგუფი I და II პირებს მეშველი ზმნით აწარმოებს: გავმთბარ-ვარ, გავზრდილ-ვარ (გამთბარ-ხარ, გაზრდილ-ხარ).

II თურმეობითი: დროის მიხედვით წარსულია, კილოს მიხედვით – თხრობითი, აქტი უნახავია, შეიცავს **თურმე**-ს გაგებას. იხმარება III კავშირებითის მნიშვნელობითაც: რომ მენახა, არ გავუშვებდი. აქ ზმნა პირობას გამოხატავს და არა უნახაობას. მეორე თურმეობითი ისეთ უნახავ მოქმედებას გამოხატავს, რომელიც უსწრებდა წყვეტილით გადმოცე-

მულ მოქმედებას. ერთპირიანი ფორმები მეშველზმნიანია, ორპირიანი გარდაუვალი კი – **-ოდ** სავრცობიანი (დავხა-ტულიყავ, გავზრდ-ოდ-ი).

III კავშირებითი: დროის მიხედვით წარსულია, კილოს მიხედვით – კავშირებითი. მწკრივის ნიშნები იგივეა, რაც II კავშირებითისა: -ა (ამეხსნ-ა), -ო (მეშენებინ-ო-ს), -ე (შევხვე-დრ-ოდ-ე). გარდაუვალი ზმნები მეშველი ზმნებით იწარმო-ება ან **-ოდ** სავრცობით (შევხვედრიყავ, მოვფერებ-ოდ-ე).

წარმოქმნის კატეგორიები

წარმოქმნა არის მორფოლოგიური ოპერაცია, რომლის დროსაც ზმნის ძირისა და საწარმოქმნო აფიქსების მეშვე-ობით მიიღება ახალი სიტყვა. ამ ოპერაციით მიღებულ ზმ-ნებს **წარმოქმნის კატეგორიები** ახასიათებთ.

ასეთი კატეგორიებია: **გეზი** (მიმართულება), **ორიენტა-ცია**, **ასპექტი**, **გვარი**, **ქცევა**, **სიტუაცია**, **კონტაქტი**.

წარმოქმნის კატეგორიები ზმნას ახალ მნიშვნელობას ანიჭებენ. მაგალითად, **აშენებს** მოქმედებითი გვარის ზმნაა, **შენდება** კი ვნებითი გვარის. ისინი ერთი ძირიდან მომ-დინარეობენ, მაგრამ მათი ლექსიკური მნიშვნელობა სხვა-დასხვაა.

სანამ კატეგორიების დახასიათებაზე გადავიდოდეთ, განვიხილოთ **ზმნისწინის** ცნება, რადგანაც იგი აქტიურად დაგვჭირდება შემდგომ.

განსაზღვრა 1. ზმნის თავში დართულ ნაწილს, რომე-ლიც უსწრებს პირის ნიშანს და აქვს როგორც სიტყვაწარ-მოებითი ისე ფორმაწარმოებითი ფუნქცია, **ზმნისწინი** ანუ **პრევერბი** ეწოდება.

ზმნისწინი ცვლის ზმნის გრამატიკულ ან ლექსიკურ მნიშვნელობას, გვიჩვენებს მიმართულებას, აწარმოებს მომავალ დროს და, ამავე დროს, ზმნაში გამოხატულ მოქმედებას აძლევს დასრულებულ სახეს.

შედგენილობის მიხედვით ზმნისწინი არსებობს **მარტივი და რთული**, ორიენტაციის მიხედვით – **საიქითო და სააქეთო**.

- მარტივია: მი-, მო-, ა-, და-, ჩა-, შე-, გა-, წა-.
- რთული ზმნისწინები მიღებულია მარტივ ზმნისწინებზე მო-ს დართვით: მიმო-, ამო-, ჩამო-, შემო-, გამო-, წამო-, გადმო-, დამო, ...
- გვაქვს ძველი ქართულიდან შემორჩენილიც: განა-ზოგადა, აღ-ზარდა, წარ-ადგინა, შთა-აგონა, ...
- საიქითო ორიენტაციისაა: მი-, ა-, და-, გა-, შე-, ჩა-, გადა-, წა-; სააქეთო ორიენტაციისაა: მო-, ამო-, დამო-, გამო-, შემო-, ჩამო-, გადმო-, წამო-.

ზმნისწინის გამოყენების თვალსაზრისით ქართულში ზმნები სამგვარია:

1. ზმნები, რომლებიც საერთოდ არ დაირთავენ ზმნისწინს (სძულს, აქვს, ჰყავს, უყვარს, სწამს, სძინავს, სწყინს, სწყურია, დგას, ცოცხლობს, ...),

2. ზმნები, რომლებიც უზმნისწინოდ არ გამოიყენება (მოფრინდა, მიდის, გაიგო, მოვიდა, გავიდა, შევიდა, ...),

3. ზმნები, რომელთაც შეუძლიათ ზმნისწინი დაირთონ ან არ დაირთონ (დახატა / ხატა, დაგრიხა / გრიხა, ...).

ზმნისწინებს მრავალი ფუნქცია აკისრია, მათი დართვით ზმნამ შეიძლება:

- I. გამოხატოს მიმართულება (გეზი):

➤ **და-**: ზევიდან ქვევით (და-ვარდა, და-ეცა, და-ხტა, და-აგდო, და-ანარცხა, და-ენარცხა, და-ასხა, ...)

➤ **ა-, ამო-**: ქვევიდან ზევით (ა-ვიდა, ა-ვარდა, ამო-ვიდა, ამო-იყვანა, ა-იყვანა, ...)

➤ **შე-, შემო-**: გარედან შიგნით (შე-ვიდა, შე-ვარდა, შე-აგდო, შემო-ვიდა, შემო-იყვანა, შემო-იარა, ...)

➤ **გა-, გამო-**: შიგნიდან გარეთ (გა-ვიდა, გა-იხედა, გა-იყვანა, გამო-ვიდა, გამო-იხედა, ...)

II. გამოხატოს მოქმედების დასრულება: ვხატე → და-ვხატე, წერს → და-წერა, აკეთებ → გა-აკეთე, აშენებს → ა-აშენა, კეტავს → და-კეტა, ჩა-კეტა, გამო-კეტა, ...

პირველი ზმნები დაუსრულებელ მოქმედებას გამოხატავენ, მეორენი, ზმნისწინდართულნი, – დასრულებულს.

III. შეცვალოს მნიშვნელობა.

ზოგჯერ ზმნისწინი ერთი და იმავე ფუძისაგან (ძირისაგან) სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობის ზმნებს აწარმოებს. მაგალითად, **გ** ძირისაგან სხვადასხვა ზმნისწინის დართვით იწარმოება ურთიერთგანსხვავებული მნიშვნელობის ზმნები: **ა-აგო, წა-აგო, მო-იგო, გა-იგო, ჩა-აგო, და-აგო, ..., მი-ხვდა, მო-ხვდა, შე-ხვდა, და-ხვდა, ...**

IV. აწარმოოს მომავალი დრო.

ქართულ ზმნებში ზმნისწინის მეშვეობით შესაძლებელია ახლანდელი დროისაგან მომავალი დროის წარმოება. ხატავს → და-ხატავს, წერს → და-წერს, თოვს → და-თოვს, აშენებს → ა-აშენებს, ვხაზავ → გადა-ვხაზავ, შემო-ვხაზავ, ...

ზოგ ზმნასთან ზმნისწინი ძველი ფორმითაც იხმარება: აღწერა, აღმართა, აღმოფხვრა, აღმოაჩინა, ..., განაწესი, განაპირობა, განახორციელა, ..., გარდასახა, გარდაქმნა, გარდაი-

ცვალა, ..., წარადგინა, წარმართა, ..., წარმოთქვა, წარმოიდგინა, წარმოიშვა, ..., შთანთქა, შთააგონა, შთაუწერა, ...

ზმნისწინი ასევე წარმატებით გამოიყენება უპირო ზმნებშიც, მისი საშუალებით უპირო ზმნებისგან იწარმოება ისევ უპირო ზმნები: შენება → აშენება, გაშენება, გადაშენება, შემოშენება, ..., ხატვა → გადახატვა, ჩახატვა, ..., წერა → გადაწერა, წაწერა, შეწერა, მოწერა, ჩაწერა, ..., კეთება → გაკეთება, შეკეთება, გადაკეთება, ...

ზმნისწინთა ხმარებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია **მართლწერის საკითხები**:

➤ ზმნისწინი უნდა იქნეს გამოყენებული სრულად, გაუთიშველად: **გან**: გან-ვ-ათავისუფლე, **წარ**: წარ-ა-დგენს, **აღ**: აღ-ვ-ნიშნე.

➤ არსებობს ორადორი გამონაკლისი, სადაც პირველი პირის ნიშანი -ვ წინ უსწრებს ზმნისწინს. ეს არის ზმნები **ვალღარებ**: ვ-აღ-ღარებ და **ვალღორძინებ**: ვ-აღ-ღორძინებ. აღ-ზმნისწინის ლ თანხმოვანი ზმნის ფუძის ნაწილად მხოლოდ ორ ზმნაში მოიაზრება: **აღღარება** და **აღღორძინება**. მართებულთა: ვალღარებ, მალღარებს, გვალღარებს, მალღარებელი, ასალღარებელი, აულღარებელი; ასევე, აალღორძინებს, ამალღორძინებს, აგვალღორძინებს, ამალღორძინებელი, აულღორძინებელი, ასალღორძინებელი.

➤ თუ ზმნა ა-ზე იწყება, მაშინ ა-თი დაბოლოებული ზმნისწინის დართვისას ორი ა ერთად იყრის თავს: გაადვილდა, გაახლდა, გადაადგილდა, ...

➤ ე-ზე დაწყებულ სახელთაგან ნაწარმოებ ზმნებზე შე-ზმნისწინის დართვისას ორი ე ერთად იყრის თავს: შეერთდა, შეერწყა, შეერია, შეესისხლხორცა, ...

➤ ზმნისწინიანი ფორმის დამარცვლისას, სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანის დროს, ზმნისწინთან არ შეიძლება დარჩეს პირის ნიშანი ან ფუძის დასაწყისი თანხმოვანი: და-ვწერ და არა დავ-წერ, და-მტუქსა და არა დამ-ტუქსა, ..., შე-სძულდა და არა შეს-ძულდა, გადა- გვარდა და არა გადაგ-ვარდა, ...

განსაზღვრა 2. ზმნის კატეგორიას, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორია ზმნით გამოხატული მოქმედების მიმართება სივრცეში მდებარე სხვა პუნქტებთან, **გეზი** (მიმართულება) ეწოდება.

ზმნით გამოხატული მოქმედება შეიძლება იყოს მიუმართავი (მოუგეზავი) ან მიმართული (მოგეზული). მოქმედების მიმართულება გამოიხატება ზმნისწინის საშუალებით. მაგალითად, ზმნა **ცურავს** აღნიშნავს მიუმართავ მოქმედებას, მაგრამ, თუ მას ზმნისწინებს დავურთავთ: **მი-ცურავს, მო-ცურავს**, მაშინ ზმნები უკვე მიმართულებას გამოხატავენ. ისინი, ამავე დროს, ორიენტაციასაც აღნიშნავენ.

განსაზღვრა 3. ზმნის კატეგორიას, რომელიც გვიჩვენებს ზმნით გამოხატული მოქმედების მიმართულებას პირველი პირის პოზიციიდან: საით არის მოქმედება მიმართული – იმ პოზიციისკენ, რომელიც მოსაუბრეს უკავია სივრცეში, თუ – საწინააღმდეგო მიმართულებით, **ორიენტაცია** ეწოდება.

ამის მიხედვით გვაქვს ორგვარი ორიენტაცია: მახლოებული და მაშორებული ანუ სააქეთო და საიქითო.

სააქეთოა (მახლოებელია) ორიენტაცია, რომელიც გვიჩვენებს, რომ მოქმედების სუბიექტი, ან პირდაპირი ობი-

ექტი, პირველი პირისაკენ მოემართება: მოდის (კაცი), შემოდის, მოიყვანეს, შემოჰყავთ, ...

საიქითა (მამორებელია) ორიენტაცია, რომელიც გვიჩვენებს, რომ მოქმედების სუბიექტი, ან პირდაპირი ობიექტი, პირველი პირისაგან მიემართება, მისი პოზიციის საპირისპიროდ: მიდის (კაცი), გადის, წაიყვანეს, მიჰყავთ, ...

განსაზღვრა 4. ზმნის კატეგორიას, რომელიც გვიჩვენებს, ზმნის მიერ აღნიშნული მოქმედება დასრულებულია თუ დაუსრულებელი, **ასპექტი** ეწოდება.

აქედან გამომდინარე, ასპექტი ორი სახისაა: სრული და უსრული.

მაგალითად, ზმნები: წერს, ხატავს, კერავს, აშენებს, ანგრევს დაუსრულებელ მოქმედებებს ასახავენ. ეს ზმნები უსრული ასპექტისაა. მაგრამ საკმარისია, მათ დავურთოთ ზმნისწინები, რომ ზმნებით ნაჩვენები ყველა მოქმედება დასრულდეს, ე. ი. მივიღოთ სრულასპექტიანი ზმნები: დაწერს, დახატავს, შეკერავს, ააშენებს, დაანგრევს.

მამასადამე, სრულასპექტიან ზმნებს ზმნისწინი აწარმოებს უსრულასპექტიანი ზმნებისგან.

პირველი სერიის აწმყოს წრეში შემავალი ყველა ზმნა უსრულასპექტიანია, რადგან მასში შემავალ არცერთ ზმნას ზმნისწინი არ დაერთვით, მყოფადის წრეში შემავალი ყველა ზმნა კი სრულასპექტიანია, რადგან მასში შემავალ ზმნებს ზმინსწინი დაერთვით.

აწმყოს წრე	მყოფადის წრე
აწმყო – ვწერ	მყოფადი – და-ვწერ
უწყვეტელი – ვწერდი	ხოლმეობითი – და-ვწერდი
აწმყოს კავშ. – ვწერდე	მყოფ. კავშ. – და-ვწერდე

ზოგ ზმნას ასპექტის გაგება არა აქვს. უასპექტო ზმნები ან საერთოდ არ დაირთავენ ზმნისწინებს (სძულს, სძინავს, გდია, აფენია, ალაგია, ...), ან დაირთავენ მხოლოდ გეზისა და ორიენტაციის გამოსახატავად (ფრინავს – მი-ფრინავს, მო-ფრინავს; ცოცავს – მი-ცოცავს, მო-ცოცავს; გორავს – მი-გორავს, მო-გორავს; დადის – მი-დის, მო-დის, ა-დის, ჩამო-დის, გადა-დის, შე-დის, ...).

განსაზღვრა 5. ზმნის კატეგორიას, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორია ურთიერთობა მოქმედ პირსა და ზმნით გამოხატულ მოქმედებას შორის, **გვარი** ეწოდება.

ამის მიხედვით ქართულში გვაქვს გვარის სამი სახე: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი.

მოქმედებითა (აქტიური) გვარი, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტი მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე, ე. ი. მას მოეპოვება სამოქმედო პირი პირდაპირი ობიექტის სახით. ამ შემთხვევაში ზმნის ფორმა გვიჩვენებს, რომ სუბიექტი აქტიურია. მაგალითად: მე ვადულებ მას, მე ვანგრევ მას, ხატავს ის მას, დაუხატა მან მას ის, ...

ვნებითა (პასიური) გვარი, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტი იმასვე განიცდის, რასაც პირდაპირი ობიექტი, ოღონდ, არ ჩანს, თუ ვისგან ან რისგან. ამ შემთხვევაში სუბიექტი პასიურია, თვითონ განიცდის ვნებას. მაგალითად: დუღდება ის (← ვადულებ მე მას), ინგრევა ის (← ვანგრევ მე მას), იხატება ის (← ხატავს ის მას, დაუხატა მან მას ის), ...

საშუალია (მოდალური) გვარი, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტური პირი მოქმედებს ისე, რომ სამოქმედო ობიექტი არა აქვს. მაგრამ არც განიცდის ამ მოქმედებას. ამ შემთხვევაში სუბიექტი მოქმედებს, მაგრამ პირდაპირი ობიექ-

ტის სახით სამოქმედო არ მოეპოვება. მაგალითად: დულს ის, გორავს ის, ...

შევადართ ერთმანეთს ასეთი ფორმები: **წერს და იწერება.**

ფორმა **წერს** (ბავშვი დავალებას) გვიჩვენებს, რომ მოქმედებას ასრულებს სუბიექტური პირი, რომელსაც პირდაპირი ობიექტის სახით მოეპოვება სამოქმედო.

ფორმა **იწერება** (წერილი) გვიჩვენებს, რომ ზმნით აღნიშნულ მოქმედებას სუბიექტური პირი კი არ ასრულებს, არამედ იგი თვითონ განიცდის ამ მოქმედებას.

წერს ზმნას აქტიური სუბიექტი შეეწყობა, ამიტომ თვით ეს ზმნა აქტიურია, ანუ **მოქმედებითი** გვარისაა.

იწერება ზმნას პასიური სუბიექტი შეეწყობა, ამიტომ თვით ეს ზმნაც პასიურია, პასივია, ანუ **ვნებითი** გვარისაა.

ქართულში ზმნათა უმრავლესობას მოეპოვება გვარის ორი ფორმა მაინც: მოქმედებითი და ვნებითი, საშუალი გვარი შეიძლება ჰქონდეს, შეიძლება არა. მაგალითად, აქტიურ ზმნებს: ახურებს, აბრუნებს, ადუღებს, ... გააჩნიათ როგორც ვნებითი ფორმა: ხურდება, ბრუნდება, დუღდება, ..., ისე საშუალიც: ხურს, ბრუნავს, დულს, ..., მაგრამ აქტიურ ზმნებს: ხატავს, აშენებს, კერავს, ... გააჩნიათ ვნებითი: იხატება, შენდება, იკერება, ..., მაგრამ არ გააჩნიათ საშუალი.

მოქმედებითი გვარის ზმნა **გარდამავალია**: სამპირიანი (უხატავს ის მას მას), ან ორპირიანი (აშენებს ის მას).

ვნებითი და **საშუალი** გვარის ზმნები **გარდაუვალია**, ორპირიანი (ეხატება მას ის), ან ერთპირიანი (შენდება ის).

ვნებითი გვარის ზმნები ორი სახისაა: დინამიკური და სტატიკური. **დინამიკური** ვნებითი გამოხატავს მოქმედების

პროცესს: დუღდება, გორდება, ეფინება, ..., **სტატიკური** კი ასახავს მოქმედების შედეგს: აწერია, ახატია, აბია, გდია, ...

ვნებითს აწარმოებს:

- პრეფიქსი **ი-**: ი-ყიდება, ი-ზრდება, ი-რეცხება, ი-წმინდება, ი-მალება, ი-შლება, ...
- პრეფიქსი **ე-**: ე-ყიდება, ე-ზრდება, ე-რეცხება, ე-წმინდება, ე-მალება, ე-შლება, ...
- სუფიქსი **-დ-**: შენ-დ-ება, მშვენი-დ-ება, მწვან-დ-ება, წითელ-დ-ება, შავ-დ-ება, გალამაზ-დ-ა, ...

საშუალო გვარის ზმნებს მარტო აწმყოს წრის მწკრივები გააჩნიათ. დანარჩენ ფორმებს სესხულობენ: ერთი ჯგუფი დანაკლისს ივსებს მოქმედებითი გვარის ფორმებით, მეორე კი – ვნებითი გვარის ფორმებით. პირველს საშუალ-მოქმედებითს უწოდებენ, მეორეს – საშუალ-ვნებითს.

საშუალ-მოქმედებითია (მედიოაქტივი): მეფობს, ცურაობს, წუხს, ხტის, ცხოვრობს, ქუხს, წვიმს, თოვს, ფიქრობს, ჩქარობს, ... ამათი მონაცვლე ზმნები მყოფადში **ი-** პრეფიქსს დაირთავენ, III სერიაში კი ინვერსიულნი ხდებიან: ვ-ი-მეფებ, მ-ი-მეფია; ვ-ი-ცურავებ, მ-ი-ცურავია; ვ-ი-ცხოვრებ, მ-ი-ცხოვრია; ... სუბიექტს ბრუნვაცვალებადს შეიწყობენ: ცხოვრობს კაცი, იცხოვრა კაცმა, უცხოვრია კაცს, ...

საშუალ-ვნებითია (მედიოპასივი): წევს, დგას, სძინავს, უყვარს, სძულს, დულს, წუხს, ხტის, ... ესენი დანაკლის ფორმებს იმავე ფუძისაგან ნაწარმოები ვნებითებით ივსებენ. III სერიაში ინვერსია ახასიათებთ და მემველზმნიანი ფორმებით იწარმოებიან: ვყოფილ-ვარ, ვწოლილ-ვარ, მდგარ-ხარ, მიყვარ-ხარ, ... სუბიექტი ბრუნვაუცვლელი შეიწყობათ: წევს კაცი, იწვა კაცი, წოლილა კაცი, ...

მართლწერის საკითხები, დაკავშირებული გვარის ფორმებთან, ასეთია:

➤ **ინიანი** ვნებითის მეორე ან მესამე პირის ფორმაზე **მი-** ზმნისწინის დართვისას თავს ერთად იყრის ორი **ი:** მი-ი-წერება, მი-ი-ხატება, მი-ი-მალა, მი-ი-კერება, მი-ი-წმინდება, მი-ი-თვისება, მი-ი-ზრდება, ...

➤ **ენიანი** ვნებითის მეორე ან მესამე პირის ფორმაზე **შე-** ზმნისწინის დართვისას თავს ერთად იყრის ორი **ე:** შე-ეზრდება, შე-ერეცხება, შე-ეწმინდება, შე-ემალება, შე-ეშლება, შე-ეგუბება, შე-ეკერება, ...

➤ **დ** თანხმოვნით დაბოლოებულ ფუძეზე **-დ** სუფიქსის დართვისას თავს ერთად იყრის ორი **დ:** დიდ-დ-ება, მშვიდ-დ-ება, მზად-დ-ება, ნიშნად-დ-ება, დაბინდ-დ-ა, ...

➤ თუ **ე-ზე** დაწყებული სიტყვისაგან **ე-**თი ნაწარმოებ ფორმას **შე-** ზმნისწინი დაერთო, მაშინ თავს ერთად იყრის სამი **ე:** შე-ე-ეჭვა, შე-ე-ერთებინა, შე-ე-ერთებინებინა, ...

განსაზღვრა 6. ზმნის კატეგორიას, რომელიც გამოხატავს კუთვნილებით ურთიერთობას სუბიექტსა და ობიექტს, ან ობიექტებს შორის, **ქცევა** ეწოდება.

ქცევა სამია ქართულში: **საარვისო, სათავისო** და **სახვისო**.

საარვისოა (ნეიტრალურია) ქცევა, რომელიც გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი არავისი კუთვნილება არ არის და არც არავისთვისაა განკუთვნილი: სახლს ვაშენებ, წერილს ვწერ, სურათს ვხატავ, დავალებას ვასრულებ, ...

გარდამავალი ზმნის საარისო ქცევის ფორმას ან საერთოდ არა აქვს ნიშანი, ან იგი **ა-** პრეფიქსით იწარმოება: ა-შენებს, ა-კეთებს, ატარებს, ..., მაგრამ: წერს, ხატავს, შლის, ...

სათავისო (სასუბიექტო) ქცევა, რომელიც გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი ეკუთვნის მოქმედ პირს, სუბიექტს, ან მისთვისაა განკუთვნილი: სახლს ვიშენებ, წერილს ვიწერ, სურათს ვიხატავ, დავალებას ვისრულებ, ...

სათავისო ქცევის ზმნა იმაზე მიუთითებს, რომ სუბიექტი მოქმედებს თავისთვის.

სათავისო ქცევის ფორმები გარდამავალია, ყოველთვის ორპირიანია. სათავისო ქცევის ნიშანია პრეფიქსი **ი-**, რომელიც ზმნას დაერთვის ორივე რიცხვის სამსავე პირში: ვიკეთებ, იკეთებ, იკეთებს, ვიკეთებთ, იკეთებთ, იკეთებენ.

ჩვეულებრივ, სათავისო ქცევის ფორმებს იყენებენ შემთხვევებში: პირს იბანს, თავს იბანს, ქუდი დაიხურა, ...

სასხვისო (საობიექტო) ქცევა, რომელიც გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი ირიბს ეკუთვნის ან ირიბისთვისაა განკუთვნილი: სახლს ვუშენებ, წერილს მიწერს, სურათს გიხატავს, ...

სასხვისო ქცევის ზმნა იმაზე მიუთითებს, რომ სუბიექტი სხვისთვის მოქმედებს.

გარდამავალი ზმნის სასხვისო ქცევის ფორმა სამპირიანია. აქ სუბიექტი მოქმედებს სხვისთვის: ის მ-ი-შენებს მე მას, ის გ-ი-შენებს შენ მას, ის უ-შენებს მას მას, ..., მე გ-ი-შენებ შენ მას, მე ვ-უ-შენებ მას მას, ...

სასხვისო ქცევის პირველი და მეორე პირის ფორმებს აწარმოებს პრეფიქსი **ი-**, ხოლო მესამე პირისას – **უ-**.

საგულისხმო სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმებში არსებული **მსგავსება** და **განსხვავება**. **ი-** პრეფიქსი აწარმოებს ორივეს, მაგრამ სათავისო ქცევის ფორმებს იგი ორივე რიცხვის სამივე პირში დაერთვის: ვ-ი-ხატავ, ი-ხატავ, ი-ხა-

ტავს, ..., ვ-ი-ხატავთ, ი-ხატავთ, ი-ხატავენ. სასხვისო ქცევის ფორმებს კი მხოლოდ პირველსა და მეორე პირებში დაერთვის, მესამე პირში მას უ- პრეფიქსი ენაცვლება: მ-ი-ხატავს, გ-ი-ხატავს, უ-ხატავს, გვ-ი-ხატავს, გ-ი-ხატავთ, უ-ხატავთ. გარდა ამისა, სათავისო ქცევის ფორმები ორპირიანია: ი-ხატავს ის მას, ი-შენებს ის მას, სასხვისოსი კი – სამპირიანები: მ-ი-ხატავს ის მე მას, მ-ი-შენებს ის მე მას.

გარდაუვალ ზმნებს ან საერთოდ არ მოეპოვებათ ქცევის ფორმები, ან აქვთ მხოლოდ საარვისო და სასხვისო.

ქცევის ფორმები გაჩნიათ:

- უნიშნო ვნებითებს: თბება – მ-ი-თბება, გ-ი-თბება, უ-თბება, ...
- დონიან ვნებითებს: შენ-დ-ება – მ-ი-შენდება, გ-ი-შენდება, უ-შენდება, ...
- სტატიკურ ვნებითებს: ა-წყვია – მ-ი-წყვია, გ-ი-წყვია, უ-წყვია, ...
- ზოგიერთ საშუალო გვარის ზმნებს: დულს – მ-ი-დულს, გ-ი-დულს, უ-დულს, ...

მრავალია ისეთი ზმნა, რომელიც გარეგნულად ჰგავს ქცევის ფორმებს, მაგრამ საპირისპირო ფორმები არა აქვთ და ამიტომ მათთვის ქცევის გაგება უცხოა. ასეთი ზმნები უქცევო ზმნებია. მაგალითად: იზრდება, იწერება, იხატება, იკარგება, ..., ეზრდება, ეწერება, ეხატება, ეკარგება, ...; ი- და ე- აქ ვნებითობის ნიშნებია და არა ქცევის.

საგულისხმოა მართლწერის საკითხები ქცევასთან დაკავშირებით:

➤ თუ ფუძე ა-ზე იწყება, მაშინ საარვისო ქცევის ა-პრეფიქსის დართვისას ორი ა ერთად იყრის თავს: ა-აშენა, ა-ახლებს, ა-აპირქვავა, ა-აბიბინა, ა-აბამს, ა-აბარგებს, ...

➤ თუ ა-ზე დაწყებული სახელისაგან ნაწარმოებ ა-ნი-შნიან ქცევის ფორმას დაერთვის ა ან ა-ზე დაბოლოებული ზმნისწინი, მაშინ სამი ა ერთად მოიყრის თავს: ა-ა-ალებს, გა-ა-ავებს, და-ა-არსა, გა-ა-ადვილა, გა-ა-ანალიზა, გა-ა-ათმაგა, გა-ა-ათასა, გა-ა-ასკეცა, და-ა-ანონსა, ...

➤ თუ უ-ზე დაწყებული სახელისაგან ნაწარმოებ სას-ხვისო ქცევის ფორმაში ირიბი ობიექტური პირი მესამეა, მაშინ ორი უ ერთად იყრის თავს: გა-უ-უქმებს, გა-უ-უხეშებს, გა-უ-უწესებს, გა-უ-უთობს, ...

განსაზღვრა 7. ზმნის კატეგორიას, რომელიც გვიჩვენებს მოქმედების ლოკალიზაციას ამა თუ იმ საგანთან მიმართებით, **სიტუაცია** ეწოდება.

სიტუაცია აღნიშნავს, რომ მოქმედება ხდება რაზედმე. მას საზედაოსაც უწოდებენ: ზის – ა-ზის, წევს – ა-წევს, წერს – ა-წერს, დებს – ა-დებს, ... საზედაო სიტუაციის ნიშანია ა-პრეფიქსი. სიტუაცია ახასიათებთ პირველად ზმნებს.

მამასადამე, ა-პრეფიქსი არის სიტუაციის ნიშანიც და საარვისო ქცევის ნიშანიც. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სიტუაციის ნიშანი რაღაცის ზედაპირზე მოქმედებას გამოხატავს.

განსაზღვრა 8. ზმნის კატეგორიას, რომელიც გვიჩვენებს, სუბიექტური პირი პირდაპირ ობიექტზე უშუალოდ მოქმედებს, თუ სხვა პირის შუალობით, **კონტაქტი** ეწოდება.

შევადართ ერთმანეთს ორი ზმნა: **დახატა** (მხატვარმა სურათი) და **დაახატინა** (მხატვარმა მოსწავლეს სურათი).

მხატვარმა სუბიექტია, სურათი – პირდაპირი ობიექტი, ხოლო მოსწავლეს – ირიბი ობიექტი. პირველი ზმნის მიხედვით სუბიექტი უშუალოდ მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე, თვითონ ხატავს, მეორე ზმნის მიხედვით კი ეს მოქმედება ხდება ირიბი ობიექტის მეშვეობით, მხატვარი სხვას ახატვინებს. შუალობითი კონტაქტის ზმნაში ორი პირი მოქმედებს: ერთი შემსრულებელია, მეორე – ხელმძღვანელი. მხატვარი ახატვინებს მოსწავლეს სურათს. აქ მოქმედების უშუალო შემსრულებელი არის მოსწავლე, მაგრამ იგი ამ კონსტრუქციაში სუბიექტი არ არის, ირიბი ობიექტია. სუბიექტად მხატვარია წარმოდგენილი.

ამის გამო კონტაქტი ორია: **უშუალო და შუალობითი.**

შუალობით კონტაქტს აწარმოებს სუფიქსები:

- **-ინ:** აწერ-ინ-ებს, ახატვ-ინ-ებს, აპერწვ-ინ-ებს, ...
- **-ევ:** ასმ-ევ-ს, აჭმ-ევ-ს, აცმ-ევ-ს, ართმ-ევ-ს, ...
- **-ევი** (← -ევ + ინ): აშლ-ევი-ებს, აკვლ-ევი-ებს, ათქმ-ევი-ებს, ათლ-ევი-ებს, ახ-ევი-ებს, ...

უშუალო კონტაქტის ფორმა **ძირეულია**, შუალობითისა კი – **წარმოქმნილი.**

კონტაქტის კატეგორია გარდამავალ ზმნებს ახასიათებს, მაგრამ იშვიათად ეწარმოება იგი ე-ნიან ვნებითებსაც: ეჩავგრ-ინ-ება, ეკვლ-ევი-ება, ეცვლ-ევი-ება, ...

ზმნის მარტივი ფუძე, ძირი, თემა

განსაზღვრა. ზმნის ნაწილს, რომელთანაც დაკავშირებულია მისი ლექსიკური მნიშვნელობა, ზმნის **ფუძე** ეწოდება.

ფუძის საპოვნელად ზმნას უნდა ჩამოვაშოროთ მხოლოდ რიცხვისა და პირის ნიშნები. რაც დარჩება, ყველაფერი ერთად შეადგენს ზმნის ფუძეს. მაგალითად:

- ზმნაში **ვაკეთებ** ფუძეა **აკეთებ**,
- ზმნაში **ვთამაშობდი** ფუძეა **თამაშობდი**,
- ზმნაში **სახლდებოდნენ** ფუძეა **სახლდებოდ**,
- ზმნაში **აშენებდნენ** ფუძეა **აშენებდ**.

დასახელებული ფუძეები **რთული** ფუძეებია, რადგანაც მათში გამოიყოფა მაწარმოებლები: ა-კეთ-ებ, თამაშ-ობ-დ-ი, სახლ-დ-ებ-ო-დ, ა-შენ-ებ-დ.

ზმნური ფუძე შეიძლება მარტივი იყოს. მაგალითად:

- ზმნაში **ჟღერს** ფუძეა **ჟღერ**,
- ზმნაში **ჰყავს** ფუძეა **ყავ**,
- ზმნაში **წერს** ფუძეა **წერ**.

ეს ფუძეები შემდგომ უკვე აღარ იშლება. ამიტომ ისინი **მარტივი ფუძეებია**. ამავდროულად ისინი **ძირებიცაა**. ზემოთ მოყვანილ რთულ ფუძეებს: ა-კეთ-ებ, თამაშ-ობ-დ-ი, სახლ-დ-ებ-ო-დ, ა-შენ-ებ-დ – ყველა მაწარმოებელი რომ ჩამოვაშოროთ, დაგვრჩება **ძირები**: კეთ, თამაშ, სახლ, შენ.

მარტივფუძიან ზმნებში **ფუძე** და **ძირი** ერთმანეთს ემთხვევა. მაგალითად, ზმნაში **წერენ** ძირიცა და ფუძეც არის **წერ**. რთულფუძიან ზმნებში კი ფუძე და ძირი ერთმანეთს არ ემთხვევა, აქ ძირი და ფუძე სხვადასხვაა.

მწკრივის ფარგლებში უცვლელია ზმნის ფუძე. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა მწკრივს თავისი ფუძე აქვს და მის საპოვნელად საჭიროა, მხოლოდ პირისა და რიცხვის ნიშანთა ჩამოშორება. ძირი კი საერთო აქვს ყველა მონათესავე სიტყვას.

მის საპოვნელად საჭიროა, ზმნას ჩამოშორდეს ყველა მაწარმოებელი.

ზმნაში, ფუძისა და ძირის გარდა, გამოიყოფა **თემა**. თემა ზმნის ის ნაწილია, რომელსაც ეყრდნობა პირველი ან მეორე სერიის ფორმები. სხვა სიტყვებით, **თემა** არის ზმნის ის ნაწილი, რომელიც საერთოა პირველი სერიის ყველა ფორმისათვის და, ანალოგიურად, საერთოა მეორე სერიის ყველა ფორმისათვის. მაგალითად, **ვლებავ** ზმნის პირველი სერიის ყველა მწკრივისათვის საერთოა **ლებავ** ნაწილი (ვლებავ, ვლებავდი, ვლებავდე, შევლებავ, შევლებავდი, შევლებავდე), მეორე სერიის მწკრივებისათვის საერთოა **ლებ** (ვლებე, ვლებო). მაშასადამე, პირველი სერიის თემაა **ლებავ**, ხოლო მეორე სერიის თემაა **ლებ**. მესამე სერიას საკუთარი თემა არ გააჩნია. აქ ზოგი ზმნა წარმოდგენილია პირველი სერიის თემით, ზოგი მეორე სერიის თემით.

თემის საპოვნელად საჭიროა, ზმნის პირიან ფორმას ჩამოვაშოროთ პირის, რიცხვის, მწკრივისა და ასპექტის ნიშნები. თემის ნიშნის საპოვნელად კი შევადაროთ ერთმანეთს პირველი და მეორე სერიების თემები **ლებავ** და **ლებ**. მათ განასხვავებს -ავ სუფიქსი. სწორედ ეს -ავ არის თემის ნიშანი.

ამასთან, მწკრივის **ფუძის სტრუქტურას** ქმნის **მარტივი ფუძე** (ძირი), **თემის ნიშანი**, **სავრცობი** და **მწკრივის ნიშანი**, სადაც:

მარტივი ფუძე ზმნური ფორმის ის ნაწილია, რომელიც საერთოა ზმნის სრული პარადიგმის ყველა წევრისათვის.

თემის ნიშანი ზმნური ფორმის ის ნაწილია, რომელიც განასხვავებს I სერიის რთულ თემას II სერიის მარტივი თემისაგან. მაგალითად: ხატ-ავ-ს – ხატ-ა (თემის ნიშანია ავ).

სავრცობი ზმნური ფორმის ის ნაწილია, რომელიც აწმყოს (მყოფადის) მწკრივის ფორმას განასხვავებს უწყვეტლის (ხოლმეობითის) ფუძისაგან. მაგალითად: ხატ-ავ-და – ხატ-ავ-ს, თლ-იდ-და – თლ-ი-ს, ტირ-ოდ-ა – ტირ-ი-ს (სავრცობებია: დ, იდ, ოდ).

მწკრივის ნიშანი ზმნური ფორმის ის ელემენტია, რომელიც ორ, ერთმანეთთან ფორმოზრივად დაკავშირებულ, მწკრივის ფუძეს ერთმანეთისგან განასხვავებს.

ძირითადი თემის ნიშნებია:

- **ი:** ვთლი, ვშლი, ვღვრი, ვზრდი, ვცრი,
- **ავ:** ვხატავ, ვმაღავ, ვფარავ, ვბერავ, ვკერავ,
- **ევ:** ვხვევ, ვარჩევ, ვანგრევ, ვამტკრევ,
- **ამ:** ვსვამ, ვდგამ, ვიცვამ, ვასხამ, ვაბამ,
- **ემ:** მივცემ, გავცემ, დასცემს, გასცემს,
- **ებ:** ვაქებ, ვაშენებ, ვაკეთებ, ვაღებ, ვადუღებ,
- **ობ:** ვახმობ, ვაცხობ, ვაშრობ, ვაჭკნობ, ვამბობ,
- **ოფ:** გავყოფ, ჩავყოფ შევყოფ, მივყოფ, ...

ზმნა შეიძლება იყოს ერთთემიანი და ორთემიანი. **ერთთემიანია** ზმნა, რომელსაც პირველ და მეორე სერიაში ერთი და იგივე თემა აქვს (წერ-ს – წერ-ა, ...). **ორთემიანია** ზმნა, თუ მას პირველ და მეორე სერიაში სხვადასხვა თემა აქვს. ორთემიანი ზმნები ორნაირია: 1. ზმნები, რომელთაც პირველ სერიაში დაირთავენ თემის ნიშანს, მეორეში კარგავენ მას (ვხატავ – ვხატე). 2. ხმოვანმონაცვლე ზმნები. მათ პირველიდან მეორე სერიაში გადაყვანისას ფუძისეული ე ხმო-

ვანი ეცვლებათ ი ხმოვნით (გრებს – გრიხა, გლეჯს – გლი-
ჯა, წრეტს – წრიტა, ...).

საგულისხმოა მართლწერის საკითხები თემასთან და-
კავშირებით.

➤ თუ საწყისი ზმნა ვა მარცვალზე ბოლოვდება, მაშინ
თემის ნიშანია -ავ: ბარვა – ვბარავ, პარვა – ვპარავ, კერვა –
ვკერავ, ხატვა – ვხატავ, მალვა – ვმალავ, ...

➤ თუ საწყისი ზმნა მა მარცვალზე ბოლოვდება, მაშინ
თემის ნიშანია -ამ: დაბმა – ვაბამ, გადასხმა – გადავასხამ,
გადადგმა – გადავდგამ, დარტყმა – ვარტყამ, ჩაცმა – ვი-
ცვამ, ...

➤ ერთთემიან ზმნებს (ვწერ, ვტეხ, ვკვეთ, ვქსოვ, ვჭამ,
ვწოვ, ...) და ორთემიან ხმოვანმონაცვლეებს (ვგრეხ, ვკრეფ,
ვგლეჯ, ვწრეტ, ...) თემის ნიშანი არ უნდა დავუწეროთ: ვტეხ
და არა ვტეხავ, ვწყვეტ და არა ვწყვეტავ, ვგრეხ და არა
ვგრეხავ, ვიხვეჭ და არა ვიხვეჭავ, ჩეხს და არა ჩეხავს, ...

➤ -ავ და -ამ თემის ნიშნები ზმნებს გადაჰყავთ პირ-
ველ თურმეობითში: დაუბარავს და არა დაუბარია, დაუფა-
რავს და არა დაუფარია, შეუკერავს და არა შეუკერია, დაუ-
ბამს და არა დაუბია, შეუსვამს და არა შეუსვია, ...

სერიებად დაყოფის საფუძველი

მწკრივების სერიებად დაყოფას მყარი მორფოლოგიუ-
რი და სინტაქსური საფუძველი უდევს.

მორფოლოგიური სფუძველი ასეთია:

➤ ორთემიანი ზმნები პირველ სერიაში თემის ნიშნებს
დაირთავენ, ხოლო მეორე სერიაში ზმნები არასდროს არ
დაირთავენ თემის ნიშნებს. ე. ი. თემის ნიშანთა დართვა-

დაურთველობით კარგად უპირისპირდება ერთმანეთს პირველი და მეორე სერიები. რთულთემიანები (თემისნიშნა-ნები) ერთიანდებიან პირველ სერიაში, მარტივთემიანები (უთემისნიშნოები) კი – მეორე სერიაში. ამასთან, თემათა სხვაობის პრინციპს ემორჩილება ფუძედრეკადი ზმნებიც. ისინი პირველი სერიის ფარგლებში ე ხმოვანს გვიჩვენებენ, მეორეში ი-ს: ვგრეხ – ვგრიხე, ვხვრეტ – ვხვრიტე, ...; მაშასადამე, ორთემიანი ზმნები პირველ სერიაში რთულთემიანებია, მეორე სერიაში – მარტივთემიანები, მესამე სერიაში კი – ისევ რთულთემიანები.

➤ მესამე სერიის ფორმებს აერთიანებს მოქმედებითი გვარის ზმნათა ინვერსიული წარმოება: ვწერ – მ-ი-წერ-ი-ა, გ-ი-წერ-ი-ა, უ-წერ-ი-ა, გვ-ი-წერ-ი-ა, გ-ი-წერ-ი-ა-თ, უ-წერ-ი-ა-თ, ...

➤ პირველი სერიის ორ წრედ დაყოფასაც მორფოლოგიური საფუძველი უდევს: აწმყოს წრეში გაერთიანებულია უსრულასპექტიანი ფორმები, მყოფადის წრეში – სრულასპექტიანი ფორმები.

სინტაქსური საფუძველი ასეთია:

➤ პირველ სერიაში გაერთიანებულია მოქმედებითი გვარის ზმნათა ის ფორმები, რომლებიც სუბიექტს სახელობით ბრუნვაში შეიწყობენ: **მოსწავლე** წერს დავალებას, ...

➤ მეორე სერიაში გაერთიანებულია მოქმედებითი გვარის ზმნათა ის ფორმები, რომლებიც სუბიექტს მოთხრობით ბრუნვაში შეიწყობენ: **მოსწავლემ** დაწერა დავალება, ...

➤ მესამე სერიაში გაერთიანებულია მოქმედებითი გვარის ზმნათა ის ფორმები, რომლებიც სუბიექტს მიცემით ბრუნვაში შეიწყობენ: **მოსწავლეს** დაუწერია დავალება, ...

➤ გათვალისწინებულია პირდაპირი ობიექტის თავისებურებაც: პირველი სერიის ზმნებს შეეწყონ მიცემითში, მეორე-მესამე სერიის ზმნებს შეეწყონ სახელობითში. ამით, პირდაპირი ობიექტის ბრუნვების მიხედვით, პირველი სერიის ფორმები გამოკვეთილად დაუპირისპირდა მეორე-მესამე სერიების ფორმებს.

თავისებური (დეფექტური) ზმნები

არის ისეთი ზმნები, რომლებიც არ ემორჩილება საერთო კანონზომიერებებს. ზოგი მათგანი **პირნაკლია**, ე. ი პირის ფორმები აკლია, ზოგი – **რიცხვნაკლი**, ე. ი. რიცხვის ფორმები აკლია, ზოგიც – **მწკრივნაკლი**, მათ მწკრივებისა და გვარის წარმოება უჭირთ. ასეთ ზმნებს **თავისებურ ანუ დეფექტურ** ზმნებს უწოდებენ. ისინი საჭიროების შემთხვევაში დანაკლისს სხვა ზმნებით ივსებენ. ასეთ შევსებას **შენაცვლება** ჰქვია, ზმნას კი – **მონაცვლე**.

1. პირნაკლი და პირში მონაცვლე.

➤ **პირნაკლი** ზმნებია: წვიმს, თოვს, ელავს, ქუხს, ყინავს, ცივა, ... ესენი მეტყველებაში მხოლოდ მესამე პირის ფორმით იხმარება.

➤ **პირში მონაცვლე** ზმნებია: არის – გახლავს, ხარ – ბრძანდები, წავიდა – წაბრძანდა, დაჯდა – დაბრძანდა, ჭამა – მიირთვა, ...

2. რიცხვნაკლი და რიცხვში მონაცვლე.

➤ **რიცხვნაკლი** ზმნებია: წვიმს, თოვს, ელავს, ქუხს, ყინავს, ცივა, ...

➤ ზოგ ზმნას მხოლოდობითის ფორმა აქვს, მრავლობითისა – არა: ჯდომა (ზის), ვარდნა (ჩამოვარდა), დაცემა (დაეცა), გაგდება (გააგდო), ბმა (აბია), გდება (გდია), ...

➤ ზოგი კი, პირიქით, მრავლობითში იხმარება, მხოლოდობითში – არა: სხდომა (სხედან), ცვივნა (გადაცვივდნენ), ყრა (გადაყარეს), სხმა (ასხია), ...

➤ გარდაუვალ ზმნებში შენაცვლება სუბიექტური პირის რიცხვში ხდება: ვზივარ – ვსხედვართ, გადავარდა – გადაცვივდა, ..., გარდამავალთან კი პირდაპირობიექტური პირის რიცხვში: გადააგდო – გადაყარა, მოიბა – მოისხა, ...

3. მწკრივნიაკლი და მწკრივში მონაცვლე ზმნები.

➤ **ვარ:** იხმარება მხოლოდ აწმყოს მწკრივში (ვარ, ხარ, არის, ვართ, ხართ, არიან). ენაცვლება **ვიქნები** მყოფადის წრეში (ვიქნები, ვიქნებოდი, ვიქნებოდე), **ვიყავ** – პირველ და მეორე სერიათა ფორმებში (ვიყავ, იყავ, იყო, ..., ვყოფილ-ვარ, ყოფილხარ, ყოფილა, ...).

➤ **დი:** იხმარება აწმყოს წრეში (მოვდივარ, მოდიხარ, მოდის, ...). ენაცვლება **ვალ** – მყოფადში: მოვალ, მოხვალ მოვა(ლს), ..., **ვედ (ვიდ)** – ნამყოში: მოვედი, მოხვედი, მოვიდა, ...

➤ **ვამბობ:** იხმარება აწმყოს წრეში (ვამბობ, ამბობ, ამბობს, ...). ენაცვლება **ვიტყვი** მყოფადში: ვიტყვი, იტყვი, იტყვის, ...; **ვთქვი** – მეორე და მესამე სერიებში: ვთქვი, სთქვი, თქვა, ..., მითქვამს, გითქვამს, უთქვამს, ...

➤ **შრომა:** იხმარება აწმყოს წრეში: ვშვრები, ..., ვშვრებოდი, ..., ვშვრებოდე, ...; ენაცვლება **ქმნა** მეორე და მესამე სერიის მწკრივებში: ვქენი, ჰქენი ქნა, ..., მიქნია, გიქნია, უქნია, ...; **ზამ** – მყოფადში: ვიზამ, იზამ, იზამს, ...

➤ მწკრივში მონაცვლე ზმნებია, ასევე, **მიმაქვს** (აწმყოს წრე) – **მივიტან** (მყოფადი) – **წავიღებ** (მყოფადი, მეორემესამე სერია) და სხვ.

საინტერესოა **ზმნების ინვერსიულობა**. როგორც ვიცით, სუბიექტური პირის ნიშანი სუბიექტურ პირს გამოხატავს, ობიექტური პირის ნიშანი კი – ობიექტურ პირს. მაგრამ ეს წესი ზოგჯერ ირღვევა: პირის ნიშნის დანიშნულება შებრუნდება ხოლმე: სუბიექტური პირის ნიშანი თავის თავზე იღებს ობიექტური პირის გამოხატვას, ობიექტური კი – სუბიექტურისას. მაგალითად: ვწერ, დაწვერე, დამიწერია ფორმებში პირველი ორი სუბიექტური პირის ნიშნითაა გამოხატული, მესამე კი – ობიექტური მ- ნიშნით. მაშასადამე, დამიწერია ფორმაში პირის ნიშნის დანიშნულება შებრუნებულია.

პირის ნიშნის დანიშნულების შებრუნებას **ინვერსია** ჰქვია, თვით ზმნას (ფორმას) კი – **ინვერსიული**. მაშასადამე, **დამიწერია** ინვერსიული ზმნაა, ინვერსიული ფორმა.

უღლების ტიპები

ზმნურ ფორმათა წარმოების საკითხი, ზმნების უღლება ქართული გრამატიკის ურთულესი უბანია. სხვადასხვა ზმნური კატეგორიებისა თუ ფორმაწარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით ზმნებს აჯგუფებენ უღლების ტიპებად.

ჩვეულებრივ, ზმნათა დაჯგუფება ხდება რამდენიმე ნიშნის მიხედვით. მთავარ კრიტერიუმად მიჩნეულია ურთიერთობა სამივე სერიის ფორმებს შორის წარმოების თვალსაზრსით. ძირითად საკლასიფიკაციო ნიშნად მიღებულია

გვარის კატეგორია და დამატებით ნიშნად – სტატისტიკურობა-დინამიკურობა.

ამის საფუძველზე გამოიყო უღლების **ოთხი ტიპი**:

პირველი ტიპის უღლებას განეკუთვნება მოქმედებითი გვარის გარდამავალი ზმნები. პირველსა და მეორე სერიაში ისინი ორპირიანია ან სამპირიანი, მესამეში – ორპირიანი. მესამე სერიის მწკრივებს ინვერსიულად აწარმოებენ. ამ ტიპის ზმნათა შორის ვხვდებით ერთთემიან ზმნებსაც და ორთემიანებსაც (თემისნიშნაინებს და ხმოვანმონაცვლეებს). ამას გარდა, პირდაპირი მიმართების ფორმები მხოლოდ აქ არის შესაძლებელი.

მეორე ტიპის უღლებას განეკუთვნება დინამიკური ვნებითი გვარის ზმნები. აქ პრეფიქსიანი ვნებითები, ისევე, როგორც მოქმედებითი, მეორე სერიაში მწკრივთა ნიშნებად დაირთავენ: -ე, -ი, -ა, -ო სუფიქსებს: დავიძალე, გავები, (რომ) დავიძალო, (რომ) გავება. დონიანსა და უნიშნო ვნებითებს წყვეტილში -ი აქვთ, მეორე კავშირებითში -ე: გავკეთდი, გავთბი, (რომ) გავკეთდე, (რომ) გავთბე. ერთპირიან და ორპირიან დინამიკური ვნებითი გვარის ზმნებს პირველი და მეორე სერიის ფორმები ერთნაირად ეწარმოებათ, მესამე სერიაში კი განსხვავებული მდგომარეობაა. ერთპირიან ვნებითებს თავისი წარმოება აქვთ, ორპირიანებს – თავისი. გარდა ამისა, ამ ტიპის ზმნებს პირველი ტიპის ზმნათაგან განსხვავებს სავრცობი (ოდ).

მესამე ტიპის უღლებას განეკუთვნება საშუალ-მოქმედებითი გვარის (მედიოაქტივი) ზმნები, რომლებსაც საკუთარი წარმოებისა მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები აქვთ. მყოფადის წრის და მეორე-მესამე სერიის მწკრივები არ გააჩ-

ნიათ და შენაცვლებისას გამოყენებულია იმავე ფუძის მოქმედებითის სათავისოს ან სასხვისოს ფორმები. ამის გამო, სუბიექტიც ბრუნვაცვალეზადი შეეწყობათ. მესამე სერიაში ორპირიანი ზმნა ერთპირიანი ხდება (აკლდება ირიბი ობიექტი): ვუყვირი (მე მას), ვუყვირე (მე მას), მიყვირია (მე).

მეოთხე ტიპის უღლებას განეკუთვნება სტატიკური ვნებითისა და საშუალ-ვნებითი გვარის (მედიოპასივი) ზმნები. ამათ აკლია ან უწყვეტელი და აწმყოს კავშირებითი, ან წყვეტილი და მეორე კავშირებითი. ე. ი., თუ პირველი სერიის მწკრივები აკლია, მაშინ მეორე სერიის მწკრივები აქვს და, პირიქით, თუ მეორე სერიის მწკრივები აკლია, მაშინ აქვს პირველი სერიის მწკრივები (აწმყოს წრე).

აწმყოს მწკრივის პირველი და მეორე პირის ფორმები მემველი ზმნებით ეწარმოება. მყოფადის წრისა და მეორე სერიის მწკრივებს აწარმოებს ე- პრეფიქსი. ფუძემონაცვლებსა და ზოგ სხვა ზმნას ი- თავსართი დაერთვის: ზის – იჯდა, დგას – იდგა, წევს – იწვა.

ამ უღლების ზმნები ერთპირიანია ან ორპირიანი.

მაგალითისათვის მოვიყვანოთ უღლების პირველი ტიპის ნიმუშები.

უღლების პირველი ტიპი

I სერია

აწმყოს წრე

აწმყო: რას ვშვრები?

მხოლოობითი რიცხვი

მე	ვკითხულობ	ვხნავ	ვჭყლეტ
შენ	კითხულობ	ხნავ	ჭყლეტ
ის	კითხულობს	ხნავს	ჭყლეტს

მრავლობითი რიცხვი

ჩვენ	კვითხულობთ	ვხნავთ	ვჭყლეტთ
თქვენ	კითხულობთ	ხნავთ	ჭყლეტთ
ისინი	კითხულობენ	ხნავენ	ჭყლეტენ

უწყვეტელი: რას ვშვრებოდი?

მხოლოდობითი რიცხვი

მე	კვითხულობდი	ვხნავდი	ვჭყლეტდი
შენ	კითხულობდი	ხნავდი	ჭყლეტდი
ის	კითხულობდა	ხნავდა	ჭყლეტდა

მრავლობითი რიცხვი

ჩვენ	კვითხულობდით	ვხნავდით	ვჭყლეტდით
თქვენ	კითხულობდით	ხნავდით	ჭყლეტდით
ისინი	კითხულობდნენ	ხნავდნენ	ჭყლეტდნენ

აწმყოს კავშირებითი: რას ვშვრებოდე?

მხოლოდობითი რიცხვი

მე	კვითხულობდე	ვხნავდე	ვჭყლეტდე
შენ	კითხულობდე	ხნავდე	ჭყლეტდე
ის	კითხულობდეს	ხნავდეს	ჭყლეტდეს

მრავლობითი რიცხვი

ჩვენ	კვითხულობდეთ	ვხნავდეთ	ვჭყლეტდეთ
თქვენ	კითხულობდეთ	ხნავდეთ	ჭყლეტდეთ
ისინი	კითხულობდნენ	ხნავდნენ	ჭყლეტდნენ

მყოფადის წრე

მყოფადი: რას ვიზამ?

მხოლოდობითი რიცხვი

მე	წავიკითხავ	დავხნავ	დავჭყლეტ
შენ	წაიკითხავ	დახნავ	დაჭყლეტ
ის	წაიკითხავს	დახნავს	დაჭყლეტს

მრავლობითი რიცხვი

ჩვენ	წავიკითხავთ	დავხნავთ	დავჭყლეთ
თქვენ	წაიკითხავთ	დახნავთ	დაჭყლეთ
ისინი	წაიკითხავენ	დახნავენ	დაჭყლენ

ხოლმეობითი: რას ვიზამდი?

მხოლოდობითი რიცხვი

მე	წავიკითხავდი	დავხნავდი	დავჭყლავდი
შენ	წაიკითხავდი	დახნავდი	დაჭყლავდი
ის	წაიკითხავდა	დახნავდა	დაჭყლავდა

მრავლობითი რიცხვი

ჩვენ	წავიკითხავდით	დავხნავდით	დავჭყლავდით
თქვენ	წაიკითხავდით	დახნავდით	დაჭყლავდით
ისინი	წაიკითხავდნენ	დახნავდნენ	დაჭყლავდნენ

მყოფადის კავშირებითი: რას ვიზამდე?

მხოლოდობითი რიცხვი

მე	წავიკითხავდე	დავხნავდე	დავჭყლავდე
შენ	წაიკითხავდე	დახნავდე	დაჭყლავდე
ის	წაიკითხავდეს	დახნავდეს	დაჭყლავდეს

მრავლობითი რიცხვი

ჩვენ	წავიკითხავდეთ	დავხნავდეთ	დავჭყლავდეთ
თქვენ	წაიკითხავდეთ	დახნავდეთ	დაჭყლავდეთ
ისინი	წაიკითხავდნენ	დახნავდნენ	დაჭყლავდნენ

II სერია

წყვეტილი: რა ვქენი?

მხოლოდობითი რიცხვი

მე	წავიკითხე	დავხან(ი)	დავწყლიტე
შენ	წაიკითხე	დახან(ი)	დაწყლიტე
მან	წაიკითხა	დახნა	დაწყლიტა

მრავლობითი რიცხვი

ჩვენ	წავიკითხეთ	დავხანით	დავწყლიტეთ
თქვენ	წავიკითხეთ	დახანით	დაწყლიტეთ
მათ	წავიკითხეს	დახნეს	დაწყლიტეს

II კავშირებითი: რა ვქნა?

მხოლოდობითი რიცხვი

მე	წავიკითხო	დავხნა	დავწყლიტო
შენ	წავიკითხო	დახნა	დაწყლიტო
მან	წავიკითხოვს	დახნას	დაწყლიტოს

მრავლობითი რიცხვი

ჩვენ	წავიკითხოთ	დავხნათ	დავწყლიტოთ
თქვენ	წავიკითხოთ	დახნათ	დაწყლიტოთ
მათ	წავიკითხოვნ	დახნან	დაწყლიტონ

III სერია

I თურმეობითი: რა მიქნია?

მხოლოდობითი რიცხვი

მე	წამიკითხავს	დამიხნავს	დამიწყლეტია
შენ	წავიკითხავს	დაგიხნავს	დაგიწყლეტია
მას	წაუკითხავს	დაუხნავს	დაუწყლეტია

მრავლობითი რიცხვი

ჩვენ	წავიკითხავს	დაგვიხნავს	დაგვიწყლეტია
თქვენ	წავიკითხავთ	დაგვიხნავთ	დაგვიწყლეტიათ
მათ	წაუკითხავთ	დაუხნავთ	დაუწყლეტიათ

II თურმეობითი: რა მექნა?

მხოლოდობითი რიცხვი

მე	წამეკითხა	დამეხნა	დამეწყლიტა
შენ	წაგეკითხა	დაგეხნა	დაგეწყლიტა
მას	წაეკითხა	დაეხნა	დაეწყლიტა

მრავლობითი რიცხვი

ჩვენ	წაგვეკითხა	დაგვეხნა	დაგვეჭყლიტა
თქვენ	წაგვეკითხათ	დაგეხნათ	დაგეჭყლიტათ
მათ	წავეკითხათ	დაეხნათ	დაეჭყლიტათ

III კავშირებითი: რა მექნას?

მხოლოდობითი რიცხვი

მე	წამეკითხოს	დამეხნას	დამეჭყლიტოს
შენ	წაგვეკითხოს	დაგეხნას	დაგეჭყლიტოს
მას	წავეკითხოს	დაეხნას	დაეჭყლიტოს

მრავლობითი რიცხვი

ჩვენ	წაგვეკითხოს	დაგვეხნას	დაგვეჭყლიტოს
თქვენ	წაგვეკითხოთ	დაგეხნათ	დაგეჭყლიტოთ
მათ	წავეკითხოთ	დაეხნათ	დაეჭყლიტოთ

საგულისხმოა **მართლწერის** ზოგიერთი საკითხი, და-კავშირებული ზმნის უღლებასთან.

ვ ბგერის შენარჩუნება:

➤ დაძრობა → დავაძვრე, დააძვრე, დააძრო, ..., დამიძვრია, დაგიძვრია, დაუძვრია, ...

➤ მოძრობა → მოვაძვრე, მოაძვრე, მოაძრო, ..., მომიძვრია, მოგიძვრია, მოუძვრია, ...

➤ დათრობა → დავათვრე, დაათვრე, დაათრო, ..., დამითვრია, დაგიითვრია, დაუითვრია, ...

➤ გარჭობა → გავარჭვე, გაარჭვე, გაარჭო, ..., გამირჭვია, გაგირჭვია, გაურჭვია, ...

➤ დასობა → დავასვე, დაასვე, დაასო, ..., დამისვია, დაგისვია, დაუსვია, ...

➤ დატყობა → დავატყვე, დაატყვე, დაატყო, ..., დამიტყვია, დაგიტყვია, დაუტყვია, ...

➤ ჩაწყობა → ჩავაწყვე, ჩააწყვე, ჩააწყო, ..., ჩამიწყვია, ჩაგიწყვია, ჩაუწყვია, ...

➤ მაგრამ: გაქრობა → გავაქრე, ჩაქრობა → ჩავაქრე, ...

ჰ და ს პრეფიქსების შენარჩუნება.

➤ ორპირიან გარდაუვალ და სამპირიან ზმნებში ირიბობიექტური პირის ნიშანი **ჰ**- იწერება **ბ, ფ, პ, გ, ქ, კ, ყ** თანხმოვნების წინ (ჰკითხა, ჰყავს, ...), ხოლო **ს**- იწერება – **დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ** თანხმოვნების წინ (სთხოვა, მისწერს, ...).

➤ თუ ზმნას ერთი პირი შეეწყობა, ეს ერთი პირი სუბიექტია, ამიტომ **ჰ**- ან **ს**- პრეფიქსი ზმნაში ზედმეტია: ქრის (ის), წუხს (ის), ზრუნავს (ის), დუმს (ის), ჩანს (ის), ყვავის (ის) და არა: ჰქრის, სწუხს, ჰზრუნავს, სდუმს, სჩანს, ...

➤ **ს**- თავსართი უნდა დარჩეს იმ ზმნებში, რომლებშიც ის ფუძესთანაა შეხორცებული: კრებამ დიდხანს გასტანა, ირაკლიმ სახლისაკენ გასწია, თემურმა დროშა მაღლა ასწია, სანდრომ ალუბლის ტოტი თავისკენ მოსწია, ...; ასევეა ზმნებში: მისწია, მისწევს, ასწევს, გამოსცა, გამოსცემს, გასცა, გასცემს, ...

➤ თუ ერთპირიან ზმნას შეეწყობა ნაცვალსახელი **მას** და არა **ის**, მაშინ ზმნა **ინვერსიულია** და **ჰ** ან **ს** ნიშანი უნდა დაიწეროს (სძინავს მას, სწყურია მას, სცხელა მას, სცივა მას).

თუ ზმნა ორპირიანია, ერთი პირი სუბიექტია, მეორე – პირდაპირი ან ირიბი ობიექტი. ასეთ შემთხვევაში:

➤ პირდაპირი ობიექტი აწმყოსა და მყოფადში მიცემით ბრუნვაშია, წარსულში (წყვეტილში) კი – სახელობითში, ე. ი. ბრუნვაცვალებადია. პირდაპირობიექტურ პირს ნიშანი არ უნდა: თქვა (მან ის), დატოვა (მან ის), გადაწყვიტა (მან ის), ...

➤ ირიბი ობიექტი ყველა დროსა და მწკრივში მიცემით ბრუნვაშია, ბრუნვაუცვლელია. ირიბობიექტური პირის ნიშანი ზმნაში უნდა იყოს წარმოდგენილი: შეჰგებებია (ის მას), დაჰკარგვია (ის მას), მოჰპარვია (ის მას), ჰგავს (ის მას);

➤ ასევეა: ჰგონია, ჰყავს, ჰქვია, ჰყოლია, ჰკითხავს, ..., სწყინს, სტკივა, სჭირს, სწყურია, სდის, სძულს, სცემს, სწამს, მოსწყდა, მოსწონს, გასჩერებია, ...

➤ სხვა თანხმობებისა (ზ, ჟ, ს, ღ, შ, ხ) და ხმობების წინ ირიბობიექტურ პირს ნიშანი არ უნდა: ღალატობს (ის მას), ნებავს (ის მას), მართებს (ის მას), ...

ამავე ნიშნით გაიმიჯნება ზმნათა შემდეგი წყვილები:

➤ **წერს – სწერს** (მოსწავლე დავალებას წერს, მაგრამ: ბიჭი დედას წერილს სწერს).

➤ **ჭრის – სჭრის** (დიასახლისი ნამცხვარს ჭრის, მაგრამ: ირაკლი ხეს ტოტს სჭრის).

➤ **ცვივა – სცვივა** (ციდან ფიფქები ცვივა, მაგრამ: ირაკლის თმები სცვივა).

➤ **კრავს – ჰკრავს** (ის კრავს ბარგს, მაგრამ: ჰკრავს ის მას ხელს).

➤ **ტირის – (და)სტირის** (ბავშვი ტირის, მაგრამ: ის დასტირის, ან მისტირის თავის წარსულს).

➤ **ჯობს – სჯობს** (ასე ჯობს, მაგრამ: ირაკლი თემურს მოხერხებით სჯობს).

სამპირიან ზმნებს ყოველთვის უნდა ჰ- ან ს- პრეფიქსი, იმიტომ, რომ ერთი პირი ყოველთვის ირიბობიექტურია: დაჰპირდა ის მას მას, სწერს ის მას მას, სთხოვს ის მას მას, შესწირავ შენ მას მას, შესჩივლა მან მას ის, ...

ქართულ ზმნებში გვხვდება ერთი განსაკუთრებული შემთხვევა, რომელიც არ ექვემდებარება ჩვენ მიერ ზმნის ზემოთ მიღებულ განსაზღვრას, მით უმეტეს ტრადიციულს.

ავიღოთ წინადადება: „პური გვაქვს.“ ამ წინადადებაში ზმნა არც მოძრაობას აღნიშნავს, არც უძრაობასა და არც განწყობას. მაშ, რა ვქნათ? რა კითხვა დავუსვათ ზმნას? აქ არ გამოდგება კითხვები: რას შვრება? რას აკეთებს? როგორ განწყობაშია? რა მდგომარეობაშია?

ასეთია წინადადებებიც:

- ირაკლი ანდროზე **უფროსია**.
- ინდირა ლაშას **მეზობელია**.
- იასონი ერეკლესა და მათეს **მამაა**.
- ხუთისა და სამის ჯამი **ტოლია** რვის.
- და სხვ.

ასეთ წინადადებებში ზმნით აღნიშნულია საგნის **მიმართება** სხვა საგნისადმი. პირველ წინადადებაში ზმნით აღნიშნულია პურის მიმართება ჩვენდამი (იგი ჩვენთან **მქონებლობის** მიმართებაშია), მეორეში – ირაკლის მიმართება ანდროსადმი (იგი **უფროსობის** მიმართებაშია), მესამეში – ინდირას მიმართება ლაშასადმი (იგი **მეზობლობის** მიმართებაშია), მეოთხეში – იასონის მიმართება ერეკლესა და მათესადმი (იგი **მამობის** მიმართებაშია), მეხუთეში – ხუთისა და სამის მიმართება რვასთან (ისინი **ტოლობის** მიმართებაშია).

მამასადაძმე, ზმნის ადრე მიღებული განსაზღვრა შეგვიძლია დავაზუსტოთ:

განსაზღვრა. ძირითად სიტყვას, რომელიც აღნიშნავს საგნის მდგომარეობას ან მიუთითებს ქვემდებარით გამოხატული საგნის მიმართებაზე სხვა საგანთან, **ზმნა** ეწოდება.

მიმღმობის კლასი

განსაზღვრა. ზმნისგან ნაწარმოებ დამხმარე სიტყვას, რომელსაც სახელის ნიშნებიდან მიღებული აქვს ბრუნვისა და რიცხვის ფორმები, ხოლო ზმნისგან აქვს გვარი, დრო, ასპექტი, მიმართულება (გეზი და ორიენტაცია) და ამით, მის ერთგვაროვან სიტყვებთან ერთად, ქმნის ახალ ხარისხს, **მიმღეობა** ეწოდება.

მიმღეობა იბრუნვის და წინადადებაში გამოიყენება ზედსართავის მაგივრად, უპასუხებს ზედსართავის კითხვებზე: როგორი? რომელი? იგი წინადადებაში ასრულებს განსაზღვრების როლს: **დასრულებული** ამბავი, **შესასრულებელი** დავალება, **მქუხარე** ოვაციები და სხვ.

მიმღეობათა ერთი ნაწილი გარსებითებულია. მაგალითად: მწერალი (მწერელი), მხატვარი, მკეთებელი, მკერავი, მსწავლებელი (მისგანაა მიღებული მასწავლებელი), მტარებელი (მისგანაა მიღებული მატარებელი), შვილი, თბრილი, საშლელი, მკურნალი, მკურნელი, მეგობარი და სხვ.

მიმღეობა შეიძლება იყოს უზმნისწინო და ზმნისწინიანი. უზმნისწინო მიმღეობა უსრული ასპექტისაა, ზმნისწინიანი – სრული.

მიმღეობა დროის მიხედვით სხვადასხვაგვარია.

წარსული დროის მიმღეობა: გაკეთებული, დახატული, დაწერილი და სხვ.

მომავალი დროის მიმღეობა: გასაკეთებელი, დასახატი, დასაწერი და სხვ.

მიმღეობის საწარმოებლად გამოიყენება:

- მართო თავსართი (მ-, მა-, სა-, ნა-, ნე-),
- მართო ბოლოსართი (-ულ-),

- თავსართ-ბოლოსართი (მ-ელ-, მ-არ-, მა-ელ-, მ-რე-, სა-ელ-, სა-არ- და ა. შ.).

გამოკვეთილად ეწარმოება გვარის ფორმები. არსებობს მოქმედებითი ანუ სასუბიექტო, ვნებითი ანუ საობიექტო და საშუალო გვარის მიმღებები.

მოქმედებითი გვარის მიმღებობა

მოქმედებითი გვარის მიმღებობა არის ფორმა, რომელიც უღლების კატეგორიებისაგან განყენებულად წარმოგვიდგენს მოქმედებითი გვარის ზმნის სუბიექტური პირის მოქმედებას. მაგალითად: **გამკეთებელი** არის ის, ვინც აკეთებს ან გააკეთა, ან კიდევ, გააკეთებს; ვინც დაწერს – **დამწერი**, ვინც მოიტანს – **მომტანი** და ა. შ.

მოქმედებითი გვარის მიმღებობას დროის გაგება არა აქვს. იგი იწარმოება ზმნის პირველი სერიის თემისაგან შემდეგი აფიქსებით:

- **მ-**: წა-მ-ქცევი, გა-მ-ყოფი, გა-მ-თიშავი, და-მ-წერი.
- **მ-ელ-**: მ-თლ-ელ-ი, ა-მ-შენებ-ელ-ი, შე-მ-კვრ-ელ-ი.

თუ ფუძე ხმოვნით იწყება, **მ-** პრეფიქსის ნაცვლად უნდა პრეფიქსე **მა-**: მა-ამებ-ელ-ი, გა-მა-უქმებ-ელ-ი.

მა- უნდა მაშინაც, როცა ფუძე **მ** ბგერით იწყება: და-მა-მშვიდებ-ელ-ი, და-მა-მტკიცებ-ელ-ი, და-მა-მცირებ-ელ-ი.

ვნებითი გვარის მიმღებობა

ვნებითი გვარის მიმღებობა არის ფორმა, რომელიც მოქმედებითი გვარის პირდაპირობიექტურ პირზე დამართულ მოქმედებას წარმოგვიდგენს უღლების კატეგორიისაგან განყენებულად. მაგალითად: **გაკეთებულია** ის, რაც გააკეთეს

(მაშასადამე, რაც გაკეთდა); **გასაკეთებელია** ის, რასაც გააკეთებენ (მაშასადამე, რაც გაკეთდება).

ვნებითი გვარის მიმღეობაში კარგად ჩანს დროის კატეგორია: **გაკეთებული** (წარსული) და **გასაკეთებელი** (მომავალი), აშენებული და ასაშენებელი, დამზადებული და დასამზადებელი, დაწერილი და დასაწერი.

მომავალდროიან მიმღეობებს პირველი სერიის თემისაგან აწარმოებს **სა-** და **სა-ელ-** აფიქსები: და-სა-წერი, და-სა-გები, მო-სარ-თავი, გა-სა-შლ-ელ-ი, გა-სა-თლ-ელ-ი, ...

წარსულდროიანი მიმღეობები იწარმოებიან **-ილ**, **-ულ** ბოლოსართებით, **ნა-** თავსართით, აგრეთვე, **მ-არ** თავსართბოლოსართით. მაგალითად:

- **-ილ**: დაწერ-ილ-ი, გათლ-ილ-ი, გაყოფ-ილ-ი, ...
- **-ულ**: დამალ-ულ-ი, დახუთ-ულ-ი, დაფარ-ულ-ი, ...
- **ნა-**: ნა-ხატი, ნა-წერი, ნა-კურთხი, ნა-ნახი, ...
- **მ-არ (მ-ალ)**: გა-მ-წყრ-ალ-ი, გა-მ-თბ-არ-ი, ...

ვნებითი გვარის წარსულდროიან მიმღეობებს **უ-ელ** და **მ-არ (მ-ალ)** აფიქსების გამოყენებით უკუთქმითი ფორმებიც ეწარმოებათ:

უ-ელ: და-უ-წერ-ელ-ი, და-უ-გრეხ-ელ-ი, და-უ-ჭერ-ელ-ი, გა-უ-ცემ-ელ-ი, გა-უ-თლ-ელ-ი, ჩა-უ-ქრობ-ელ-ი, ...

მ-არ (მ-ალ) აფიქსებით ნაწამოებ მიმღეობას უკუთქმითი ფორმა **უ-** თავსართის დართვით უკეთდება. მაგალითად: გა-უ-მწყრ-ალ-ი, გა-უ-მამდ-არ-ი, ...

საშუალო გვარის მიმღეობა

მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებთან შედარებით საშუალო გვარის ზმნები უფრო ღარიბია მიმღეობის

ფორმებით. ზოგიერთ ზმნას საშუალო გვარის მიმღეობა საერთოდ არ ეწარმოება. ასეთი ზმნებია: მიჭირს, მიკვირს, მნებავს, ვმეფობ, ვპოეტობ, ვცოცხლობ და სხვ.

საშუალო-მოქმედებითი გვარის ზმნათაგან მიმღეობები იწარმოება **მ-**, **მო-ე**, **მ-არე** აფიქსებით. მაგალითად:

- **მ-**: მ-ფრინავი, მ-ცურავი, მ-ხობავი, მ-კურნავი, ...
- **მო-ე**: მო-ლექს-ე, მო-ბაას-ე, მო-ჭიკჭიკ-ე, ...
- **მ-არე**: მ-დულ-არე, მ-ქუხ-არე, მ-წუხ-არე, ...

საშუალო-ვნებითი გვარის ზმნათაგან მიმღეობები იწარმოება **მ-არე** აფიქსებით: დგომა – მ-დგომ-არე, ჯდომა – მ-ჯდომ-არე, წოლა – მ-წოლ-არე, ...

საშუალო გვარის მიმღეობებს დრო არ ახასიათებთ. გამონაკლისია ზმნა **ვალ-**, რომელსაც სამივე დროის მიმღეობა ეწარმოება: მო-მა-ვალ-ი (ვინც ან რაც მოდის), მო-სულ-ი (ვინც ან რაც მოვიდა), მო-სა-ვალ-ი (ვინც ან რაც უნდა მოვიდეს).

ზმნიზედების კლასი

განსაზღვრა. ძირითად სიტყვას, რომელიც, ჩვეულებრივ, ზმნას ახლავს და გვიჩვენებს, თუ სად, როდის, როგორ, რატომ ან რისთვის ხდება მოქმედება, **ზმნიზედა** ეწოდება.

წინადადებაში ზმნიზედა ძირითადად ზმნას ახლავს: პირიანს (**ხვალ** მოვა, **გაღმა** გავიდა, **შინიდან** წამოიღო, ...) თუ უპიროს (**ხვალ** მოსვლა, **გაღმა** გასვლა, **შინიდან** წამოღება, ...). მაგალითად, წინადადებაში: გუშინ იქ ძალიან ცხელოდა – ზმნას ერთდროულად სამი ზმნიზედა ახლავს: პირველი ზმნიზედა აღნიშნავს, თუ როდის ცხელოდა, მეორე – სად

ცხელოდა, მესამე – როგორ ცხელოდა. იშვიათად ზმნიზედა შეიძლება ახლდეს ზედსართავ სახელსა და თვით ზმნიზედასაც: **ოდნავ** წითელი, **ძალიან** წითელი, **ძალიან** შორს.

წინადადებაში ზმნიზედა, თუ ის გაარსებითებული არ არის, ან თანდებულის მნიშვნელობით არაა გამოყენებული, მაშინ, ჩვეულებრივ, გარემოებაა.

შინაარსის მიხედვით ზმნიზედების რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა:

ადგილის ზმნიზედა აღნიშნავს მოქმედების ადგილს ან მიმართულებას და უპასუხებს კითხვებზე: სად? საიდან? საითკენ? (საით?), სადამდე?

ადგილს (ადგილმდებარეობას) აღნიშნავენ ზმნიზედები, რომლებიც უპასუხებენ კითხვაზე: სად? (აქ, იქ, წინ, უკან, შუაში, ზევით, ქვევით, დაბლა, ზემოთ, გაღმა, გამოღმა, პირისპირ, ახლოს, სხვაგან, ზოგან, ბევრგან, სადმე, არსად და სხვ.).

მიმართულების აღმნიშვნელი ზმნიზედები უპასუხებენ კითხვებზე: საიდან? საითკენ? სადამდე?

- საიდან? – აქედან, იქიდან, წინიდან, უკნიდან, ზევიდან, ქვევიდან, გაღმიდან, შინიდან, შორიდან, ...
- საითკენ? – იქითკენ, ზევითკენ, შინისკენ, მარჯვნივსკენ, მარცხნისკენ, ...
- სადამდე? – სახლამდე, სკოლამდე, შენამდე, ზღვამდე, ბოლომდე, ...

დროის ზმნიზედა აღნიშნავს დროის მონაკვეთს, რომელშიც სრულდება მოქმედება და მიუგებს კითხვებზე: როდის? რა დროიდან? რა დრომდე?

- როდის? – ახლა, ამჟამად, წელან, დღეს, დილით, გუშინ, შარშან, წელს, ყოველთვის, მუდამ, ხშირად, იშვიათად, ხანდახან, ზოგჯერ, ...
- რა დროიდან? – დღეიდან, ხვალიდან, შარშანდღეიდან, დილიდან, ...
- რა დრომდე? – დღემდე, საღამომდე, ხვალამდე, ზეგამდე, შარშანდღამდე, გაისამდე, ...

კითარების ზმნიზედა გვიჩვენებს, თუ როგორ, რა კითარებაში ხდება მოქმედება და მიუგებს კითხვაზე: როგორ? რანაირად? (ასე, ისე, კარგად, ცუდად, ნელა, ჩქარა, უცებ, ადრე, გვიან, ნაჭერ-ნაჭერ, ფეხდაფეხ, წინდაწინ, მგლისებრ, მშვიდად, წითლად, დაუყოვნებლივ, ყირაზე, ..., ძალიან, ძლიერ, მეტად, ნაკლებად, ერთნაირად, სრულად, ...).

ზომა-წონისა და ოდენობის ზმნიზედა მიუთითებს, თუ რა ზომით-ოდენობით ხდება მოქმედება და მიუგებს კითხვებზე: რა ზომით? რა ოდენობით? რამდენად? ასეთი ზმნიზედებია: სულ, ნაკლებ, მეტად, ცოტად, სავსებით, სრულად, მეტრობით, სანტიმეტრობით, მისხლობით, გრამობით, ფუთობით, ...

რიგობით-ჯერობის ზმნიზედა გვიჩვენებს მოქმედების ჩადენის რიგს ან რაოდენობას და მიუგებს კითხვებზე: რამდენჯერ? (ერთხელ, ხუთჯერ, ცხრაჯერ, ...), მერამდენედ? (პირველად, მეორედ, მეასედ, ...) და მერამდენეჯერ? (მეორეჯერ, მეშვიდეჯერ, ...).

მიზეზის ზმნიზედა აღნიშნავს მიზეზს, რომლითაც გამოწვეულია მოქმედება და მიუგებს კითხვაზე: რატომ? – ამიტომ, იმიტომ, მაგიტომ.

მიზნის ზმნიზედა აღნიშნავს მიზანს, რომელსაც ემსახურება მოქმედება და მიუგებს კითხვებზე: რად? რისთვის? – ამისათვის, მაგისათვის, იმისათვის, ამაღ, იმაღ.

მიზნის ზმნიზედაა, აგრეთვე, მიმღეობისაგან ნაწარმოები (მოსატანად, ასაშენებლად, მოსაჭრელად, გასაკეთებლად, ...) და ზოგიერთი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმები: საციგაოდ, სათევზაოდ, სანადიროდ, ...

მიმართებითი ზმნიზედა დამოკიდებულ წინადადებას აერთებს მთავართან და ასრულებს კავშირის ფუნქციას. ასეთი ზმნიზედებია: სადაც, საიდანაც, როდესაც, როგორც, რადაც, რისთვისაც.

წარმოების თვალსაზრისით ზმნიზედები არის პირველადი (ოდინდელი) და ნაწარმოები. პირველადი ზმნიზედები არ შეიცავენ აფიქსებს. ამის გამო, დღეისათვის უცნობია მათი უმრავლესობის წარმოშობა. პირველადი ზმნიზედებია: აქ, იქ, წინ, უკან, ასე, ისე, სად, შინ, ..., წარმოებული ზმნიზედები კი მიღებულია მრავალი გზით.

➤ მიზეზისა და მიზნის ზმნიზედები წარმოშობით ნაცვალსახელებია.

➤ მიმართებითი ზმნიზედები ნაწარმოებია კითხვითთაგან -**ც** ნაწილაკის დართვით: სადაც, საიდანაც, საითკენაც, საითაც, როდესაც, რისთვისაც, ...

➤ ასევე კითხვითთაგანაა მიღებული განუსაზღვრელობითი ზმნიზედები -**მე** ან -**ლაც(ა)** ნაწილაკების დართვით: სადმე, როდესმე, როგორმე, რამდენადმე, რამდენჯერმე, ..., სადღაც, როდისღაც, რატომღაც, როგორღაც, ...

➤ კითხვითი ზმნიზედებიდან მიიღება უარყოფითი ზმნიზედებიც მათზე უარყოფითი ნაწილაკების (**არ, ვერ, ნუ**)

დართვით: არსად, არსაიდან, არსით, არასოდეს, ვერ-სად, ვერასოდეს, ვერსაიდან, ნურსად, ნურსაიდან, ნურასო-დეს, არაფრად, ვერაფრად, ნურაფრად.

➤ ზმნიზედები იწარმოება, აგრეთვე, ფუძის გაორკეცებით: უჯრა-უჯრა, ნაჭერ-ნაჭერ, ..., ხელდახელ, ხმალდახმალ, ცხენდაცხენ, ...

➤ ზმნიზედებს აწარმოებს **-რე** ნაწილაკი და უძველესი ბრუნვის ნიშანი **-ივ**: აგრე, მაგრე, ასე (← ას-რე), ...მარჯვნივ, მარცხნივ, ...

➤ ზმნიზედებს აწარმოებს **-ჯერ**, **-გზის** და **-ხელ** მაწარმოებლები: ორჯერ, სამგზის, ერთხელ, ...

➤ არსებობს **ნა-ევ** აფიქსებიანი წარმოებაც: ნავახშმევს, ნახალწლევს, ნაშუალამევს, ...

ზმნიზედების მართლწერა.

➤ მოქმედებითი ბრუნვისგან წარმომდგარი ზმნიზედების ბოლოს უნდა დავწეროთ **თ** და არა **დ**: ზემოთ, ქვემოთ, გარეთ, წინათ, უნებლიეთ, აქეთ, იქით, ..., **თ** უნდა, აგრეთვე, **ალბათ** სიტყვის ბოლოს.

➤ ვითარებითი ბრუნვისაგან ნაწარმოები ზმნიზედების ბოლოს უნდა **დ** და არა **თ**: კარგად, ცუდად, უცბად, მარჯვედ, სანახავად, დაუფიქრებლად, ...

➤ ფუძის გაორკეცებით მიღებული ზმნიზედები დეფისით იწერება, თუ შეერთება უკავშიროს: უჯრა-უჯრა, ნაბიჯ-ნაბიჯ, ნაჭერ-ნაჭერ, აღმართ-აღმართ, ...

➤ დეფისით იწერება გაორკეცებული ზმნიზედები, აგრეთვე, სხვადასხვა ფუძისა, თუ ისინი უკავშიროდაა შეერთებული: უკან-უკან, მალლა-მალლა, დაბლა-დაბლა, ზამ-

თარ-ზაფხულ, დილა-საღამოს, აქა-იქ, გაღმა-გამოდმა, აქეთ-იქით, ...

➤ უდეფისოდ იწერება და კავშირით შეერთებული ზმნიზედები: ხანდახან, თანდათან, დროდადრო, გზადაგზა, წამდაუწყუმ, ...

➤ უდეფისოდ (ერთად) იწერება შერწყმული ზმნიზედები: ცალმხრივ, ყოველმხრივ, ყოველნაირად, დიდხანს, ყოველდღე, დროგამოშვებით, მარადჟამს, ...

➤ **წინ** და **უკან** ანტონიმური ზმნიზედებია. თუ უკვე წარსულში მომხდარ ამბავზეა საუბარი, მაშინ უნდა ვთქვათ: საზღვარგარეთ წავიდა ორი წლის წინ (და არა საზღვარგარეთ წავიდა ორი წლის უკან), ორი საათის წინ დაიწყო კითხვა (და არა ორი საათის უკან დაიწყო კითხვა), ...

კავშირების კლასი

განსაზღვრა. დამხმარე სიტყვას, რომელიც აკავშირებს (ერთმანეთთან აერთებს) წინადადების ორ წევრს ან ორ წინადადებას, **კავშირი** ეწოდება.

კავშირი შეიძლება იყოს **მარტივი** (და, თუ, ხოლო, ან, ანუ, ...) ან **შედგენილი** (ვიდრე ← ვიდრე; თუნდაც ← თუ უნდაც, თორემ (← თუ არა-მ) და სხვ.

ფუნქციის მიხედვით კავშირების ორი ჯგუფი არსებობს: **მაერთებელი** კავშირები და **მაქვემდებარებელი** კავშირები.

მაერთებელი კავშირი აერთებს ორ ერთგვარ წევრს ან ორ ისეთ წინადადებას, რომლებიც ერთმანეთის მიმართ თანასწორია. **მაქვემდებარებელი** კავშირი კი აერთიანებს ორ

ისეთ წინადადებას, რომელთაგანაც ერთი მთავარია და მეორე დამოკიდებული.

მაერთებელი კავშირები, თავის მხრივ, მნიშვნელობის მიხედვით ქმნიან ოთხ ქვეჯგუფს. ესენია: **მაჯგუფებელი, მაცალკეებელი, მაპირისპირებელი და მაიგივებელი.**

➤ **მაჯგუფებელი** კავშირებია: **და, თუ.**

ა) **და** აერთებს ორ წევრს (ვაშლი და მსხალი, წვიმს და ცივა), ან ორ წინადადებას (ზარი დაირეკა და მოსწავლეები მერხებს მიუსხდნენ).

ბ) **თუ** მაქვემდებარებელი კავშირია, მარამ გამოიყენება **და-ს** მნიშვნელობითაც (ღვინოს შეჰხარის კაცი თუ ქალი).

➤ **მაცალკეებელი** კავშირებია: **თუ, ან** (ვარიანტებით **ან-ან, ან-არადა, ან-, ან-და**), **ხან** (ვარიანტებით **ხან-ხან, ხან-ხანკი, ხან-ხანაც**), **გინდ** (ვარიანტებით **გინდ-გინდ, გინდ-გინდაც, თუნდ** (ვარიანტებით **თუნდ-თუნდ, თუნდ-თუნდაც**)).

ა) **თუ** გულისხმობს არჩევას, ოღონდ იხმარება კითხვის დროს. არჩევა შეპირისპირებითია (სანდრომ იპოვა თუ გელამ? ვეფხვი უფრო ძლიერია თუ ლომი?).

ბ) **ან** (← **ანუ**) კავშირიც არჩევას გულისხმობს, მაგრამ ეს არჩევა ალტერნატიულია (სიკვდილი ან გამარჯვება!, ან გამარჯვება, ან სიკვდილი!). მეორეში ალტერნატიულობის ხარისხი უფრო მეტია.

გ) **გინდ, თუნდ** ზმნური კავშირებია: **გინდ** ← **გინდა**, **თუნდ** ← **თუ უნდა** (გინდ თეთრი იყოს, გინდა წითელი, თუნდ თეთრი იყოს, თუნდა წითელი).

დ) **ხან-ხან** (**ხან-ხანაც, ხან-ხან კიდევ**) აღნიშნავს მოქმედებათა მონაცვლეობას დროში (ხან თოვდა, ხან წვიმდა;

ხან ატირებოდა, ხანაც დამშვიდდებოდა; ხან გამოიდარებოდა, ხან კიდევ ცა ჩამოხნელდებოდა).

➤ **მაპირისპირებელი** კავშირებია: **მაგრამ, ხოლო, კი, თორემ, არამედ.**

ა) **მაგრამ** (← **მაგრა**): კარი უნდა შემელო, მაგრამ ვერ შევაღე, დაკეტილი დამხვდა.

ბ) **ხოლო**: მე ვაზი უნდა გავსხლა, ხოლო შენ სხვა საქმეებს მიხედავ.

გ) **კი** (← **კიდევ**) საპირისპირო სიტყვებიდან მეორეს ახლავს: მან გითხრა დარჩიო, შენ კი წახვედი.

დ) **თორემ** (← **თუ არა-მ**): არ ვიცოდი, დახმარება რომ გჭირდებოდა, თორემ აუცილებლად მოვიდოდი.

ე) **არამედ** იხმარება იმ შემთხვევაში, როცა საპირისპირო სიტყვას ახლავს უკუთქმითი ნაწილაკი (არ ან **ნუ**), რომელსაც ზოგჯერ გამამღიერებელი **კი** დაერთვის: კი არ(ა) – არამედ, კი ნუ – არამედ: სათამაშოდ კი არ წახვიდე, არამედ წიგნი წაიკითხე.

➤ **მაიგივებელი** კავშირებია: **ე. ი.** (← **ესე იგი** ← **ესე იგი არს**) და **ანუ**. ისინი აკავშირებენ წინადადების წევრთან ან წინადადებასთან განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს. ორივე დიდი მიახლოებით ერთსა და იმავეს აღნიშნავს.

ზოგჯერ **ანუ**-ს წინ მძიმე იწერება. ეს ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა რაიმე მიზეზით გვინდა უკვე ნათქვამზე ყურადღების გამახვილება. მაგალითად: ირაკლი საუბრობდა მშობლიურ ენაზე, ანუ ფრანგულად. სხვა შემთხვევებში **ანუ**-ს წინ მძიმე არ დაისმის. მაგალითად: ბაბუამისის პატივსაცემად დაარქვეს შვილიშვილს ეს სახელი ანუ გიორგი. პირველ წინადადებას თუ ასე დავწერთ: ირაკლი

საუბრობდა მშობლიურ ანუ ფრანგულ ენაზე, მაშინ მძიმე არ უნდა.

მაქვემდებარებელი კავშირები დამოკიდებულ წინადადებებს მთავართან აერთებენ. ამასთან, თვით კავშირის ადგილი დამოკიდებულშია.

იმის მიხედვით, თუ როგორ დამოკიდებულ წინადადებას აერთებენ მთავართან, მაქვემდებარებელი კავშირები ქმნიან რამდენიმე ჯგუფს:

- დროისა: რა, თუ არა, რაკი, როს, ოდეს, ვიდრე, რომ, სანამ, ...
- მიზეზისა: რადგანაც; იმიტომ, რომ; ვინაიდან; რაკი, ...
- მიზნისა: რათა, რომ, იმისათვის, ...
- პირობისა: თუ, თუკი, რომ, ოღონდ, უკეთუ, ...
- დათმობისა: თუმცა, გინდ, თუნდ, თუნდაც, მიუხედავად იმისა, რომ, ...

კავშირები და მათი ფუნქციები უფრო სრულად განიხილება სინტაქსში.

თანდევულების კლასი

განსაზღვრა. დამხმარე სიტყვას, რომელიც დაერთვის სახელის გარკვეული ბრუნვის ფორმას და ამყარებს სხვადასხვა სახის მიმართებას სახელსა და სახელს, ან სახელსა და ზმნას შორის, **თანდებული** ეწოდება.

თანდებული მხოლოდ სახელს ახლავს და აღნიშნავს საგანთან დაკავშირებულ მდგომარეობას, მიმართულებას, მსგავსებას ან სხვა რაიმე დამოკიდებულებას. იგი შეიძლება

იყოს **მარტივი** (ზე, ში, გან, თვის) და **რთული** (გამო ← გან-მო; მიერ ← მ-ივ-ერ; მიმართ ← მი-მართ).

ერთმარცვლიანი თანდებულები სიტყვებს ერწყმიან (**ზე-, ში-, გან-, თვის-, ...**), ხოლო დანარჩენები ცალკე დგანან (ავადმყოფობის **გამო**, მეგობრის **მიერ** და სხვ.).

თანდებულები ბრუნვის ფორმებს დაერთვიან. ქართულში მოთხრობითისა და წოდებითის გარდა ყველა ბრუნვა თანდებულიანია.

თანდებული სახელობით ბრუნვასთან

სახელობით ბრუნვასთან იხმარება ერთადერთი თანდებული -**ვით**, რომელიც მსგავსებას აღნიშნავს და ისიც იხმარება მხოლოდ დახურულფუძიან სიტყვებთან: კაცივით, ბავშვივით, სახლივით და სხვ.

თანდებული მიცემით ბრუნვასთან

მიცემითი ბრუნვის ფორმას მოითხოვენ თანდებულები: **ზე, ში, ვით, თან, შორის, შუა**.

➤ **-ზე** და **-ში** თანდებულთა მიცემითის გაუვრცობელ ფორმაზე დართვისას ბრუნვის ნიშანი იკარგება და გვაქვს: მაგიდაზე, სკამზე, ... , წყალში, სახლში, ...

➤ **-ვით** მიცემითთან ისევე, როგორც სახელობითთან ხმარებისას, აღნიშნავს მსგავსებას. ოღონდ მიცემითში დაერთვის როგორც დახურულფუძიან, ისე ღიაფუძიან სახელებს: ქალსავით, ბავშვსავით, ..., ძმასავით, მეზაღესავით, ...

➤ **-თან** აღნიშნავს თანაობას. დახურულფუძიან სახელზე მისი დართვისას ბრუნვის ნიშანი იკარგება: სახლთან, წიგნთან, ბავშვთან, ...

➤ **შორის** მაშინ იხმარება, როცა ორი სახელია და კავშირით შეერთებული: სახლსა და ჭიშკარს შორის; მუხებსა

და ცაცხვებს შორის; ...; თუმცა, შეიძლება მრავლობითში დასმულ ერთ სახელთანაც იყოს ნახმარი: ადამიანებს შორის, მუხებს შორის, ...

➤ **შუა** ჰგავს თანდებულს **შორის**, მაგრამ განსხვავებაც არის. შეიძლება ითქვას: სახლსა და ჭიშკარს შუა, მუხებსა და ცაცხვებს შუა, მაგრამ არ არის სწორი: ადამიანებს შუა, მუხებს შუა (საუბარია მუხნარსა და ადამიანთა ჯგუფზე).

თანდებული ნათესაობით ბრუნვასთან

ნათესაობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის თანდებულები: **თვის, გან, მიერ, გამო, კენ, მიმართ, მომართ, შესახებ, გარდა, ებრ.**

➤ **თვის** აღნიშნავს დანიშნულებას: ბავშვისთვის (ბავშვისათვის), ძმისთვის (ძმისათვის), სახლისთვის (სახლისათვის), ...

➤ **გან** სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება. ნიშნავს: **ჩამდენობას** – მტრისგან მოკლული, ..., **მასალას**, რომლისგანაც დამზადებულია საგანი: მოდელი ხისგან დაამზადეს, ..., **დაშორებას, დაცილებას, რაღაცისაგან თავის დახსნას**: ჩემგან წავიდა; მტრისგან თავი დააღწია, ..., **მოქმედების მიზეზს**: შიშისგან ცახცახი დაიწყო, ...

➤ **მიმართ** და **მომართ** ერთი და იგივე მნიშვნელობისაა, ოღონდ **მომართ** პირველი პირისთვისაა განკუთვნილი.

➤ **გარდა** გამოიყენება რაღაცის ან ვიღაცის გამორიცხვისთვის: გაკვეთილს ირაკლის გარდა ყველა ესწრებოდა, ...

➤ **გამო** აღნიშნავს მიზეზს: ავადმყოფობის გამო, ...

➤ **კენ** მიმართულების აღმნიშვნელი თანდებულია: შინისკენ (შინისაკენ), სკოლისკენ (სკოლისაკენ), ...

➤ **ებრ** მსგავსებას აღნიშნავს, როგორც **ვით** თანდებუ-
ლი: ვეფხვისებრ, ოქროსებრ, ... ზოგჯერ პირდაპირ ფუძეს
დაერთვის: კაცებრ, ლომებრ, ...

თანდებული მოქმედებით ბრუნვასთან

მოქმედებითი ბრუნვის ფორმას დაერთვის ერთადერ-
თი თანდებული **ურთ**, რომელიც ერთადობას აღნიშნავს:
ძმითურთ, ე. ი. ძმასთან ერთად, ...

თანდებული ვითარებით ბრუნვასთან

ვითარებითი ბრუნვის ფორმას დაერთვის ერთადერ-
თი **მდე (მდის)** თანდებული, რომელიც დროსა თუ სივრცე-
ში რაღაც პუნქტამდე მიღწევას გულისხმობს: სოფლამდე,
სახლამდე, ..., სადამომდის, ნახვამდის, ...

განსაკუთრებით შეეჩერდეთ ერთ ფრიად მნიშვნელო-
ვან საკითხზე.

სწორია თუ არა წინადადება: „ჩემი ძროხა უფრო ლამა-
ზია მეზობლისაზე“?

ერთი შეხედვით ჩანს, რომ **-ზე** თანდებული ერთვის
ნათესაობით ბრუნვას. ეს კი არ შეიძლება. ე. ი. წინადადება
სწორი არაა. მაგრამ ეს ასე არ არის!

ვაბრუნოთ სიტყვა „მეზობელი“: სახ. მეზობელი, მოთ.
მეზობელმა, მიც. მეზობელს, ნათ. მეზობლის ანუ მეზობ-
ლისა. ახლა ეს სიტყვა (მეზობლისა) ვაბრუნოთ: სახ. მეზო-
ბლისა, მოთ. მეზობლისამ, მიც. მეზობლისას. აი, აქ დავუ-
ერთოთ **-ზე** თანდებული. ბრუნვის ნიშანი **-ს** დაიკარგება.

მაგალითები: ირაკლის ბურთი უფრო დიდია დავითი-
საზე. ჩემს ეზოში წითელი ბალი ხარობს, მეზობლისაში –
თეთრი. რას მეტყვით ლეკვებზე ალგეთისაზე?, ...

თანდებულები დღეს დამხმარე სიტყვებია, მაგრამ ისინი სრულმნიშვნელობიანი სიტყვებიდან მომდინარეობენ. ამ სიტყვებმა დროთა განმავლობაში დაკარგეს დამოუკიდებელი მნიშვნელობა და დამხმარე სიტყვებად იქცნენ. მაგალითად, **თვის** თანდებული **თავ-** სიტყვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან მომდინარეობს. სრულმნიშვნელობიანი სიტყვების დამხმარე სიტყვებად ქცევის შედეგადაა მიღებული თანდებულები: **მაგივრად, თაობაზე, შესახებ, დაკავშირებით, მიხედვით, ნაცვლად, მიმართებით, შესაბამისად** და სხვა მრავალი.

ქართულ ენაში განსაკუთრებით ხშირია ზმნიზედის გამოყენება თანდებულის მნიშვნელობით: მდინარის **გალმა**, ორი დღის **შემდეგ**, სახურავის **ქვეშ**, ჭერქვეშ, ცხრა მთას **იქით**, სახლის **უკან** და სხვ.

თანდებულების მართლწერა

➤ თუ სიტყვის ფუძე **ე** ბგერით ბოლოვდება, მაშინ **-ებრ** თანდებულის დართვისას ორი **ე** ერთად იყრის თავს: მზეებრ, დირეებრ, ...

➤ თუ სიტყვის ფუძე **ზ** ბგერით ბოლოვდება, მაშინ **-ზე** თანდებულის დართვისას ორი **ზ** ერთად იყრის თავს: კოვზზე, თევზზე, ხაზზე, ...

➤ თუ სიტყვის ფუძე **შ** ბგერით ბოლოვდება, მაშინ **-ში** თანდებულის დართვისას ორი **შ** ერთად იყრის თავს: ქარქაშში, თამაშში, ანგარიშში, ...

➤ თუ სიტყვის ფუძე **ის** კორტეჟით ბოლოვდება, მაშინ **-ზე, -ში** და **-თან** თანდებულების დართვისას **ს** ბგერა არ იკარგება: ხერთვისზე, ხერთვისში, ხერთვისთან, ...

➤ **-გან** თანდებული ორ ბრუნვას მოითხოვს: ნათესაობითსა და მოქმედებითს. თუ **-გან** თანდებულისანი სახელი უპასუხებს კითხვებზე: **საიდან? რა დროიდან?** მაშინ თანდებული **მოქმედებითი** ბრუნვის ფორმას უნდა დავუერთოთ: ქალაქიდან (← ქალაქ-ით-გან), სოფლიდან (← სოფლი-ით-გან), დილიდან (← დილ-ით-გან), ..., ხოლო, თუ **-გან** თანდებულისანი სახელი უპასუხებს კითხვებზე: **ვისგან? რისგან?** მაშინ თანდებული **ნათესაობითი** ბრუნვის ფორმას უნდა დავუერთოთ: ძმისგან, მეგობრისგან, ...

ნაწილაკების კლასი

განსაზღვრა. დამხმარე სიტყვას, რომელიც ერთვის წინადადების წევრს ან მთელ წინადადებას და მნიშვნელობას უცვლის მას ან მის მნიშვნელობაში დამატებითი ელფერი შეაქვს, **ნაწილაკი** ეწოდება.

წინადადებაში ნაწილაკების ადგილი მკაცრად განსაზღვრული არ არის. ზოგი ნაწილაკი წინ უძღვის სიტყვას (**არ, ვერ, ნუ, ...**), ზოგი სიტყვას მოსდევს. (**-ვე, -და, -ოდე, ...**), ზოგიერთი ცალკე იწერება, დეფისით ან უდეფისოდ (დეფისით – **მეთქი, ...** უდეფისოდ – **ხოლმე, თურმე, ...**), ზოგიერთი კი – იწერება სიტყვასთან შერწყმულად (**ხუთიოდე, სადღა, სამივე, ...**). ზოგი მხოლოდ ზმნასთან იხმარება (**არ, ვერ, ...**), ზოგი – სახელთან (**-ოდე, ...**), ზოგი – ყველა სიტყვასთან (**-ო**).

ნაწილაკი შეიძლება დაერთოს:

- სახელს. მაგალითად: **კაცი-ც, იგი-ვე** და სხვ.
- ზმნას. მაგალითად: **არ** წავიდა, **ვერ** მიხვდა და სხვ.

- ზმნიზედას. მაგალითად: დღეს-ვე, ხვალ-ვე, მაშინ-ვე და სხვ.
- თვით ნაწილაკსაც. მაგალითად: არ-ც, ვერ-ც და სხვ. ნაწილაკს არა აქვს გრამატიკული ურთიერთობა იმ სიტყვასთან, რომელსაც დაერთვის.

ზოგი ნაწილაკი მეტყველებაში მთელი წინადადების ბადალია. ასეთებია, აგალითად, მიგებითი ნაწილაკები: **დი-ახ, ჰო, კი, არა, ...**

ფუნქციის მიხედვით ნაწილაკები ქმნიან რამდენიმე ჯგუფს:

- **ჩვენებითი ნაწილაკები** მიუთითებენ იმაზე, რაც მოლაპარაკის თვალწინ არის ან ხდება. ასეთი ნაწილაკებია: **ა, აი, აჰა, ჰა**. მაგალითად: „ა იმ მთაზედა, თოვლიანზედა ...“, აი ის სახლი, სადაც შენ დაიბადე; აჰა, კოხტაგორაც! ჰა, ეს ძღვენიც!

- **კითხვითი ნაწილაკები** გამოხატავენ კითხვას სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსებით: **ა, თუ, განა, ნუთუ, არ-კი, აკი, ხომ, ...**

ნაწილაკი **ა** გამოიყენებოდა ძველ ქართულში. ამჟამად იგი შემორჩენილია მხოლოდ ზოგიერთ დიალექტში.

ნაწილაკი **თუ**, ჩვეულებრივ, კავშირია, მაგრამ ზოგჯერ კითხვით ნაწილაკად გვევლინება: არა გჯერა თუ? გუშინ უნდა მოეტანა თუ?

ნაწილაკი **განა** კითხვა-გაკვირვების გამოსახატავად გამოიყენება: განა ცოტაა ჩვენში სახელოვანი ვაჟკაცი?!

- **მიმართებითი ნაწილაკები** ერთვიან სრულმნიშვნელობიან კითხვით სიტყვებს და გადააქცევენ მათ მიმართებებად. ასეთ ნაწილაკებად ძველ ქართულში გამოიყენებო-

და: **ესე, ეგე, იგი** (წარმოშობით ჩვენებითი ნაცვალსახელები) და **-ცა** (რომელი + იგი „რომელიც“, ვინ + ცა „ვინც“ და სხვ.). ამათგან თანამედროვე ქართულ ენაში გამოიყენება მხოლოდ **-ც** (←-ცა): ვინც, ვისაც, სადაც, როგორც, ...

➤ **განუსაზღვრელობითი ნაწილაკები** დაერთვიან კითხვით სიტყვებს – ნაცვალსახელებს ან ზმნიზედებს და მათ განუსაზღვრელობის მნიშვნელობას ანიჭებენ. ამ ფუნქციით ქართულში გამოიყენება **-მე**: ვინმე, რამე, რომელიმე, სადმე, როგორმე და სხვ. ანალოგიური ფუნქციისაა **-ლაც(ა)**: ვილა, რალა, სადლა, საიდანლა, როგორლა, ვილაცა, რალაცა და სხვ.

➤ **უკუთქმითი ნაწილაკები** თუ ზმნას ერთვიან, მაშინ გამოხატავენ ზმნით აღნიშნული მოქმედების უარყოფას. ასეთებია: **არ, ვერ, ნუ** (ცალკე) და **-ლა, -ც** ნაწილაკების დართვით: **ალარ, ველარ, ნულარ, არც(ა), ვერც(ა), ნურც(ა)**.

თუ უკუთქმითი ნაწილაკები დაერთვიან კითხვით ნაცვალსახელებსა და კითხვით ზმნიზედებს, მაშინ იწარმოებიან უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნიზედები: **არავინ, ვერავინ, ნურავინ, არარა, ვერარა, ნურარა, არსად, ვერსად, არსაიდან, ვერსაიდან, ნურსაიდან** და სხვ.

უკუთქმითია თავისი შინაარსით ნაწილაკი **როდი** (მომდინარეობს ზმნიზედიდან როდის): როდი გყვარებხარ! და სხვ.

➤ **მიგებითი ნაწილაკები** გამოიყენება რაიმეს დადასტურების ან უარყოფის ფუნქციით. ე. ი. ასეთი ნაწილაკები ორგვარია: დადასტურებითი (**ჰო, კი, დიახ**) და უკუთქმითი (**არა, ვერა**). ეს ნაწილაკები გვხვდება კითხვის პასუხად და ენაცვლებიან მთელ წინადადებას. მაგალითად: – შეასრულე დავალება? – დიახ!

➤ **სიტყვა-სიტყვითი ნაწილაკები** უცვლელად გადმო-სცემენ სუბიექტური პირის ან სხვის ნათქვამს. -**მეთქი** იმეორებს პირველი პირის ნათქვამს (აკი შეგპირდი, გავაკეთებ-მეთქი). **თქვა, თქო** აღნიშნავს მოუბრის დანაბარებ სიტყვას, რომელიც მეორე პირმა უნდა გადასცეს მესამეს (კარი ღია დატოვე-თქო, გადაეცი!); **ო** გადმოგვცემს მესამე პირის ნათქვამს (მალე მოვალო, დაიბარა).

➤ **გაძლიერებითი ნაწილაკები** გამოიყენება ამა თუ იმ სიტყვებზე ყურადღების გასამახვილებლად. ასეთი ნაწილაკებია: -**ცა, -ც, კი, კიდევ, უკვე, მაინც**.

გაძლიერებითი ნაწილაკების ფუნქციაა, სახელებზე, ზმნიზედებზე (ზმნისართებზე) დართვისას ყურადღება გაამახვილონ ამ უკანასკნელთა მიერ გამოხატულ საგანზე, თვისებაზე, ადგილზე, როგორც მრავალთაგან ერთ-ერთზე. ამ შემთხვევაში გაძლიერებითი ნაწილაკები მნიშვნელობით უახლოვდება „აგრეთვე“. მაგალითად, „წიგნიც ვიყიდე“ ნიშნავს, რომ სხვა ნივთებთან ერთად ვიყიდე, აგრეთვე, წიგნი. თუ წინადადებაში ერთგვაროვანი წევრებია, მაშინ გაძლიერების მიზნით -**ც** შეიძლება დაერთოს თითოეულ მათგანს, მაგალითად, წიგნიც ვიყიდე და რვეულიც.

სხვა ნაწილაკების გამოყენების მაგალითებია: ერეკლე-მაც **კი** შეამჩნია; იტირა **კიდევ**; **უკვე** მოვიდა; ის **მაინც** მოვა.

➤ **გამორჩევითი ნაწილაკები** მოწოდებულია იმისათვის, რომ წინადადებაში ამა თუ იმ სიტყვაზე ლოგიკური მახვილი შეაჩერონ, გამოარჩიონ ეს სიტყვა სხვა სიტყვებისაგან. ასეთი ნაწილაკებია: -**ღა, მხოლოდ, მარტო**. მაგალითად: მთიდან გუშინღა ჩამოაღწიეს; რაზმში მხოლოდ ნათია ყო-

ფილა გოგო, დანარჩენები ბიჭები იყვნენ; მარტო ერთს, გრიგოლს, მიუღწევია მწვერვალამდე.

➤ **ნება-სურვილის გამომხატველი ნაწილაკები** მთქმელის ნება-სურვილს გამოხატავს. ესაა ძირითადად ნატვრა და მოწოდება-ბრძანება.

ნატვრითი ნაწილაკებია: **ნეტა, ნეტავი, -მც (ნეტა ვინ ხარო, ირემო; ნეტავი, გოგო, მე და შენ ...; ნეტამც არ დაგმი-ნებოდა; უწინამც დღე კი დამელევა ...).**

მოწოდება-ბრძანებითი ნაწილაკებია: **აბა, ბარემ (ბარე), დაე, დე, ვინძლო, მოდი, უნდა** (აბა, თავი მოვიყაროთ! ბარემ (ბარე) დღესვე დავიწყოთ; დე, გაიმარჯვოს სიყვარულმა; ვინძლო მტერი არ გააცინო! მოდი, ახლავე დავიწყოთ! ეს უნდა გაკეთდეს!).

➤ **შესაძლებლობა-ვარაუდის გამომხატველი ნაწილაკები** ზმნებისაგან მომდინარეობენ. ესენია: **იქნებ (იქნება), ეგებ (ეგება), შეიძლება** (იქნებ ჩემი ახსნილი ვერ გაიგო; ეგებ ინებოს უფალმა ...; ის შეიძლება მესტუმროს).

➤ **გაკვირვების გამომხატველი ნაწილაკები** გაკვირვება-განცვიფრებას გამოხატავენ. ესენია: **რა, არ, აკი, აკი არ** (ეს რა დღეში ჩავვარდით! აკი არ მცალია!).

➤ **მიახლოებითი ნაწილაკები** ორი სახისაა:

ნაწილაკებს: კინაღამ, ლამის თითქმის (← თუ ითქმის) დაახლოებით ერთნაირი მნიშვნელობა აქვთ და აღნიშნავენ ზმნის მიერ ნაგულისხმევი მოქმედების მიახლოებითობას (კინაღამ გავაფუჭე; ლამის შემომეხარჯა; თითქმის მიაღწია).

ნაწილაკი -ოდე იხმარება რიცხვით სახელთან და აღნიშნავს დასახელებულ რიცხვთან მიახლოებას (ხუთიოდე, ცხრაოდე, ორმოციოდე და სხვ.).

წარმოშობით ნაწილაკები სრულმნიშვნელობიანი სიტყვებიდან მომდინარეობენ. ბევრ მათგანს ჯერაც არ დაუკარგავს ფორმა და გარეგნულად სახელის (ერთი, რა), ზმნის (ლამის, იქნებ, ეგებ, ...), ზმნიზედის (მერე, აგერ, როდი, ოდე), სიტყვათა შეკავშირების (თითქოს ← თუ ითქოს, ნეტავი ← ნეტარ ვინ, ...) სახით ასრულებენ ნაწილაკის მოვალეობას. ზოგი ნაწილაკი ნაწილაკისა და სხვა მეტყველების ნაწილის წარმომადგენლის შეერთებითაა მიღებული. მაგალითად: **ვაითუ** (← ვაი თუ), **ვითომც** (← ვითარ-მცა), **მაინც** (← მაშინ-ც), **მეთქი** (← მე ვთქვი) და სხვ.

მართლწერის წესები ნაწილაკის ხმარებასთან დაკავშირებით ასეთია:

- ნაწილაკები: **-ოდე, -ც, -ვე, -და, -მე** სიტყვასთან ერთად იწერება, მას დაერთვის ბოლოში.
- ნაწილაკები: **არ, ვერ, ნუ, რომ, განა, ნუთუ, თურმე, ხოლმე, ...** ცალკე დგას წინადადებაში.
- ნაწილაკები: **-მეთქი, -თქო** და **-ო** სიტყვას დაერთვის ბოლოში. **-მეთქი** და **-თქო** გამოეყოფა დეფისით, ხოლო **-ო** იწერება სიტყვასთან ერთად. მაგალითად: ხელი გაუშვით-მეთქი! მალე გამოდი-თქო! ასე თქვა, მოიტანეო.

შორისდებულების კლასი

განსაზღვრა. დამხმარე სიტყვას, რომელიც წინადადებაში გამოხატავს მთქმელის გრძნობას, ემოციას, განწყობას ან ნება-სურვილს, **შორისდებული** ეწოდება.

შორისდებულთა კლასი განსაკუთრებულია. მისი ზოგიერთი წარმომადგენელი უტოლდება სიტყვას და ზოგჯერ თვით წინადადებასაც კი.

წარმოების მიხედვით შორისდებულები შეიძლება იყოს **პირველადი და მეორეული**.

პირველადი შორისდებულები, რომელებიც, როგორც ცალკეული ბგერები, ან ბგერათა უწყვეტი კორტეჟები, წარმომადგენენ უშუალო ბგერითს რეაქციას ამა თუ იმ მოვლენაზე. ასეთებია: **ო!**, **ვიშ!**, **ერიჰაა!**, **სსს!** და სხვ.

მეორეულია შორისდებული, რომელიც მიღებულია სხვა მეტყველების ნაწილთა წარმომადგენლებისგან.

- არსებითი სახელებისგან მომდინარეობს შორისდებულები: **ბიჰოს!** **დედა**, **ვაი დედა**, **ქა!** (ქალო), **ვა!** (ვაჟო) და სხვ.
- ზმნური წარმოშობისაა შორისდებულები: **დახე!** **დახეთ!** (← დახედეთ) და სხვ.
- ზმნიზედისაგან მომდინარეობს შორისდებულები: **ჩუ!** (ჩუმად), **ჩუთ!** და სხვ.
- შორისდებულისა და **მე** ნაცვალსახელის შეერთების შედეგია შორისდებულები: **ვაჰმე**, **უიმე**, **ვაიმე** და სხვ.
- წარმოშობით ფონეტიკურად სახეცვლილი მსაზღვრელ-საზღვრულია; **ბეჩა!** (← ბედ შავო) და სხვ.

მეორეული შორისდებულებია, აგრეთვე, ფიცილის, მისალმება-გამომშვიდობების, საალერსოდ თუ სამადლობლოდ გამოყენებული ფორმულები: **ჩემმა მზემ**, **ღმერთმანი**, **გამარჯობა**, **გაგიმარჯოს**, **ძილი ნებისა**, **ნახვამდის**, **გენაცვალე**, **შენი ჭირიმე** და სხვ.

შინაარსის მიხედვით შორისდებულები გამოხატავენ:

- ნატვრას: **ნეტა, ნეტავი** და სხვ.
- მოწონებას, სიხარულს, აღტაცებას: **ოჰ, უჰ, ყოჩად, ვაშა! ვიშ, ბარაქალა** და სხვ.
- მწუხარებას: **ჰოი, ვაჰმე, ვაი, ვაიმე, უი, უიმე, ოხ** და სხვ.
- გაკვირვება-გაოცებას: **ერიჰაა! ბიჭოს! დახე!** და სხვ.
- დანანება-სიბრალოლს: **აფსუს! აააჰ! ოო, ახ** და სხვ.
- დაცინვას: **ხა, ხა, ხა! იფ, იფ! ჰაი!** და სხვ.
- ნიშნის მოგებას: **ოლოლო! ჰე!** და სხვ.
- ზიზღს: **ფუ, ფუჰ, ფუი** და სხვ.
- დასტურს: **ჰო; ჰაი, ჰაი! – ჰაი, ჰაი**, რომ უყვარს!
- წაქეზება-გამხნევებას: **ჰა, არ შეშინდე! ჰე, მიდი, შენი სვლაა!** და სხვ.
- მოწოდება-შეძახილს: **ჰაუ, ჰაუ, ეორო ნუ ფრენ! აბა, ჰე, ყმაწვილებო!** და სხვ.
- გაწყრომას, ბრძანებას, დამუქრებას: **სუ! ჩუ-მეთქი! სსს!** და სხვ.
- მიმართვას ფრინველებისა და ცხოველებისადმი: **აქშა! წიბ-წიბ! ჭუკ-ჭუკ! ხი, ხარო!** და სხვ.

ერთბგერიანი შორისდებული არ არსებობს. თუ შორისდებულში ერთი ბგერაა, ის წარმოთქმისა აუცილებლად მეორდება. მაგალითად, წინადადებაში „ო, შენ მოხვედი, მეგობარო?“ **ო** იკითხება როგორც **ოო**, ორ ან სამ ბგერად. ე. ი. შორისდებულში ბგერების რაოდენობა ორი მაინცაა. ეს იმიტომ, რომ შორისდებული სიტყვაა, ბგერათა უწყვეტი კორტეჟი. ერთი ბგერა სიტყვა ვერ იქნება.

აქ აღსანიშნავია ერთი გარემოებაც.

ვთქვათ, მოცემულია წინადადება: „არ მომეშველო!“ აქ აზრი პირდაპირაა გამოხატული: „შენი მოხმარება არ მინდა“. მაგრამ თუ ამ წინადადებაში გამოვიყენებთ შორისდებულს „არიქა“, ე. ი. თუ ვიტყვით: „არიქა, არ მომეშველო!“, მაშინ წინადადების აზრი სრულიად საწინააღმდეგოდ იცვლება. ამჯერად მისი აზრია: „რას უდგეხარ მანდ, რატომ არ მეხმარები“. შორისდებულმა წინადადების აზრი შეცვალა. ასეთ შემთხვევაში როგორ შეიძლება შორისდებული წინადადების წევრად არ ჩავთვალოთ!

იმის გამო, რომ შორისდებულები ადამიანის გრძნობა-ემოციებს გამოხატავს, მათთვის **მართლწერის** ნორმების დაწესება სამართლიანი არ იქნება.

მიუხედავად ამისა, გარკვეული ზღვარი მაინც უნდა არსებობდეს: მწერლობაში შორისდებულები ზნეობრივი თვალსაზრისით უნდა შეიზღუდოს. და, აი, რატომ:

შორისდებულთა რაოდენობისა და ფორმების დადგენა შეუძლებელია. ეს ისეთი სიტყვებია, რომლებიც ადამიანის გრძნობა-ემოციებს გამოხატავს და ამიტომ მათი მოგონება შეიძლება თავისუფლად.

მაგრამ ზოგიერთი წესი მაინც არსებობს: შორისდებული განკერძოებით დგას წინადადების თავში, შუაში ან ბოლოში (იხმარება ცალკეც) და გამოიყოფა მძიმით (**უჰ**, რა მშვენიერი დილაა!) ან ძახილის ნიშნით (**ბიჭოს!** ეს რა ამბავია!). შორისდებულთან სასვენი ნიშანი არ დაისმის, თუ იგი მიმართვას აძლიერებს ან სახელის მნიშვნელობით არის ნახმარი და წინადადების რომელიმე წევრის ფუნქციას ასრულებს (**უი** ჩემს თავს!).

შორისდებულის მნიშვნელობა ბევრადაა დამოკიდებული წარმოთქმის ტონზე. ამიტომ ერთი და იგივე გრძნობა შეიძლება სხვადასხვა შორისდებულით გამოიხატოს, ან პირუკუ, ერთი და იმავე შორისდებულით შეიძლება სხვადასხვა გრძნობა გადმოიცეს.

შორისდებული დამხმარე სიტყვაა და მნიშვნელობას წინადადებაში იძენს. მაგალითად, წინადადებებში: ვა, რა დიდებული რამ არის! და ვა, ეს რა ცუდი საქმე მოგსვლია! ერთი და იგივე შორისდებული სხვადასხვა მნიშვნელობისაა: პირველში სიხარულსა და აღტაცებას გამოხატავს, მეორეში – გაკვირვებასა და წუხილს.

კვლავ წინადადების ცნებაზე

მე ადრე ვწერდი ამ საკითხზე, მაგრამ რამდენიმე ნიუ-ანსი მინდა დავაზუსტო.

ტრადიციულად, წინადადებას ვუწოდებთ სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფს, რომელიც დასრულებულ აზრს გამოხატავს. სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურაში არის სხვანაირი ფორმულირებებიც, მაგრამ ყველა ეს განსაზღვრა ერთმანეთის ეკვივალენტურია. ყველა შემთხვევაში წინადადება სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფია.

ეს განსაზღვრა სწორი არ არის, რადგანაც სიტყვების ჯგუფი სიტყვების ჩამონათვალია და მას არ შეიძლება რაიმე აზრი გააჩნდეს, მით უმეტეს – დასრულებული აზრი.

გამოვარკვიოთ, რომელი კომპონენტებია საჭირო წინადადების დეფინიციის (განსაზღვრის) აგებისათვის.

1. სიტყვები, თავიანთი ფორმების მრავალფეროვნებით, საშუალებაა წინადადების გადმოსაცემად. მათ კაცი იყენებს აზრის გამოხატვისას, წინადადების ჩამოყალიბებისას. სიტყვებს მნიშვნელობები გააჩნია და ამ მნიშვნელობათა შეკავშირება, თუკი იგი გარკვეულ კანონებს ემორჩილება, გვაძლევს წინადადებას. სწორედ ამ კანონებს სწავლობს სინტაქსი (და არამართო სინტაქსი). ე. ი. წინადადების დეფინიცი-აში უნდა იყოს არა „სიტყვათა ჯგუფი“, არამედ „სიტყვების მნიშვნელობათა შეკავშირება“, ან მოკლედ – „სიტყვათა შეკავშირება“. წინადადება შედგება სიტყვებისაგან, მაგრამ ისინი მხოლოდ თავიანთი მნიშვნელობებით ქმნიან წინადადებას, დამხმარე სიტყვები კი მნიშვნელობას წინადადებაში

იმენენ. ძირითადი სიტყვებიც თავიანთ მნიშვნელობას ამ შეკავშირებაში აზუსტებენ. ე. ი. აზრს სიტყვების მნიშვნელობათა შეკავშირება გამოხატავს და არა სიტყვების ერთობლიობა.

2. გრამატიკის სახელმძღვანელოებში (და სხვაგანაც) წინადადებას ერთ სიტყვასაც უწოდებენ, ისეთებს, როგორცაა: „წვიმს. მოდი! გცივა?“ მაგრამ ეს სწორი არ არის! წინადადება შეიძლება შეიცავდეს მრავალ სიტყვას, მათ შორის ერთსაც. მაგრამ ერთი სიტყვა არ შეიძლება იყოს წინადადება. მაგალითად, **მოდი** სიტყვაა, მაგრამ წინადადება არ არის, ხოლო **მოდი!** უკვე წინადადებაა და არა სიტყვა. იგი წინადადებად აქცია ძახილის ნიშანმა. ასევეა: **გცივა** სიტყვაა და არა წინადადება, მაგრამ **გცივა?** წინადადებაა და არა სიტყვა. ორივე წინადადება თითო სიტყვას შეიცავს.

3. გავერკვეთ გამოთქმაში: „დასრულებულ აზრს გამოხატავს“, როდის არის გამოხატული დასრულებული აზრი? ავიღოთ სიტყვათა ასეთი შეკავშირება:

მე გუშინ მოვედი

დავსვათ კითხვა: სიტყვათა ამ შეკავშირებაში არის თუ არა გადმოცემული დასრულებული აზრი? ამ კითხვაზე პასუხს ვერ გავცემთ, რადგანაც შეკავშირების ბოლოს არავითარი ნიშანი არ არის დასმული.

ხომ შეიძლება ასე იყოს: „მე გუშინ მოვედი, მაგრამ შევცდი, არ უნდა მოვსულიყავი.“

ან ასე: „მე გუშინ მოვედი, რომ შენ მენახე, დიდი ხნის უნახავი მყავდი!“

ან კიდევ ასე: „მე გუშინ მოვედი.“

ამ ჩანაწერებში დასრულებული აზრია გადმოცემული. მაშასადამე, სიტყვათა შეკავშირება დასრულებულ აზრს გამოხატავს მხოლოდ მაშინ, როცა მის ბოლოს დასმულია შესაბამისი სიმბოლური (სასვენი) ნიშანი.

4. ავიღოთ შემდეგი ორი წინადადება:

➤ ინდუქციას აქვს ზოგადი ხასიათი. (1)

➤ ზოგადი ხასიათი აქვს ინდუქციას. (2)

კაცი იტყვის, აქ ერთი წინადადებაა მოცემული სიტყვათა სხვადასხვა წყობით, და ამის თქმის უფლებას აძლევს წინადადების ტრადიციულად მიღებული განსაზღვრა, ორივეში სიტყვათა ერთნაირი ჯგუფია და ორივე გამოხატავს დასრულებულ აზრს, მაგრამ ეს არაა სწორი. აქ ორი სრულიად სხვადასხვა წინადადებაა მოცემული, რადგანაც ისინი პასუხობენ სხვადასხვა კითხვებს.

პირველი კითხვაა: როგორი ხასიათი აქვს ინდუქციას?

მეორე კითხვაა: რასა აქვს ზოგადი ხასიათი?

პირველი წინადადება (პირველი პასუხი) ჭეშმარიტია, იმიტომ, რომ ინდუქციას მართლაც აქვს ზოგადი ხასიათი, მაგრამ მეორე წინადადება (მეორე პასუხი) არასწორია, იმიტომ, რომ ზოგადი ხასიათი ინდუქციის გარდა ათას სხვა რამესაც აქვს. პირველ წინადადებაში ინდუქცია **თემაა**, მასზეა ლაპარაკი და არა ზოგად ხასიათზე, ზოგადი ხასიათი **რემაა**. მეორე წინადადებაში **თემა** ზოგადი ხასიათია, ინდუქცია კი – **რემა**. აქ საუბარია ზოგად ხასიათზე და არა ინდუქციაზე. ე. ი. წინადადებაში მთავარია სიტყვათა რიგიც.

მაშასადამე, წინადადების არსებობას განსაზღვრავს არა მარტო სიტყვათა შეკავშირება, არამედ მასთან ერთად თემარემული მიმართებებიც.

ეს საკითხი უფრო მკაფიოდ ჩანს შემდეგ მაგალითზე:
ვინ წავა ხვალ სკოლაში?

- თემური წავა ხვალ სკოლაში.
- თემური წავა სკოლაში ხვალ.

როდის წავა თემური სკოლაში?

- ხვალ წავა თემური სკოლაში.
- ხვალ წავა სკოლაში თემური.

წავა თუ არა ხვალ თემური სკოლაში?

- წავა ხვალ თემური სკოლაში.
- წავა ხვალ სკოლაში თემური.

სად წავა ხვალ თემური?

- სკოლაში წავა ხვალ თემური.
- სკოლაში წავა თემური ხვალ.

ცხადია, სხვადასხვა კითხვები სხვადასხვა პასუხებს მოითხოვს. ეს პასუხები სხვადასხვა წინადადებებია.

როგორც მოყვანილი მაგალითიდან ამკარად ჩანს, თუ წინადადებაში სიტყვათა წყობის შეცვლისას სიტყვა გადაადგილდება თემიდან რემაში, ან პირიქით, რემიდან თემაში, მაშინ წინადადება იცვლება, მიიღება ახალი წინადადება. თუ სიტყვა გადაადგილდება იმავე თემის ან იმავე რემის ფარგლებში, რომელშიც იყო, მაშინ წინადადება არ იცვლება. ეს იმას ნიშნავს, რომ წინადადების აზრის გამოხატვაში მთავარ როლს თამაშობს ორი ფაქტორი: სიტყვათა შეკავშირება და სიტყვათა რიგი.

საბოლოოდ, შეგვიძლია შემოვიღოთ შემდეგი

განსაზღვრა: სიტყვების ისეთ **შეკავშირებას**, რომელშიც დაცულია სიტყვათა რიგი და დასრულებული აზრია გადმოცემული, **წინადადება** ეწოდება.

ლიტერატურა

1. ჯემალ ჯინჯიხაძე. თეორიული ენათმეცნიერების ლოგიკური პრობლემები. მეორე გამოცემა, შევსებული და შესწორებული. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2016.
2. ოთარ მიქიაშვილი. ქართული ენა. თბილისი, 2001.
3. თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია (სალიტერატურო ენა), გიორგი გოგოლაშვილის საერთო რედაქციით. თბილისი, 2011.
4. ქართული ენა. ენციკლოპედია. თბილისი, 2008.
5. მიხეილ ჯინჯიხაძე. ზმნის პირისა და რიცხვის ანალიზი და გაკვეთილის თემები: ჟურნალი „კომუნისტური აღზრდისათვის“, № 8-9, აგვისტო-სექტემბერი, თბილისი, 1939, გვ. 26-44; წიგნში: ჯემალ ჯინჯიხაძე. მიხეილ ჯინჯიხაძე – 120. თბილისი, 2013, გვ. 229-268.
6. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლ), რვატომეული, თბილისი, 1950-1964.
7. დარეჯან თვალთვაძე, ნანა გაფრინდაშვილი. ქართული მართლწერის წესები და სავარჯიშოები. თბილისი, 2013.

სარჩევი

შესავალი	3
მორფოლოგიის ძირითადი ცნებები	7
ბგერა	7
სამეტყველო ბგერა	8
ანბანი	9
ბგერათა ჯგუფი	10
ბგერათა დალაგებული ჯგუფი.....	11
ბგერათა კორტეჟი.....	11
ბგერათა უწყვეტი კორტეჟი.....	12
მარცვალი	13
სიტყვა.....	13
ბინარული მიმართებანი სიტყვათა შორის	17
სიტყვის მნიშვნელობა	22
სიტყვა როგორც გრამატიკული ერთეული.....	26
სიტყვათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია.....	27
სიტყვის მორფოლოგიური შედგენილობა.....	28
გრამატიკული კატეგორია და მისი გამოხატვის საშუალებანი	32
ლექსიკა	34
სიტყვის გადასვლა მეტყველების ერთი ნაწილიდან მეორეში	34
ლექსიკის გამდიდრების საშუალებანი.....	37
მეტყველების ნაწილები	43
არსებით სახელთა კლასი.....	49
არსებითი სახელის წარმოქმნა.....	54
არსებითი სახელის ბრუნება.....	57
ბრუნების ტიპები.....	63

არსებით სახელთა ბრუნების ნიმუშები	65
ზედსართავ სახელთა კლასი	71
რიცხვით სახელთა კლასი.....	81
ნაცვალსახელთა კლასი	94
ზმნების კლასი	103
საწყისი ზმნები	104
წარმოებული ზმნები.....	106
უღლების კატეგორიები.....	108
სერიები და მწკრივები	117
წარმოქმნის კატეგორიები	121
ზმნის მარტივი ფუძე, ძირი, თემა.....	134
სერიებად დაყოფის საფუძველი	138
თავისებური (დეფექტური) ზმნები.....	140
უღლების ტიპები	142
მიმღებობის კლასი	152
ზმნიზედების კლასი.....	155
კავშირების კლასი	160
თანდებულების კლასი.....	163
ნაწილაკების კლასი.....	168
შორისდებულების კლასი	173
დანართი.....	178
ლიტერატურა.....	182

gamomcemloba `universal`~

Tbilisi, 0186, a. politkovskaias #4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02

E-mail: universal505@ymail.com;

gamomcemlobauniversal@gmail.com